ისტორიულ-ეკონომიური

ნარკვევი

(საფრანგეთის წარსულიდან)

თარგმანი

ლ. ელიავასი

თბილისი

ელექტრომბეჭდავი თავ. კრ. დიასამიძისა, სასახლის ქ.

1905

ისეთ დიდ ისტორიულ მოვლენას, როგორიც რევოლიუციაა, რასაკვირველია მრავალი სხვა და სხვა მხარე აქვს, ასე რომ ყოველ პარტიის წარმომადგენელს შეუძლია იპოვოს მასში თავის სასარგებლოთ გამოსაყენებელი მომენტები. კიდევ უფრო ადვილათ შეუძლია ისარგებლოს რევოლიუციით პარტიულ მიზნისთვის, ვინც „ზნეობრივ“ ნიადაგზე სდგას. ასეთ ისტორიულ ქარტეხილის დროს, როგორიც რევოლიუციაა, ყველა მომქმედი პირის ვნებათა ღელვა უმაღლეს წერტილამდე აღწევს. ყოველ მებრძოლ პარტიაში ჩვენ ვიპოვით გმირობის და თავგანწირულების შეუდარებელ მაგალითებს, მაგრამ ყოველგან მოიპოვება აგრეთვე სისაძაგლის, სიმკაცრის, უხასიათობის და გაუმაძღრობის საშინელი მაგალითებიც. რომ ერთი მხარის სიმპატიური თვისებები წინ წამოაყენო და გაადიდო, და ყველაფერი ცუდი, რაც კი მეორე დასში მოიპოვება, მოწინააღმდეგეთ მოახვიო თავს, ეს ძალიან ადვილი ხელობაა. საკვირველია ამგვარი „ისტორიული ხერხი“, მაგრამ ცოტა მოინახება საფრანგეთის რევოლიუციის ისეთი აღწერა, სადაც ეს „ხერხი“ ნახმარი არ იყოს. და ეს ადვილი გასაგებიცაა. ის მრავალი საზოგადოებრივი წინააღმდეგობა, რომელიც რევოლიუციაში სავსებით გამოიხატა, ჯერ კიდევ არ მოსპობილა სრულებით. და ამაევ დროს თვით რევოლიუციამ წამოაყენა და პირველათ აღნიშნა ახალი წინააღმდეგობანი, რომლებიც მას აქვეთ კიდევ უფრო მკაფიოთ გამოირკვა და კიდევ უფრო გამწვავდა. თანამედროვე პარტიათა შორის არ მოიპოვება არც ერთი, რომელიც ტრადიციით, თუ თანაგრძნობით, მდგომარეობის, თუ მიზნის მსგავსებით, თავის ნათესავურ კავშირს არ ხედავდეს რევოლიუციისაგან წარმოშობილ ამა თუ იმ საზოგადოებრივ მიმდინარეობასთან და ამიტომ განსაკუთრებულის, სიყვარულით არ ეპყრობოდეს თავის მონათესავე მიმდინარეობას და განსაკუთრებულის სიმკაცრით მის მოწინააღმდეგეთ. მიუხედავათ ამისა სწორეთ საფრანგეთის რევოლიუციამ გაუწია დიდი სამსახური ისტო-

რიულ მეცნიერების განვითარებას, მან შესაძლებელი გახადა, როგორც ამ საზოგადოებრივ მოვლენის, ისე სხვების ობიექტიურათ შესწავლა. რევოლიუციამ შეგვაგნებინა, რომ ისტორიული განვითარების მამოძრავებელ ძალას უნდა ვეძებდეთ არა ადამიანთა სურვილებში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომელიც საქონლის წარმოების ხანაში მაინც სრულიად დამოუკიდებელია ადამიანის სურვილებისაგან, მაღლა დგას და გაბატონებულია მათზე. თუმცა დიდ რევოლიუციის მკვლევარნი ცდილობენ მიაწერონ ის ერთის მხრით ფილოსოფოსთა ვოლტერის და რუსოს ქადაგებას, მეორე მხრით საერო ორატორთა—მირაბოს და რობესპიერის მჭერმეტყველობას, მაგრამ მაინც არ შეუძლიათ გვერდი აუხვიონ იმ ფაქტს, რომ განხეთქილება, რომელმაც რევოლიუციამდე მიიყვანა საქმე, აღმოსკდა იმ წინააღმდეგობიდან, რომელიც არსებობდა პირველ ორსა და მესამე წოდების შორის. ისინი ხედავდენ, რომ ეს წინააღმდეგობა შემთხვევითი და მსწრაფლ წარმავალი არ იყო, რომ ის მოქმედებდა 1614 წლის გენერალურ შტატებში და უფრო ადრეც სწორეთ ისე, როგორც 1789 წელს, ხედავდენ, რომ ეს წინააღმდეგობა ფაქტორი იყო ისტორიულ განვითარებისა—მეფის განუსაზღვრელ უფლებათა განმტკიცების. მათ უნდა დაენახათ ბოლოს და ბოლოს, რომ ამ განხეთქილებას ღრმათ ქონდა ფესვები გადგმული ეკონომიურ ურთიერთობაში. რასაკვირველია, კლასთა ბრძოლა რევოლიუციის აღწერებში უმეტეს ნაწილათ გამოყვანილია არა როგორც არსებითი ელემენტი მთელი რევოლიუციის, არამედ როგორც კერძო ეპიზოდი ფილოსოფთა, ორატორთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ბრძოლაში, თითქოს ეს უკანასკნელი პირველის შედეგი არ ყოფილიყოს. საჭირო იყო ხანგრძლივი და ძლიერი გონებრივი შრომა, რომ ის, რაც კერძო ეპიზოდათ იყო ცნობილი, ეცნოთ უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ არა მარტო დიდ რევოლიუციაში, არამედ მთელ საზოგადოებრივ განვითარებაშიაც კლასთა ინტერესების წინააღმდეგო-

ბის გაჩენის პირველ დღიდან. მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე, რომელსაც საფუძვლათ კლასთა შორის ბრძოლა უდევს, დღესაც ბევრს სადავო საგნათ მიაჩნია, მაგრამ ის კი თითქმის ყველასაგან მიღებულია, რომ საფრანგეთის რევოლიუცია შედეგი იყო კლასობრივი ბრძოლისა პირველ ორსა და მესამე წოდებას შუა; ასეთი შეხედულება დღეს მარტო სწავლულთა კუთვნილება აღარ არის. ის გავრცელდა და ყველასათვის ხელმისაწდომი გახდა; განსაკუთრებით შეითვისა ის გერმანიის მუშა-ხალხმა. ეს შეხედულება დღეს იმდენათ დაცვას აღარ საჭიროებს თავის მომხრეების მხრივ, რამდენათაც გათიხსირებისგან დაფარვას. ბევრი, ვინც ისტორიულ განვითარებას ხსნის კლასთა ბრძოლით, ფიქრობს, ვითომც საზოგადოებაში არსებობდეს ორი ბანაკი, მხოლოდ ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასი, ორი მტკიცე, განუყოფელი მასსა: რევოლიუციონური და რეაქციონური, რომ საზოგადოებაში არიან მხოლოდ „მაღლა მდგომნი და დაბლა მდგომნი“. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ისტორიკოსობა ძალიან ადვილი ხელობა იქნებოდა; მაგრამ ნამდვილათ კი საქმე არც ისე ადვილია. საზოგადოება მეტათ რთული ორგანიზმია და რაც უფრო ვითარდება, უფრო და უფრო რთულდება. ის მრავალ სხვა და სხვა კლასთაგან შედგება რომელთაც სხვა და სხვა ინტერესები აქვთ, და გარემოებათა მიხედვით უახლოვდებიან, ან ცილდებიან ერთმანეთს და სხვა და სხვა კომბინაციებს ქმნიან.

ეს მართალია ჩვენი დროისთვის; მართალია აგრეთვე საფრანგეთის რევოლიუციის დროისთვისაც. ჩვენი სურვილი მოკლეთ თვალი გადავავლოთ იმ საზოგადოებრივ მოვლენათა, რომელიც ჩვენ საკითხს შეეხება და რომელიც ამ ასი წლის წინათ მოხდა, მარტო იმ ინტერესით არ აიხსნება, რომელსაც რევოლიუცია ბადებს. ეს გათვალისწინება ხელს შეგვიწყობს სინათლეზე გამოვიტანოთ და გამოვარკვიოთ ბევრი თანამედროვე პარტიის პრინციპები. ამგვარათ ის თანამედროვე ცხოველმყოფელ ინტერესსაც არ იქნება მოკლებული.

II.

პირველ შეხედვით კაცს ეგონება, რომ საფრანგეთის რევოლიუციის დასაწყისში „რეაქციონერები“ და „რევოლიუციონერები“, „გაბატონებული კლასები“ და „ხალხი“ წარმოადგენდენ მჭიდროთ შეკავშირებულ ჯგუფებს, ცხადათ გარკვეულ მიზნებით და ბრძოლის იარაღებით. მაგრამ ნამდვილათ კი არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. არა თუ მესამე წოდება შეიცავდა სულ სხვა და სხვა მოპირდაპირე ელემენტებს, არამედ პირველი ორი წოდებაც განიყოფებოდა მოწინააღმდეგე ჯგუფებათ, მიუხედავათ იმისა, რომ გარეგნულათ მათში ვითომც თანხმობა იყო; მიუხედავათ იმისა, რომ ამ ჯგუფების წევრთა რიცხვი შედარებით სულ მცირე იყო*).

თუმცა აზნაურთა და სასულიერო წოდების პირთა რიცხვი ძალიან მცირე იყო, მარა მაინც მხოლოდ ერთი ნაწილი ამ რიცხვისა, ყოველ შემთხვევაში უმცირესი ნაწილი, ეძლეოდა უსაზღვრო ფუფუნებასა და განცხრომასა, მხოლოდ უმცირესი ნაწილი ფლანგავდა და აპნევდა ქონებას მარცხნივ და მარჯვნივ, რაც დამახასიათებელ თვისებას შეადგენს უპირატესობებით აღჭურვილ კლასისას რევოლიუციის წინა ხანებში. მხოლოდ თავად აზნაურობის და სასულიერო წოდების ზედა ნაწილს, აურაცხელ მიწის მქონებელთ, შეეძლოთ ეცხოვრათ ფუფუნებით, ხელგაშლილათ, მაჯიბრებოდენ ერთი მეორეს თვალწარმტაც სალონების გამართვაში, მდიდარი ნადიმების გადახდაში, საუცხოო ცხენ-დარბაზების აგება-მოწყობაში. ეს იყო ერთათ ერთი მოედანი, რომელიც დარჩე-

---

*) ტენის გამოკვლევით აზნაურთა და სასულიერო წოდების წარმომადგენელთა რიცხვი ერთათ 270,000 სულს უდრიდა დაახლოვებით. მისი გამოანგარიშებით 25,000-დან 30,000-მდე აზნაურთა ოჯახი იყო, რომელიც 140,000 სულს შეიცავდა. ეკლესიის მსახურთა რიცხვი 130,000 უდრიდა. ამ უკანასკნელ რიცხვში 70,000 სამრევლო და სივიკარო მღვდელი იყო, 23,000 ბერი და 37,000 მოლაზონი.

ნოდა არისტოკრატიას ერთმანეთთან გასაჯიბრებლათ. იმ სფერაში კი, სადაც საქმის გადამწყვეტელი მნიშვნელობა პირად ღირსებებს ეკუთვნის, არისტოკრატია დიდი ხანია მხოლოდ სიზარმაცეს და უხასიათობას იჩენდა და გაჯიბრებაც არ შეეძლო. ჯიბრი იმაში, ვინ მეტს დახარჯავს და მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, ვის მეტი შემოსავალი აქვს, სწორეთ დამახასიათებელი თვისებაა საქონლის წარმოებისა, რომლის სფერაში რამდენიმეთ უკვე შედგა ფეხი არისტოკრატიამ. მარა მაშინდელი არისტოკრატია ჯერ იმდენათ ვერ შეგუებოდა წარმოების ახალ ფორმას, როგორც მაგალითათ ამას ვხედავთ დღეს. აქეთ-იქით ფულის ფლანგვა მან მალე ისწავლა, მაგრამ თავის შემოსავლის გადიდება მატყლის, პურის, სასმელების და სხ.—ვაჭრობით ისე ხერხიანათ, როგორც დღეს იცის ამ წოდებამ, მა'მინდელმა არისტოკრატიამ არ იცოდა, ვერ ახერხებდა. ის ცხოვრობდა, როგორც ფეოდალი, მარტო მამულის შემოსავლით და კისრამდე ვალში ჩაიფლა. თუ ასეთი ბედი ეწვია უმაღლეს არისტოკრატიას, რაღა ხეირი უნდა დაყროდა საშუალო და მდაბალ აზნაურებს. მრავალ მათგანს ძლივს 50, ზოგს კი 25 ლიკრის წლიური შემოსავლის წაგლეჯა-ღა შეეძლო თავის მამულიდან. რამდენათ უფრო ღარიბი იყო აზნაური, იმდენათ მეტს თხოულობდა ის თავის გლეხებისაგან, მარა ეს არაფერს შველოდა. სესხები მხოლოდ დროებით აძლევდენ შეღავათს და შემდეგ უარეს სიღარიბეში აგდებდენ. მარტო სახელმწიფოს შეეძლო მათთვის ერთათ ერთი საფუძვლიანი დახმარება აღმოეჩინა. და აზნაურებიც ქორივით ეცენ მას. რაც მეფეს შემოსავლიანი ადგილები ქონდა ყველა მათი ლუკმა გახდა. მარა გაღარიბებულთა და სრულ გაღალატაკებაზე მიმდგართა რიცხვი წლითი წლობით მატულობდა, და იმათთვის შესაფერათ სამსახურის რიცხვიც უნდა გაზრდილიყო: ათასნაირ სასაცილო მიზეზებს იგონებდენ, რომ როგორმე გაღატაკებულ, დამშეულ აზნაურისთვის, შეძლება მიეცათ სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრებისა. თა-

ვის თავათ ცხადია, რომ გაღატაკებულებთან ერთათ არც დავახშიანებული და გაუმაძღარი უმაღლესი არისტოკრატია იყო მივიწყებას მიცემული.

ყველაზე მიმზიდველი, თბილი, სამუქთახორო კუნჭული სამეფო კარის თანამდებობები იყო, —ჯამაგირსაც სხვაზე მეტს იძლეოდენ, ცოდნა და შრომა კი ბევრათ ნაკლები სჭიროდა კაცს. ერთი სიტყვით ეს იყო წყარო განცხრომისა და ცხოვრების სიტკბოების მიმნიჭებელი. მეფის კარზე სულ 15,000 კაცი მსახურებდა: იმათში უმრავლესობის ერთათ ერთი დანიშნულება იყო კარგი ტიტული ეტარებინა და შესაფერი ჯამაგირი აეღო. აი ამ შრომის გამოსაკვებათ იხარჯებოდა მთელი სახელმწიფოს შემოსავლის ერთი მეათედი, 40 მილიონ ლივრზე მეტი, (რაც ახლანდელ ფულის ღირებულებით უდრის თითქმის 100 მილიონ ფრანკს, 50 მილიონ მანათს). მარა თავად-აზნაურობა ამასაც არ სჯერდებოდა. ადმინისტრაციაში ათასნაირი თანამდებობები იყო: ზოგი მათგანი ისეთი იყო, რომ დიდ შრომას და განათლებას თხოულობდა. ასეთ თანამდებობაზე ჯამაგირები უფრო ზომიერი იყო და ამიტომ უმთავრესათ მეშჩანებს (წვრილ ბურჟუა-მოქალაქეთ) ეჭირათ, თუმცა ფაქტიურათ მათ აწვა კისერზე მთელი სახელმწიფოს ბართვა-გამგეობის საქმე. ამის გვერდით ისეთი თანამდებობებიც არსებობდა, სადაც მხოლოდ წარმომადგენლობა იყო საჭირო და, ასეთ თანამდებობის აღმასრულებელთა ერთათ ერთი მოვალეობა იყო ტკბილათ და განცხრომით დროს გატარება. ასეთი თანამდებობები უხვათ ჯილდოვდებოდა და აზნაურებს ურიგდებოდა. ჯარში აფიცრებათ დანიშვნის დროს ძველათ უმთავრეს ყურადღებას მათ დამსახურებას აქცევდენ. ლიუდოვიკო მე-XIV-ეს დროს ჯარში ბევრს ნახავდით აფიცრებს, როგორც აზნაურებს, ისე მეშჩანებს.

მარა რაც უფრო მეტათ შეიქნა საჭირო თავად-აზნაურობისთვის სახელმწიფო სამსახურის ხელში ჩაგდება, მით

უფრო მეტს ცდილობდა ის დიდი სამხედრო თანამდებობები აზნაურების პრივილეგიათ გაეხადა. უნტეროფიცრები, რომლებსაც მძიმე მოვალეობა აწვათ კისერზე, კიდევ შეიძლებოდა „შავი ხალხისაგან“ ყოფილიყვენ, ხოლო აფიცრის ადგილები, რომელნიც კარგი შემოსავლიანი იყვენ და ამ‌ოსთანავე ნაკლებ ცოდნასა და შრომას თხოულობდენ, განსაკუთრებით მშვიდობიანობის დროს, ბრწყინვალე წოდების პრივილეგიას შეადგენდა.

აფიცრებზე წლიურათ 46 მილიონი ლივრი იხარჯებოდა, მთელი ჯარი კი 44 მილიონით უნდა დაკმაყოფილებულიყო. რამდენათ უფრო ღარიბდებოდა აზნაურობა, იმდენათ უფრო მედგრათ იცავდა აფიცრობის მონოპოლიას; რამოდენიმე წლით ადრე რევოლიუციის აფეთქებამდის (1781 წ.) მეფემ გამოსცა ედიქტი, რომლითაც აფიცრების ადგილი მხოლოდ ძველ აზნაურთა გვარების კუთვნილება შეიქნა. ვისაც აფიცრობა უნდოდა, უნდა უსათუოთ დაემტკიცებია, რომ 4 თაობა მაინც მისი წინაპრებისა აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა. ამნაირათ უკანასკნელ საუკუნეში ახლათ გამომცხვარ აზნაურებს აფიცრობის ადგილი ხელიდან გაეცარა.

საეკლესიო დიდი ჯამაგირიანი ადგილები ზოგი უკვე ეპირა აზნაურობას, ზოგიც ფაქტიურათ მის განკარგულებაში იყო, რადგან ამ ადგილებზე საჭირო პირების დანიშვნა მეფის ხელში იყო და ეს უკანასკნელი კი სულ უფრო და უფრო ცდილობდა აზნაურობისთვის შეერჩინა ისინი. აქაც რევოლიუციის წინა ხანებში საეკეთესო ადგილების მიღების უფლება, თუმც ეს გამოქვეყნებული არ იყო, მიენიჭა მხოლოდ აზნაურებს. 1500 მდიდარი ბენეფიციები, რომელნიც მეფის უფლებაში იყვენ და აგრეთვე არქიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა კათედრები ეძლეოდა აზნაურობას. არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები, რომელთა რიცხვი 131 კაცამდე ადიოდა, წლიურათ იღებდენ 14 მილიონ ლივრს, ე. ი. 100,000-ზე მეტს თვითეული; კარდინალი რაგინი, სტრასბურგის არხიეპისკო-

ბოსი, როგორც თავი ეკლესიისა, იღებდა წლიურათ ერთ მილიონზე მეტს. ცხადია, პატივცემულ მწყემსს ადვილათ შეეძლო ასეთ პირობებში თავისთვის ნება მიეცა და მარია ანტუანეტას გულის მოსაგებათ ალმასის საყელური ეყიდა მისთვის სულ 1.400,000 ლივრათ ღირებული.

მაგრამ დავახშიანებული აზნაურობის გაუმაძღრობა ვერ დააკმაყოფილა ეკლესიის, ჯარის, სახელმწიფოს და მეფის კარის შემოსავლიანმა ადგილებმა. მეფეს მუდამ თავს აბეზრებდენ ხაზინიდან ერთდროული შემწეობის თხოვნით: ხან ვინმე აზნაური უნდა გამოეხსნა „გაჭირვებულ მდგომარეობიდან“, ხან უნდა დაეკმაყოფილებია რომელიმე წარჩინებული პირის სურვილი და ამგვარათ მარტო 1774 წლიდან 1789-მდე სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროული შემწეობის, საჩუქრებს და სხვა ამგვარი სახით გაცემულა სულ 228 მილიონი ლივრი. ამ ჯამიდან 80 მილიონი მეფის სახლეულობის წევრებს წაუღია. მეფის ორ ძმას მიუღია 14 მილიონზე მეტი. რევოლიუციის წინ რამდენიმე ხნით ფინანსთა მინისტრმა კალონმა, თუმცა სახელმწიფო ფინანსების საოცარი დეფიციტი მოსალოდნელი იყო, მაგრამ მაინც დედოფლისთვის გასართობი სასახლე სენ-კლუ იყიდა 15 მილიონ ლივრათ და მეფისთვის კიდევ რამბულიე—14 მილიონათ. მეფე თავის თავს არა მარტო სახელმწიფოს თავათ თვლიდა, არამედ „პირველ აზნაურათაც“ და ამიტომ არ ზოგავდა გამდიდრებულიყო ხაზინის ხარჯზე. პოლინიაკის სახლობამ, რომელსაც მარია ანტუანეტა წყალობდა, მარტო პენსიებათ მიიღო 700,000 ლივრი. თვით ჰერცოგმა პოლინიაკმა ამას გარდა მუდმივ რენტათ 120,000 ლივრი მიიღო და ერთდროულათ მამულის შესაძენათ 1.200,000 ლივრი.

ჩვენ აქამდის აზნაურობაზე ვლაპარაკობდით, როგორც სისტემატიურათ მტაცებელ რაინდებზე, მაგრამ ეს სინამდვილეს სავსებით არ გამოხატავს. ერთი ნაწილი აზნაურობისა, ყოველ შემთხვევაში მხოლოდ უმცირესობა, არა თუ ღებუ-

ლობდა მონაწილეობას ამ მტაცებლობაში, პირიქით მეტის მეტათ გაბრაზებული იყო ამითი. ამ ნაწილს შეადგენდა ეკონომიურათ ჩამორჩენილი პროვინციების შუათანა და წვრილი აზნაურობა. იქ ფეოდალური მეურნეობა ისევ თავის სრულ ძალაში იყო, მაგალითათ, ვანდეაში და რამდენიმეთ ბრეტონშიაც. ასეთი პროვინციების ფეოდალები პარიჟსა ანუ ვერსალში გადასახლების მაგიერ, ცხოვრობდენ ძველებურათ თავის კოშკში, თავის გლეხებთან. ისინი თითქმის იგივე გლეხები იყვენ, მხოლოდ ცოტა უფრო მალალი წოდების. ისინი მოუხეშავი, გაუნათლებელი იყვენ, მარა კერპი და თავის ღირსების დამცველი; მათი მოთხოვნილება, რომელიც უმთავრესათ კარგ სმა-ჭამაში მდგომარეობდა, ადვილათ კმაყოფილდებოდა იმითაც, რასაც თავის გლეხებისაგან იღებდენ. ვალები მათ არ აწუხებდათ, ფულის ფანტვის შემთხვევაც არ ქონდათ, მაშასადამე, არც მიზეზი ქონდათ თავის გლეხებისთვის გადასახადის მომატებისა, ან წარა-მარა უბრალოთ ხელქვეითების შევიწროებისა, და ამის გამო არა-ურიგო განწყობილებაში იყვენ თავის გლეხებთან. ერთათ ცხოვრება და ერთგვარ პირობებში—მარტო ესეც საკმარისია ურთ-ერთში სიმპატიის გამოსაწვევათ. ჩამორჩენილი პროვინციის ფეოდალი ჯერ კიდევ არ გამხდარიყო ისეთი ყოვლად უსარგებლო ექსპლოატატორი და ხორცმეტი, როგორიც ის გახდა პროგრესიულ პროვინციებში, სადაც ადმინისტრაციის, პოლიციის და სასამართლოს თანამდებობები, რომელსაც წინეთ ფეოდალი ასრულებდა, სულ უფრო და უფრო მეფის ბიუროკრატიის ხელში გადადიოდა და ფეოდალს ბოლოს მარტო ის შერჩა, რასაც არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა არც წესწყობილებისთვის, არც საზოგადოებრივ მშვიდობიანობისთვის: იმის მაგივრათ, რომ ცოტა რამე გაეკეთებია ქვეყნის საკეთილდღეოდ, ის შეიქნა, და არც შეეძლო არ შექნილიყო, ქვეყნისათვის მეტ ბარგათ. სასამართლოსა და პოლიციის მოხელეებს პროვინციებში არავითარი ჯამაგირი არ ეძლეოდათ,

პირიქით უნდა ეყიდათ კიდეც თავისი თანამდებობა; ცხადია, თანამდებობასთან ერთათ ისინი ყიდულობდენ უფლებას გამოეწუწნათ გლეხისთვის უკანასკნელი წვეთი სისხლი.

სრულიად წინააღმდეგი ხდებოდა ეკონომიურათ ჩამორჩენილ პროვინციებში. აქ მებატონები ჯერ კიდევ სრული მმართველი იყო მისდამი კუთვნილ ტერიტორიისა: ის ზრუნავდა გზების გაკეთებაზე და მიმოსვლის უზრუნველ ყოფაზე, არჩევდა თავის ხელქვეითთა შორის ამტყდარ დავას, მსჯავრს დებდა მათ მოქმედებას, სჯიდა დამნაშავეს და სხ.; ზოგჯერ ფეოდალი თავის ძველ უფლებასაც მიმართავდა—იცავდა თავის ხელქვეითთ გარეშე მტრებისაგან, რასაკვირველია, არა მტრის ჯარისაგან,—არამედ მეფის ხარჯის ამკრეფებისაგან, რომელნიც დრო გამოშვებით თავს ესხმოდენ გლეხებს დასარბევათ; იყო ისეთი შემთხვევები, როცა ფეოდალი-მემამულე პირდაპირ დაიფრენდა ხოლმე ამ ვაჟბატონებს, როცა ისინი მეტათ თავდაუჭერელათ დაიწყებდეს თარეშს მის სამფლობელოში. ამ კატეგორიის აზნაურობა ყველაზე ნაკლებ ურიგდებოდა მეფის უფლებათა ზრდას და არ სურდა სავსებით დამორჩილებოდა მას. ხოლო სასახლის აზნაურობა და მათი კუდები, რომელნიც მსახურობდენ ჯარში, ეკლესიაში და უმაღლეს ბიუროკრატიაში, ყოველი მხრით დაინტერესებული იყვენ მეფის უფლების გაძლიერებაში.—რასაც თავის ფეოდალური უფლებით ვერ გამოსწოვდა ასეთი აზნაური გლეხს, იმის გამოსაწუწნათ მეფის მოხელეებს და გადასახადთა შემსყიდველებს აგზავნიდა. ეს არაფრათ ეპიტნავებოდა სოფლის აზნაურობას. სასახლიდან მათ არავითარი წყალობა არ ხვდებოდა და ისინი არც საჭიროებდენ ამას. მარა რაც უფრო ძლიერათ მუშაობდა ადმინისტრატიული მანქანა, იმდენათ უფრო აღარიბებდა ის მის ხელქვეითებს; რამდენათაც მეფის ბიუროკრატიის ხელში გადადიოდა ადმინისტრაციის, პოლიციის და სასამართლოს უფლებები, იმდენათ ფეოდალს ძალა და მნიშვნელობა ეკარგებოდა თავის მიდამოში, ამასთანავე იგი

გამსჭვალული იყო ძველი ფეოდალური შეხედულებებით და თავის თავი მეფის ტოლათ მიაჩნდა: მისთვის მეფე, როგორც წინეთ ფეოდალურ ხანაში, იყო მხოლოდ მსხვილი მემამულე, „პირველი თანასწორთა შორის“, რომელსაც ვერ უნდა გაებედა სახელმწიფოში რაიმე ცვლილების მოხდენა ფეოდალთა დაუკითხავათ; ის მუდამ და დაჟინებით უყენებდა მას წინ თავის მამა-პაპურ უფლებებს და უპირატესობათ, თუმცა ყოველთვის, რასაკვირველია, თავისი ვერ გაჰქონდა, და რაც უფრო იზრდებოდა სახელმწიფო ხაზინის მოთხოვნილება, წესდებოდა ახალ-ახალი გადასახადები, რომელიც რამდენიმეთ აზნაურობასაც აწვებოდა, მიუხედავათ იმისა, რომ იგი უხსოვრის დროიდან თავისუფალი იყო ყოველგვარ გადასახადისაგან. მით უფრო მეტი მიზეზი ეძლეოდა სოფლის აზნაურობას ოპოზიციაში ჩამდგარიყო. ის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ნადავლის განაწილებაში და სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი ტვირთათ აწვებოდა, ამის გამო მან, რასაკვირველია, უფრო და უფრო ხმა მაღლა დაიწყო ლაპარაკი, რომ სახელმწიფო მეურნეობაში საჭიროა მომჭირნეობა, საფინანსო მართველობაში რეფორმის მოხდენა და უკანასკნელზე წოდებრივ წარმომადგენელთა კონტროლის დაწესება.

ამგვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ აზნაურობა ორ მოპირდაპირე ბანაკათ გაიყო. ერთი მხრით მეფის კარის არისტოკრატია და მისი ამყოლი; ამ ბანაკში იყვენ უმაღლესი აზნაურობა და ბლომა ნაწილი საშვალოსი და დაბალისა. ესენი მომხრე იყვენ მეფის შეუზღუდველ უფლებებისა. მეორე მხარეს იდგა სოფლის აზნაურობა, რომელსაც შეადგენდა ეკონომიურათ განუვითარებელი ადგილების საშვალო და დაბალი აზნაურობა. უკანასკნელნი დაჟინებით თხოულობდენ წოდებრივ წარმომადგენელთა მოწვევას სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საკონტროლოთ.

თუ იმ დროის პარტიებზე მსჯელობას ვიქონიებთ არა იმ

კლასობრივ ინტერესების მიხედვით, რომელთა წარმომადგენელათ ისინი იყვენ, არამედ მხოლოდ მათი ტენდენციების თანამედროვე პარტიულ ლოზუნგებთან გარეგნულ თანხმობის მიხედვით, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ **ყველაზე ჩამორჩენილი** ელემენტები საფრანგეთში **პროგრესისტები** და **ლიბერალები** იყვენ, რადგან მათაც ისე, როგორც მესამე წოდებას, სურდათ კონსტიტუციონურ მმართველობის შემოღება. ყველა ამის მიუხედავათ არავინ ისეთი ზიზღით არ ამხედრებულა ახალი იდეების და ახალი კლასების წინააღმდეგ, როგორც სწორეთ ისინი.

მიყრუებული პროვინციის აზნაური ისეთივე სიძულვილით უყურებდა ბურჟუას, როგორც საზოგადოთ გლეხი მოქალაქეს, ნატურალური მეურნეობის მიმდევარი—ფულით მწარმოებელს, გაუნათლებელი—განათლებულს და „ძველის ძველი მკვიდრი“ ამა თუ იმ ადგილისა ვიღაც მოთრეულს, ვინ იცის როგორი შთამომავლობისას. თუმცა პროვინციის აზნაურობა იშვიათათ ხვდებოდა ბურჟუას თავის მიყრუებულ სოფელში, მარა ამ იშვიათ შემთხვევაშიაც არასოდეს არ ფარავდა თავის ზიზღს მისდამი. ქალაქის აზნაურობა კი პირიქით თანდათან უახლოვდებოდა ბურჟუაზიის ერთ ნაწილს მაინც. რა თქმა უნდა, ვინმე თერძს, ან მეხელთათმანეს კარის არისტოკრატი კიდევ უფრო მედიდურათ დასცქერდა, ვიდრე მისი მოძმე სოფლელი აზნაური. მოხელეს ბედნიერებათ უნდა ჩაეთვალა, თუ ასეთი დიდებული გვამი რამეს გააკეთებიებდა, თორემ თუ გაუბედავდა და სასყიდელს მოთხოვდა, ეს ხომ უტიფარი კადნიერება იქნებოდა მისი მხრით. სულ სხვა განწყობილება ქონდა ამ ამაყ არისტოკრატიას ფინანსისტ ტუზებთან. იმათ ბლომათ ქონდათ ხელში ფული, რომელიც ეგრე რიგათ სჭირდებოდა დიდებულებს: ამათ ხელში იყო უკანასკნელთა გაკოტრებაც და მათი სულის შერჩენაც. რამოდენიმე გვარეულობის გარდა მთელი კარის არისტოკრატია მეფიდან დაწყებული უკანასკნელ პაჟამდის ყელამდის ჩაფლული იყვენ ფი-

ნანსისტების ვალებში. ამიტომ მათ, რასაკვირველია, უნდა ფრთხილათ მოქცეოდენ. თვით ლუდოვიკო მე-XIV-ემ, ამ—ამაყმა „მზე—მეფემ“, ერთხელ მთელი კარის თანადასწრებით მეფურათ მიიღო ებრაელი სამუელ ბერნარი. ხუმრობა კი არ იყო, ამ ურიას 60 მილიონი ჰქონდა! და განა შეეძლოთ მეფის ფარეშებს უფრო მიუკარებელი ყოფილიყვენ, ვინემ თვით მათი ბატონი იყო?! ფულით არისტოკრატები სულ თან და თან ემსგავსებოდენ უმაღლეს, შთამომავლობით არისტოკრატიას, ყიდულობდენ აზნაურის ტიტულს, იძენდენ აზნაურების მამულებს; ხშირათ რომელიმე გაღატაკებული აზნაური თავის დაცემული მდგომარეობის გასასწორებლათ ირთავდა სქელი ქისით გაარისტოკრატებულის ქალს და ასეთ შემთხვევაში თავს ხუმრობით ინუგეშებდა, რაო და კარგ ნიადაგსაც სჭირია დრო გამოშვებით გაპოხიერებაო. აზნაურობა ამგვარათ თან და თან იფლებოდა ნაკელში. ფულიანი არისტოკრატიის სალონები არაფრით აღარ ჩამოუვარდებოდა შთამომავლობით არისტოკრატიისას და ორივე კლასი ერთსა და იმავე წუმპეში ცურავდა, რამაც შეიძლება ყველაზე მეტათ შეუწყო ხელი მათ დაახლოვებას, ზნე დაცემული დედაკაცები ისეთივე ხელმისაწვდომი შეიქნა მესამე წოდების პირთათვის, როგორც გრაფების, ჰერცოგების და ეპისკოპოსებისათვის. გარყვნილების მორევში ქრებოდა წოდებრივი სხვა და სხვაობა და საფრანგეთის სამეფო კარი თან და თან უახლოვდებოდა თავის სანატრელ იდეალს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ერთი ეპისკოპოსი ცდილობდა კიდეც ალმასებით ეყიდა თვით დედოფლის სიყვარული.

ზოგიერთი მწერლები, როგორც მაგალითათ, ბოკლი, არისტოკრატიის ფულიან ტოტრებთან დაახლოვებაში ხედავდა „დემოკრატიულ მისწრაფებას“, რომელიც ვითომ რევოლიუციის წინ ყველას თავში უტრიალებდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ სწორეთ ამ დროს ვითომ და „გადემოკრატებული“ აზნაურობა არისტოკრატიულ მოთხოვნილებებს უმატებ-

და: აფიცრის ჩინი მას ეძლეოდა, ვინც დიდ-კაცის ჩამომავალი იყო, საეკლესიო მამულები აზნაურობას შემოუსაზღვრეს, შექნეს ახალი სამუქთახორო ადგილები ბიუროკრატიაში, განსაკუთრებით აზნაურთათვის, დემოკრატიული იდეები კი არა მატერიალური ინტერესები არღვევდენ—და ძალიან შესამჩნევათაც არღვევდენ—მიწის მფლობელთა და ფულით არისტოკრატიის შორის ამართულ ზღუდეს, მაშინ როდესაც თავად-აზნაურობა მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ დაეცვა თავის უპირატესობანი სახელმწიფო სამსახურის მიღებაში.

სოფლის აზნაურობას თავზარს ცემდა პარიჟელი აზნაურებისაგან წოდებრივი განკერძოვების გადალახვა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში ასეთი „თავისუფალი ქცევა"; მარა კიდევ მეტათ თავზარ დამცემი იყო მათთვის პარიზელებისაგან ძველი ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ჩვეულებების ღალატი. სოფლის აზნაური ჯერ კიდევ ფეოდალურ წყობილების ჩარჩოში ცხოვრობდა და ამიტომ მის შესაფერ შეხედულებას მტკიცეთ ადგა, მამა პაპის სარწმუნოებას იცავდა. პარიჟელ აზნაურისათვის კი ფეოდალიზმის ნაშთი მხოლოდ -საშუალება იყო იმისი, რომ ბრბო კარგათ ჩაეჭირა ხელში და მათ ზურგზე ენავარდებნა. მისთვის კი მის საკუთარ უფლებას სხვა აღარაფითარი მნიშვნელობა არ ქონდა, და არც არაფერი დარჩა მას ამ უფლებიდან გარდა ტიტულისა და მის შესაფერი შემოსავლისა. სწორეთ ასეთივე თვალით უყურებდა ის სარწმუნოებასაც. ის ცხოვრობდა ქალაქში, ფეოდალურ ურთიერთობას მოშორებული, და სარწმუნოებამაც დაკარგა მისთვის ყოველივე მნიშვნელობა, სარწმუნოებაც, როგორც სხვა ფეოდალიზმის ნაშთები, ისა საჭიროთ მიაჩნდა მხოლოდ თავის ინტერესების დასაცველათ, ის აუცილებლათ საჭირო იყო უვიც „გაუნათლებელ" ბრბოსთვის; ამ „შავ ხალხს" არ შეეძლო უიმისოთ გაძლება, „განათლებულ" აზნაურობას კი სასაცილოთ არ ყოფნიდა.

„თავისუფალ აზრების გავრცელებასთან ერთათ არისტოკ-

რატთა სალონებში სწრაფათ ქრებოდა ძველი ზნე-ჩვეულება, რა კი მათ გამოეცალა თავის მატერიალური სარჩული. მეოჯახეობას, დიასახლისის ღირსება-ნაკლულევანებას ძველი ფეოდალური მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა: მთელი საწარმოო მექანიზმის ტრიალი შეფერხდებოდა, თუ ოჯახის მეურნეობა სისწორით და მტკიცეთ არ მიდიოდა. ასეთ პირობებში, მიუცილებელია მტკიცე კავშირი მეუღლეთა შორის და სასტიკი დისციპლინა ოჯახში. კარის არისტოკრატებისთვის კი, რომელთაც დროს გატარებ.ს და ფულის ფლანგვის მეტი სხვა არავითარი საქმე არ ქონდათ, ოჯახი და ქორწინება მეტი ბარგი იყო, ხელის შემშლელი და დამამძიმებელი. ისინი ეკიდებოდენ ოჯახს უფრო იმისთვის, რომ კანონიერი მემკვიდრე ყოლოდათ, ნამდვილათ კი სრულიადაც არ იცავდენ მტკიცეთ ოჯახის ფორმებს. ამაზე შეჩერება საჭირო აღარ არის, ყველამ კარგათ იცის, რა შვენიერ მაგალითებს თუ „თავისუფალ სიყვარულის“ აძლევდენ აზნაურობას თვით მეფეები. სოფლის აზნაურობას ისე აბრაზებდა ასეთი „თავისუფლება“ და ძველი ზნე-ჩვეულების გადაგდება ქალაქელ აზნაურთაგან, როგორც სახელმწიფო ხაზინის ძარცვაგლეჯა. სამაგიეროთ ქალაქის აზნაურობა მოუხეშაობას, უმეცრებას და უმოქმედობას უკიჟინებდა მათ. ორივე მხარე მეტის მეტათ მტრულათ უცქერდენ ერთმანეთს. მაგრამ, რასაკვირველია, როცა განსაცდელში ჩავარდა ფეოდალური წყობილების საფუძველი, ეს საერთო ნიადაგი, რომელზედაც შეეძლოთ არსებობა როგორც ერთს, ისე მეორეს, მაშინ მტრათ გადაკიდებული ძმები შეერთდენ; მარა ეს შეერთება ორი წრის არისტოკრატიისა მოხდა მაშინ, როცა უკვე ყველაფერი დაკარგული იყო, როცა ველარაფერი ვერ შეაჩერებდა მესამე წოდების ძლევა-მოსილ მსვლელობას.

ამ ორი წრის არისტოკრატიის გარდა აზნაურობაში ერია არა მცირედი რიცხვი ისეთი პირებისა, რომელნიც განკითხვის დღეს მტრის მხარეს გადავიდენ და ამით ძირიანათ შეა-

რყიეს ფეოდალური წყობილების საფუძველი. ასეთი პირები გამოვიდენ უმთავრესათ მდაბალ, საბოლოოთ გაღატაკებულ აზნაურებიდან, რომელთაც სასულიერო წოდებაში სამსახური არ მოსწონდათ, სამხედრო სამსახურშიაც ფეხი ვერ მოიკიდეს, ვერც მეფის კარზე შემოსავლიანი ადგილების შოვნა მოახერხეს, და ხშირათ, პირიქით, რაიმე მიზეზის გამო მეფის რისხვაც ქონდათ დამსახურებული. ამათში ისეთებიც ერიენ, რომელთაც ერთნაირათ ეზიზღებოდათ, როგორც კარის აზნაურთა სულმდაბლობა, ისე სოფლის აზნაურთა უვიცობა და მოუხეშაობა. მათ აუცილებლათ მიაჩნდათ არსებული წყობილების დაცემა და გულით თანაუგრძობდენ ხალხის გაჭირვებას. აი ეს ხალხი ამოუდგა გვერდით მესამე წოდებას, შეუერთდა მის ინტელიგენციას, მის პამფლეტისტებს და ჟურნალისტებს, რომლების ძალა და მნიშვნელობაც მესამე წოდების ყოველ გამარჯვებასთან ერთათ სწრაფათ იზრდებოდა. ამნაირათ არისტოკრატიისაგან მესამე წოდების მხარეზე გადავიდა საუკეთესო ნაწილი: შეგნებული, ენერგიის პატრონი, მედგარი და სულით ძლიერი. ჯერ თითო-ოროლა გადადიოდა, შემდეგ კი, როცა მესამე წოდების გამარჯვების ეჭვი აღარ იყო, ჯგუფობით დაიწყეს გადასვლა მესამე წოდების მხარეზე და ამით შეტათ საგრძნობლათ დაასუსტეს თავის საკუთარი კლასი სწორეთ იმ დროს, როცა მას უკანასკნელი ძალ ღონე უნდა მოეკრიბა, რომ დროებით მაინც გაეგრძელებია თავის არსებობა. ამავე დროს ძველ რეჟიმს იმ ორმა ბურჯმაც უღალატა, რომლების იმედი ყველაზე მეტათ ქონდა; ეს იყო სასულიერო წოდება და ჯარი.

უმაღლესი ადგილები როგორც ეკკლესიაში, ისე ჯარში აზნაურობის ხელში იყო, მესამე წოდებას მარტო უნტეროფიცრობის და სოფლის მღვდლების ადგილები ეჭირა. როგორც ერთის ისე მეორეს დანიშნულება იყო უსულო მანქანათ გაეხადა ისინი, ვისიც დარაჯათ იყვენ მიჩენილი, რომ სიტყვის შეუბრუნებლათ დამორჩილებოდენ ყოველ ბრძანებას,

რომელიც ზევიდან გამოდიოდა, მარა თითონ ისინი, ვისაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ხალხისთვის და მონები უნდა გამოეზარდა გაბატონებულ კლასისათვის, არა ნაკლებ იჩაგრებოდენ ამ უკანასკნელებისაგან; ეკლესია მაშინ საოცრათ მდიდარი იყო, მას ეკუთვნოდა მეხუთედი საფრანგეთის მიწების და ეს იყო საუკეთესო ნაწილი, რომლის ღირებულება ბევრათ აჭარბებდა დანარჩენ მიწების ღირებულებას, საეკლესიო მამულების ღირებულება ოთხასი ათას მილიონ ლივრამდი ადიოდა და წლიურათ ას მილიონ შემოსავალს იძლეოდა *). ამას გარდა ათის თავიდან შემოდიოდა სასულიერო წოდებას 123 მილიონი წლიურათ. ამ აურაცხელი შემოსავლიდან, რომლის ანგარიშში არ შედის სხვა და სხვა საეკლესიო კორპორაციების შემოსავალი მოძრავ ქონებიდან, უდიდესი ულუფა ეკლესიის და მონასტრების უმაღლეს თანამდებობის პირთ მიქონდათ **).

სოფლის მღვდლები გამოუთქმელ სიღარიბეში ცხოვრობდენ, ძველ ქოხებში შიმშილით სული ძვრებოდათ. მიუხედავათ ამისა ყველა საეკლესიო მოვალეობის შესრულება მათ კისერზე იყო დაწოლილი. მათ, რასაკვირველია, ფიქრათაც არ მოდიოდათ თავში, რომ ისინი უპირატეს წოდებას ეკუთვნოდენ.

---

*) 1791 წ. დეპუტატი ამელო (Amelof) გაყიდულ და გასაყიდ საეკლესიო მიწებს და ტყეებს 3,700 მილიონათ აფასებდა.

**) ერმონსტრანტების ორდენის 599 წევრები იღებდენ წლიურათ მილიონზე მეტს; ვლიუნიის და ბენედიქტეს ორდენები რიცხვით 298 კაცი იღებდენ 1,800,000 ლივრს. წ. მარის ბენედიქტიანცები—1672 კაცი იღებდენ 8 მილიონს და ერთი ამდენიც შემოდიოდათ აბბატებს და პრიორებს. ამას მიუმატეთ ზემოთ აღნიშნული შამოსავალი ეპისკოპოსების და არხიეპისკოპოსების და მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება, რატომ იცავდა აზნაურობა მეფის ტახტთან ერთათ სარწმუნოებასა და ეკკლესიასაც. პირველის შემწეობით ის ხაზინის ავლადიდებას ეპატრონებოდა, მეორესგანაც ასეთი მსუქანი ულუფა ხვდებოდა!

ეს ხალხი, რომელსაც დიდი ხანია დაეკარგა თავის გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსვლის იმედი, გაღატაკებული, ჯაფით წელში გაწყვეტილი, ცხოვრობდა მასავით გაღატაკებულ და დაბეჩავებულ მრევლში და მჭიდრო ნათესავური კავშირით უერთდებოდა მესამე წოდებას. და აი, ასეთი პირები, რომელნიც თავის შრომის ჯილდოთ მხოლოთ შეურაცხყოფას და დამცირებას იღებდენ, უნდა გამოსულიყვენ და მრევლისთვის უსაზღვრო მორჩილება ექადაგებიათ. ისინი უნდა დახმარებოდენ ხალხის გაყვლეფაში, იმ ხალხის, რომელსაც უკვე ყველაფერი წაგლიჯეს, რის წაგლეჯაც კი შეიძლებოდა, დახმარებოდენ თავის ძმების, მამების გაყვლეფაში ვიღაც სვინდის დაკაგულ მფლანგველებს, რომელნიც წარა-მარა აყრიდენ თავზე თავის გარყვნილ საყვარლებს ათასი და ათი ათასი მშრომელის მწარე ოფლით შენაძენს.

მეორეს მხრით განა შეიძლებოდა რაიმე იმედის დამყარება უნტერ-ოფიცრებზე, რომელთაც არც რიგიანი ჯილდო ეძლეოდათ შრომისთვის და არც სამსახურში აღმატების იმედი ქონდათ, და რომელთაც, მიუხედავათ ამისა, ყველა საძნელო და პასუხსაგები საქმეები უნდა აესრულებინათ?! განა ისინი ცეცხლსაც არ მოერიდებოდენ იმ ჭკუა თხელ აფიცრების გულისთვის, რომელთაც არც გაეგებოდათ რამე სამსახურის და არც დარდი ქონდათ მისი?!

რამდენათაც უფრო მატულობდა აზნაურობის გაუმაძღროობა და რაც უფრო მეტი ადგილები ჯარში და ეკკლესიაში მათ განსაკუთრებულ განკარგულებაში გადადიოდა, მით უფრო შორდებოდა მათ ამგვარი „პოლიტიკის“ წყალობით უნტერ-ოფიცრები და სოფლის მღვდლები და მესამე წოდების მხარეს გადადიოდა. ამ მოვლენას და მის აუცილებლობას, რასაკვირველია, ვერ ამჩნევდენ სამეფოს სათავეში მდგომნი, რადგან ერთათ ერთი მოვალეობა ჯარის და ეკკლესიის მდაბალ მოსამსახურეთა, ეს უსაზღვრო მორჩილება იყო. მით უფრო მოულოდნელი და თავზარ დამცემი რისხვა იყო მათ-

თვის, როცა სწირეთ მათი ბედის გადამწყვეტ წუთებში მათ წინაალმდეგ ამხედრდენ ის ძალები, რომლების დიდი იმედი ქონდათ და ახლა ყველაზე მეტათ საჭიროებდენ.

გენერალურ შტატების კრებაზე 1789 წ. თავდაპირველათ წამოყენებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი კითხვა: როგორ უნდა მოხდეს კენჭის ყრა, დეპუტატთა რიცხვის მიხედვით, თუ წოდებათა მიხედვით. პირველი აზრის მომხრე იყო მესამე წოდება, რადგან მას ორჯერ მეტი წარმომადგენელი ყავდა, ვინემ პირველ ორ წოდებას. აზნაურობას კი სასულიერო წოდებაზე ქონდა იმედი დამყარებული და თუ წოდებათა მიხედვით ხმის მოკრება გაიმარჯვებდა, მაშინ გენერალური შტატები თელათ მას ჩაუვარდებოდა ხელ'ში. მარა სასულიერო წოდებამ არ გაამართლა აზნაურობის მოლოდინი. მის წარმომადგენლათ იყვენ 48 ეპისკოპოსი და არხიეპისკოპოსი, 35 აბბატი და დეკანი და 208 სოფლის მღვდელი. ამ უკანასკნელთა უმრავლესობამ მესამე წოდების მხარი დაიჭირა და ამით დიდათ შეუწყო ხელი დეპუტატთა რიცხვის მიხედვით ხმის მოკრების მიღებას. აზნაურების საქმე ახლა ჯარს უნდა გაესწორებია. მეფე იგონებდა სხვა და სხვა ღონისძიებას, რომლითაც, აშკარა იყო, მხედველობაში ქონდათ სახელმწიფოს გამგეობის უეცრათ გარდაქმნა, მეფის კარზე ყველანი დარწმუნებული იყვენ, რომ საკმაოა პარიზის გასრესა და მაშინ ძნელი დასამორჩილებელი აღარ იქნება გენერალური შტატები, რომელმაც თავი ნაციონალურ კრებათ გამოაცხადა. ამბოხება სულ ადვილათ გამოიწვია ნეკკერის გადაყენებამ (12 ივლისს) მარა ეს ამბოხება მეფის სასარგებლოთ არ გათავებულა, თუმცა უმთავრესათ მისგანვე იყო გამოწვეული. გვარდია ხალხს ბიემხრო, დანარჩენმა პოლკებმაც უარი თქვეს თოფის სროლაზე და აფიცრები იძულებული გახდენ უკანვე წაეყვანათ ჯარი, რომ ისინიც ხალხის მხარეს არ გადასულიყვენ. მარა ხალხი ამითი არ დაკმაყოფილდა. მან თავის მხრივ ზომები მიიღო მოსალოდნელ ხიფათის

თავიდან ასაცდენათ. 13 ივნისს ხალხი შეიარაღდა, 14-ს კი, როცა ხმა გავრცელდა, ბასტილიის ზარბაზნებით სენ-ანტუანის ნაწილს პარიზისას დანგრევას უქადიან და სენდენიდან ახალი ჯარი მოდის ქალაქშიო, მაშინ ხალხმა და გვარდიამ მიწასთან გაასწორა საზიზღარი ბასტილია, რომელიც ციხეც იყო და საპყრობილეც. „ღალატი“ სოფლის მღვდლების და გვარდიის, ეს ორი შესანიშნავი მომენტია საფრანგეთის რევოლიუციაში.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, სწორეთ რევოლიუციის ხანებში „რეაქციონური მასსა“ დაქსაქსული და მრავალ სხვა და სხვა ჯგუფებათ დაყოფილი იყო, ერთი მათგანი საიმედო არ იყო, მეორე პირდაპირ უწყობდა მტერს ხელს, მესამე ღრმა კონსერვატორი იყო, მარა მაინც ვერ ურიგდებოდა შეუზღუდველ მონარქიას. და დაჟინებით თხოულობდა რეფორმებს სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგებაში; ზოგს საკმაო „განათლება“ ქონდა, მარა იმდენათ შეზრდილიყო არსებულ წყობილების ცარცვა-გლეჯას, რომ ყოველგვარი ფინანსიური რეფორმა სიკვდილის მომასწავებელათ მიაჩნდა. ზოგი მტკიცეთ იცავდა თავის უპირატეს უფლებებს, ენერგიაც დიდი ქონდა, მარა უვიცობის, გაუნათლებლობის და მოუხეშავობის გამო არ შეეძლო სახელმწიფოს მართვა-გამგეობის თავის თავზე მიღება; ზოგიც კი უფრო შეგნებული, სახელმწიფოს გამგეობის მცოდნე იყო, მარა მშიშარა და სუსტი ხასიათის; ზოგი მედიდურობდა და ძალმომრეობის გზას ადგა; ზოგიც სუსტი, მხდალი იყო და დათმობის გზას ადგა... ყველა ეს ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ელემენტები გამალებული ებრძოდენ ერთმანეთს და ყოველიეე ბრალს ახვევდენ თავზე, რომ მათი საქმე ასე გაფუჭდა. მეფეც ამ მოწინააღმდეგე ჯგუფების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. დღეს ერთი იყო სასახლესთან დაახლოვებული, ხვალ მეორე მოიპოებდა მაზე გავლენას, ამიტომ დღეს ის თავის ძალმომრეობით აბრაზებდა ხალხს, ხვალ კი ისეთ მხდალობას გამოიჩენდა, რომ ყველას ზიზღს მოგვ-

რიდა. აი ასეთ მდგომარეობაში იყვენ გაბატონებული კლასები რევოლიუციის დასაწყისში,—მარა არც მესამე წოდება იყო ნაკლებ დანაწილებული.

III.

ამ ბოლოს დროს რაღაც მოდათ გახდა, კაპიტალისტთა კლასს მესამე წოდებას უძახიან და მას პროლეტარიატს უპირდაპირებენ, როგორც მეოთხე წოდებას. მარა ისიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, რომ პროლეტარიატი სრულიადაც არ წარმოადგენს წოდებას, რომ ის არის კლასი, ე. ი. საზოგადოების ნაწილი, რომელიც სხვა ნაწილებისაგან განირჩევა ეკონომიური პირობებით და არა იურიდიულ უფლებათა შეზღუდვით, მაზე ლაპარაკი, როგორც მეოთხე წოდებაზე, მაინც შეუძლებელია მარტო იმ მიზეზითაც კი, რომ ის უკვე მთლათ შედიოდა მესამე წოდებაში. მესამე წოდებას შეადგენდა ყველა, ვინც პირველ ორ წოდებას არ ეკუთვნოდა. მასში შედიოდენ არა მარტო კაპიტალისტები, არამედ ხელოსნებიც, გლეხობაც და პროლეტარებიც. ადვილათ წარმოსადგენია, თუ რა ჭრელ მასსას წარმოადგენდა ეს წოდება. აქ ჩვენ ვპოულობთ სულ სხვა და სხვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჯგუფებს, როგორც მისწრაფებით, ისე ბრძოლის საშუალებით; გარკვეულ კლასობრივ ბრძოლის კი აქ ნასახიც არსად ჩანს.

კლასი, რომელსაც დღეს უმეტეს ნაწილათ მესამე წოდებას უძახიან, ე. ი. კაპიტალისტთა კლასი სრულიადაც არ წარმოადგენდა ერთ მჭიდროთ შეკავშირებულ რაზმს. მის ზევით მსხვილი ფინანსისტები იდგენ; ამათ, როგორც სახელმწიფოს მთავარ მოვალეებს, სრული საბუთი ქონდა ისეთი რეფორმების შემოღება მოეთხოვა, რომელიც დაიფარავდა სახელმწიფოს გაკოტრებისაგან, შეამცირებდა მის ხარჯს და ასწევდა შემოსავალს. მარა ეს რეფორმები, როგორც ერთი

ანდაზა ამბობს, რომელიც უკვე წარსულ საუკუნეში ყველა ზევიდან დაწყებულ სოციალურ რეფორმების სახელმძღვანელო პრინციპათ შეიქნა, ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ „მგელიც მაძღარი ყოფილიყო და ცხვრებიც უვნებელი“. მართლაც, ფინანსისტებს არ შეეძლოთ მტრული თვალით არ შეეხედათ ყოველ რადიკალურ საფინანსო და სოციალურ რეფორმებისათვის. მრავალმა მათგანმა დიდი საფეოდალო მამულები შეიძინა, აზნაურობის ტიტულიც მიიღო და, რა თქმა უნდა, ყველა ამაზე ხელის აღება არაფრათ ეპიტნავებოდა. აზნაურობისთვის პრივილეგიის შერჩენაში ისინი კიდევ უფრო იმ მოსაზრებითაც იყვენ დაინტერესებულნი, რა მოსაზრებითაც დაინტერესებულია საზოგადოთ კრედიტორი, რომ მისი ჭოვალე სრულიად არ განადგურდეს. ისინი იყვენ კრედიტორები არა მარტო მეფის, არამედ მთელი დავალიანებული აზნაურობისაც. ეკონომისტები დაბეჯითებით ამტკიცებდენ, რომ სოფლის მეურნეობის შემოსავალი საგრძნობლათ იმატებს, თუ მის წარმოება არა ნახევრათ ფეოდალურ, არამედ წმინდა კაპიტალისტურ ნიადაგზე იქნება აგებულიო. ასეთი ცვლილების მოსახდენათ კი საჭირო იყო სამეურნეო იარაღების, მუშა საქონლის და სხვა მოწყობილობების შეძენა; ამისთვის მიუცილებელია კაპიტალი. კაპიტალი კი აზნაურობის უუმცირეს ნაწილს ქონდა ხელში, საფეოდალო გადასახადების მოსპობა მათ სრულ გაკოტრებას უქადდა, მათი კრედიტორები კი, რასაკვირველია, ყველაზე ნაკლებ იყვენ დაინტერესებული ხელი შეეწყოთ მათი გაკოტრებისათვის. ბურჟუაზიის უმაღლესი სფერები. როგორც უკვე დავინახეთ, თანდათან უახლოვდებოდა აზნაურობას საზოგადოებრივ ურთიერთობაშიაც. ეს კიდევ არაფერი, ყოველი რადიკალური საფინანსო რეფორმა უთუოთ გამოიწვევდა გადასახადების იჯარით გაცემის მოსპობას და პირდაპირ სახელმწიფო ბაჟების შემოღებას. სახელმწიფოს უმთავრესი შემოსავალი, როგორც მარილის და მაგარი სასმელების ბაჟი, სატარიფო გადასახადი, თამბაქოს მო-

ნოპოლია,—ყველა ეს იჯარით იცემოდა. მოიჯარადრეები ყველა ამაში სახელმწიფოს აძლევდენ, (რევოლიუციის წინა წლებში) 166 მილიონ ლივრს, ხოლო ხალხს კი თითქმის ამაზე ორჯერ მეტს ახდევინებდენ; საიჯარო სისტემა ხალხის ცარცვა-გლეჯის, ექსპლოატაციის საუკეთესო საშვალება იყო და განა ბ. ბ. ფინანსისტები ნებაყოფლობით აიღებდენ ხელს ასეთ გემრიელ ლუკმაზე? განა შესაძლებელი იყო, რომ თვით ისინი გამოსულიყვენ მის წინააღმდეგ?! არ შეიძლებოდა აგრეთვე მათ იმის ინტერესი ქონოდათ, რომ სახელმწიფოს დეფიციტები მოსპობილიყო, და ამით მის დავალიანებას ბოლო მოღებოდა. ისინი მხოლოთ ერთ ნაწილს იტოვებდენ სახელმწიფოს ვალის ბარათებისას, დანარჩენ უმეტეს ნაწილს კი საკმაოთ დიდ ფასებში ასაღებდენ „საზოგადოებაში“, საშუალო და წვრილ კაპიტალისტებზე, სახელდობრ რანტიებზე. ამნაირათ ფინანსისტები ახერხებდენ სახელმწიფოსაგან ახალ-ახალი სესხის აღების დროს მთელი „რისკი“ სხვისთვის დაეტეხათ თავზე, სარგებლობა კი, რომელსაც ისინი ღებულობდენ სახელმწიფოსა და საზოგადოების ექსპლოატაციით მეტათ დიდი იყო, ყოველი ახალი სესხი უხვ სამკალს აძლევდა ფინანსისტებს. მათთვის არაფერი არ იყო ისე საწყენი, როგორც სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვის, ანუ ბიუჯეტის უდეფიციტოთ შედგენა, რადგან მაშინ ახალი სესხის აღება საჭირო აღარ ხდებოდა. და რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში უმაღლეს ფინანსისტთა წრეების კლასობრივი სიმპატია ძველი წყობილების, ე. ი. წოდებრივ უპირატესობაზე აგებულ სახელმწიფოს მხარეს ყოფილიყო. ისინი, მართალია, გაიძახოდენ რეფორმებია საჭიროო, მარა, ისიც უნდა ვთქვათ, ვინ არ ყვიროდა ამას რევოლიუციის წინა ხანებში? ძველი, დახავსებული არისტოკრატიაც რო ავიღოთ, ისიც კი იყო დარწმუნებული, რომ თანამედროვე მდგომარეობა აუტანელი იყო და რეფორმები აუცილებლათ უნდა მომხდარიყო; ერთი სიტყვით, არსებულ წესწყობილებით ყველა

უკმაყოფილო იყო, მარა ყოველ კლასს ისეთი რეფორმები უნდოდა, რომელიც მას რაიმე სარგებლობას მოუტანდა და არა ზარალს.

მიუხედავათ ამისა ფინანსისტები, რასაკვირველია, თავისდა უნებურათ ძლიერი პოლიტიკური აგიტატორები გახდენ. სწორეთ მათი მეოხებით იყო, რომ სულ მშვიდობიანი, უწყინარი მცხოვრებლებიც კი თავისუფლებაზე ოხვრას მოყვენ. მსხვილი კაპიტალი იმ ვეებერთელა არხს ემსგავსებოდა, რომელსაც ერთი მხრით სახელმწიფოს ვალდებულობის ბარათები გაქონდა ხალხში და მეორე მხრით კი ხშირ ხშირათ სესხებით მოტყუილებულ საშუალო და წვრილ კაპიტალს აგროვებდა სასახლის კარზე, რომელნიც შემდეგ სასახლის მსახურთა ჯიბეში უნდა გამქრალიყო. წვრილი და საშუალო კაპიტალისტები ნელ-ნელა სახელმწიფოს კრედიტორებათ ხთებოდენ. ამ ჯურის ბურჟუას, სრულიადაც არ აინტერესებდა მართველობა და მისი მოქმედება. ფილისტერისთვის პოლიტიკა მეტი ბარგია, ფუჭი საქმე, რომელსაც სარგებლობა არაფერი მოაქვს, ხოლო ხანდახან ფულს და დროს კი აკარგვინებს. ის ასე მსჯელობს: ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს, და იმას არ ეძებდეს, რაც მის გარშემო ხდება. პოლიტიკა მეფის საქმეაო. ფილისტერის ინდიფერენტიზმი, გულგრილობა ყველაფერში, „რაც მას არ ეხება“, რა თქმა უნდა კიდევ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ისეთ შეუზღუდველ მონარქიაში, როგორიც იყო საფრანგეთი რევოლიუციამდის: როცა პოლიციის ორგანიზაცია კარგათ შემუშავებული იყო და პოლიტიკაში გარევა დანაშაულობათ ითვლებოდა. მარა საქმე სულ სხვარიგათ დატრიალდა, როცა ის სახელმწიფოს კრედიტორი შეიქნა და თან შიშიც დაებადა სახელმწიფო არ გაკოტრდესო. ეხლა პოლიტიკა ფუჭი საქმე აღარ იყო, პირიქით ის მეტათ დიდმნიშვნელოვანი შეიქნა და აი ბურჟუასთვისაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საკითხებს ღრმა ინტერესი მიეცა. დიდი გამჭრიახობა არ უნდოდა იმის მიხვედ-

რას, რომ უმთავრესი მიზეზი ასეთ „საშიში მდგომარეობისა პრივილეგიებით აღჭურვილი კლასები იყვენ, რადგან ისინი იჭირავდენ სახელმწიფო შემოსავალს. და სრულიად არაფრით არ უწყობდენ ხელს მის ზრდას: ამიტომ ბურჟუა სულ ადვილათ გადავიდა უკიდურეს ოპოზიციაში და თანასწორობისა და თავისუფლების სიყვარულით აღეგზნო. ის ოპოზიციაში უნდა ჩადგომოდა წარჩინებულთა კლასს არა მხოლოთ იმიტომ, რომ სახელმწიფოს კრედიტორი იყო, არამედ იმიტომაც, რომ ის ვაჭარი და მრეწველი იყო. როგორც ვაჭარს და მრეწველს მას არ შეეძლო სხვანაირათ მოქცეულიყო.

რადგან უმაღლესი თანამდებობები ჯარში და ფლოტში ხელში ეჭირა მარტოთ აზნაურობას, რომელიც შესაჭნევათ დაკნინებული იყო როგორც ზნეობრივათ, ისე ფიზიკურათაც, ამიტომ საფრანგეთის სამხედრო ძლიერება ნელ-ნელა ეცემოდა. მე-18 საუკუნის განმავლობაში საფრანგეთს თითქმის არც ერთი ომი არ ჩაუტარებია ისე, რომ ან თავის აღებ მიცემობა არ ჩაეგდო მეტათ საზარალო პირობებში, ან და ახალშენები არ დაეკარგა: საკმაოა მოვიგონოთ ზავი უტრეხტის (1718), აქენის (1748), პარიზის (1763) და ვერსალის (1783). ხოლო გონიერი საახალშენო პოლიტიკა ერთი უმთავრესი პირობათაგანია საგარეო აღებმიცემობის აყვავებისა. საშინაო აღებ-მიცემობა კი მეტათ შეეიწროებული იყო სხვა-და-სხვა ძველის-ძველ ფეოდალურ უფლებებით. ზოგიერთი პროვინციები წარმოადგენდენ, ასე ვთქვათ, „სახელმწიფოს სახელმწიფოში“. ისინი განცალკევებული იყვენ სახელმწიფოს დანარჩენ ნაწილებისაგან საკუთარი კანონებით, მმართველობით, სადამოუნო გადასახადებით და სხვ. თუ ამას დავძენთ, რომ სავაჭრო დაწესებულებები ფეოდალთა სასამართლოს ექვემდებარებოდენ, რომ ყველა იმ ადგილებისთვის, რომელიც ვაჭრებს ეჭირათ, ბაჟს ახდევინებდენ, ხიდებზე და გზებზე გადასახადს კრეფდენ და სხ. და სხ.; მაშინ ადვილათ გასაგები იქნება ის ფაქტი, რომ შინაური აღებმიცემობა საფრანგეთში

თითქმის არც კი არსებობდა. საქონელი, რომელიც ჩინეთიდან და იაპონიდან შამოქონდათ და რომელიც იმ სიშორიდან მშფოთვარე და მეკობრებით სავსე ზღვაზე იყო გამოტარებული, მხოლოთ სამჯერ თუ ოთხჯერ მეტ ფასში იყიდებოდა. ღვინო კი, რომელიც ორლეანიდან მოქონდათ ნორმანდიაში, ოცჯერ მეტათ ძვირი მაინც ჯდებოდა, რადგან გზა-გზა სხვა და სხვა ბაჟებს ახდევინებდენ. ასე განსაკუთრებულათ შევიწროებული იყო ღვინის ვაჭრობა, რომელიც საფრანგეთის მრეწველობის უმთავრეს დარგს შეადგენდა. ბორდოს მიდამოების მევენახეებს მაგ. აღკრძალული ქონდათ ამ ქალაქში, თუ არ თავისავე ბაღში მოწეულის, სხვა ღვინით ვაჭრობა. ამგვარათ ღვინით უმდიდრეს ადგილებს: ლანგდოკს, პერიგორს, აუენუას, კერსის, რომელთა წყლები ბორდოს გვერდზე ჩადიოდენ, თავიანთი ჭირნახულის გასაღების უფლება ჩამორთმეული ქონდა ბორდოს მევენახეების სასარგებლოთ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საფრანგეთში მიმოსვლის საქმე მეტათ ცუდ მდგომარეობაში იყო. გზების შესაკეთებლათ სახელმწიფო არაფერს იძლეოდა და ჩვეულებრივი საგლეხო ბეგარით კი მათი რიგიანათ შენახვა არ შეიძლებოდა. აღებმიცემობის ასაყვავებლათ საჭირო იყო აზნაურთა პრივილეგიების მოსპობა, ფლოტის და ჯარის რეორგანიზაცია, ცალკე პროვინციების პარტიკულიარიზმის მოსპობა, შინაურ საქონელზე დადებულ ბაჟის გაუქმება, მეფისგან იყო იგი დადგენილი თუ ფეოდალისაგან, ერთი სიტყვით, ვაჭრობის ინტერესი თხოულობდა „თანასწორობას და თავისუფლებას“.

მარა მარტო ვაჭრები არ იყვენ ამ დევიზის თაყვანისმცემლები. რევოლიუციის წინა ხანებში სახელმწიფოს თავის გამდიდრების საუკეთესო საშვალებათ ვაჭრობა-მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მონოპოლიზაცია ქონდა, ან კიდევ ამ მონოპოლიის რამდენიმე ბედნიერ პირთათვის მიყიდვა, ე. ი. მათთან ერთათ იმ შემოსავალის განაწილება, რომელიც მოხ-

მარებელ საზოგადოების უსაზღვრო ექსპლოატაციისგან შემოდიოდა. ყველაზე უფრო ხელსაყრელი ამ მხრით კოლონიების დიდი სავაჭრო საზოგადოებების მონოპოლია იყო. ამასთანავე სხვა და სხვა ქალაქებში არსებობდა კიდევ სავაჭრო მონოპოლიები, რომელიც ამქრების მსგავსათ მოწყობილ სხვა და სხვა კორპორაციებს ეკუთვნოდა. ერთი ასეთი კორპორაცია ტიურგოს რეფორმებსაც გადაურჩა. ეს იყო ღვინით მოვაჭრეთა ცეხი პარიზში. გასაკვირველი არაა, რომ ის ხალხი, რომელიც ამ პრივილეგიებით სარგებლობდა, თუმცა თვითონ მესამე წოდებას ეკუთვნოდა, მარა მაინც სახელმწიფოს ძველ წყობილების მომხრე იყო, მრეწველობა-ვაჭრობაზე არა ნაკლებ შეეიწროებული იყო ძველი რეჟიმით. მთავრობას ეს, რასაკვირველია, მითი კი არ მოდიოდა, რომ მისი მოსპობა სურვებოდეს; წინააღმდეგ, ის ყოველი ღონით ცდილობდა მფარველობა გაეწია მისთვის. კაპიტალისტური წარმოების აყვავება სახელმწიფოს სიმდიდრის ერთ უმთავრეს წყაროთ ითვლებოდა და ამიტომაც მას მფარველობას და დახმარებას უწევდენ. რადგან ხელოსანთა ამქრები ყოველი ღონით ცდილობდენ სხვა და სხვა დაბრკოლებები დაედვათ წინ კაპიტალისტური წარმოებისთვის, რომლის მეტოქეობა მათ მეტათ არა სასია. მოვნოთ ურჩებოდათ, ამიტომ მეფეებმა მიიღეს ის თავის საკუთარ მფარველობის ქვეშ. ამქრების მოსპობა და ამნაირათ მათგან ყოველივე დაბრკოლების სამუდამოთ თავიდან მოშორება, მეფეებს, რასაკვირველია, ფიქრშიაც არ მოდიოდათ, რადგან, როგორც ქვევითაც დავინახავთ, ამქრობის მოსპობით ისინი კარგ შემოსავლის წყაროს კარგავდენ. სამაგიეროთ ისინი აძლევდენ სხვა და სხვა მანუფაქტურებს ლრამოტებს, რომლის ძალით უკანასკნელნი თავისუფალი ხდებოდენ გადასახადებისაგან და სხვა და სხვა ამქრული და ფეოდალური ზღუდეებისაგან. ასეთ პრივილეგია-მოპოვებულ მანუფაქტურას, „კოროლის მანუფაქტურას“ ეძახდენ. მეფეები ამით არ კმაყოფილდებოდენ. რომ მანუფაქტურას საუკეთესო ღირსების საქონელი

ეწარმოებია, მწარმოებელი ვალდებული იყო ცოდნოდა საუკეთესო წესი წარმოებისა და ასეთი წესის შემოღება და ხმარება სავალდებულო იყო ყველასათვის განსაკუთრებულ რეგლამენტების ძალით. შესაძლებელია, მანუფაქტურულ წარმოების პირველ დაწყებით ხანაში ასეთი ზომები სასარგებლოც იყვენ მისთვის, მარა საქმე სულ სხვა გვარათ დატრიალდა მე 18-ე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა სამანუფაქტურო წარმოება სწრაფათ გაიზარდა და განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ახალი წარმოებისთვის მეტათ ხელის შემშლელი იყო, ის გარემოება, რომ მხოლოთ მეფის მიცემულ პრივილეგიას შეეძლო მისი დაცვა ხელოსანთა ამქრების შევიწროებისა და საჩივრებისაგან, ყოველგვარი რეგლამენტები კი პირდაპირ აუტანელი შეიქნა. იმის მაგიერ, რომ წარმოების საუკეთესო წესის გავრცელების საშვალება ყოფილიყო, ის ახლა ძველ, გამოუდეგარ წესის შერჩენის საშვალებათ გადაიქცა. მე-18-ე საუკუნის მესამოცე წლებში დაიწყო ტეხნიკური რევოლიუცია, რომელმაც მანუფაქტურა ქარხანათ შესცვალა და შექმნა ჩვენი დროის მსხვილი წარმოება. წინეთ, მანუფაქტურულ წარმოებაში წარმოების წესი და იარაღები მეტათ იშვიათათ იცვლებოდა. ახლა კი ყოველი ახლათ ამოჩენილი იარაღი სულ მალე იდევნებოდა უფრო ახალი იარაღებით. ეს გაუმჯობესებული და ახალი საშვალებები ინგლისში დაუყოვნებლივ შედიოდა მოქმედებაში და რომ საფრანგეთს შეძლებოდა ინგლისთან მეტოქეობის ატანა, ისიც არ უნდა ჩამორჩენოდა ტეხნიკურ პროგრესს.

ამ ნაირათ ბიუროკრატიული რეგლამენტების და ამქრული ზღუდეების მოსპობა წაგებ-მოგების საკითხი კი აღარ იყო, არამედ ეს იყო საკითხი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საფრანგეთის კაპიტალისტური წარმოების სიკვდილი ან სიცოცხლე. მარა ტყუილათ ცდილობდა ტიურგო (1776 წ.) ამ ძველი ნაშთების მოსპობას. „უპირატესმა“ წოდებამ კარგათ იცოდა, რომ რაკი რეფორმა ერთხელვე დაიწყებოდა,

ის მერე აღარ შეჩერდებოდა. ამიტომ მათ დასცეს ტიურგო და ამნაირათ ჩაფუშეს რეფორმების საქმე. მსხვილი წარმოების შემხუთავი ჯაჭვების დასამსხვრევათ ერთი გზა ღა დარჩა: რევოლიუცია.

მწარმოებელ კაპიტალისტების არა მცირედი რიცხვი იყო დაინტერესებული ძველი რეჟიმი თავის პრივილეგიებიანა. კაპიტალისტური წარმოება, ისე როგორც ვაჭრობა, თავდაპირველათ უმთავრესათ მდიდართა მოთხოვნილების— ფუფუნების დამაკმაყოფილებელი იყო, მით ემეტეს, რომ ეს წარმოება მეფის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და, შეიძლება ვთქვათ, მარტო სასახლისთვის არსებობდა. საფრანგეთის მანუფაქტურა აწარმოებდა აბრეშუმეულობას, ხავერდს, არშიებს, ნოხებს, ფარფორს, პურს, ქაღალდს (ასი წლის წინეთ ქაღალდი ჯერ კიდევ მხოლოდ მდიდართა ხელმისაწდომი იყო) და სხვ... ყველა ეს საქონელი უმთავრესათ კარის აზნაურებსა და უპირატეს წოდებაში საღდებოდა. მათი შემოსავლის შემცირება მწარმოებელ კაპიტალისტების ერთი ნაწილისთვის დიდათ საზიანო იყო და იმიტომ რევოლიუცია მათ შორის მაინც და მაინც დიდ სიმპატიას არ იწვევდა. ფრიად შესანიშნავია შემდეგი ფაქტი: როცა 1793 წელში რევოლიუციის მოწინააღმდეგეებმა იარაღს მოკიდეს ხელი, ამ საქმეს ყველაზე ჩამორჩენილ ვანდეასთან ერთათ, რომელშიაც სავსებით იყო დარჩენილი ფეოდალური მეურნეობა სათავეში დაუდგა ლიონი, პირველი სამრეწველო ქალაქი სახელმწიფოში, შესანიშნავი თავის აბრეშუმის და ოქროს ქსოვილების წარმოებით. ჯერ კიდევ 1790 წელში აქაურმა სასულიერო წოდებამ და აზნაურობამ სცადეს აჯანყების მოხდენა, და ამის შემდეგაც დიდხანს ეს ქალაქი კატოლიციზმის და ლეგატამიზმის უმთავრეს სიმაგრეს წარმოადგენდა. 1795 წელშიაც, როცა იაკობელების ბატონობა დაეცა, პარიჟის ბურჟუაზია სრულიადაც არ ფარავდა თავის როიალისტურ და ანტირესპუბლიკურ სიმპატიებს. მარტო მის ნებაზე რომ ყოფი-

ლიყო საქმე დამოკიდებული, ის მაშინვე აღადგენდა ლეგიტიურ მონარქიას და არისტოკრატ-ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებაზედაც იზრუნებდა.

IV

არა ნაკლები წინააღმდეგობა იყო გამეფებული ხელოსანთა შორის. ამქრული ორგანიზაცია კარგა ხანია რაც ერთ წერტილზე იყო გაყინული. ის გადიქცა საშვალებათ—მთელი სახელოსნო წარმოება რამდენიმე არჩეულთა ხელში გადა სულიყო. ის შეიქნა პრივილეგია ოსტატისა, განსაკუთრებული უფლება მისი. რამდენათ პატარა იყო და ვიწრო ამ არჩეულ პირთა სამოქმედო ასპარეზი, იმდენათ ადვილი იყო და ხელსაყრელი ქარგლების და მხმარებლების ექსპლოატაცია. ქარგლის ოსტატთა წოდებაში გადასვლა თითქმის შეუძლებელი გახდა. ოსტატათ გახდომისათვის საჭირო იყო: ქარგალი ან ოსტატის შვილი უნდა ყოფილიყო, ან უნდა შეერთო რომელიმე ოსტატის ქალი; ანდა ოსტატის ქვრივზე უნდა დაეწერა ჯვარი. რომ ვინმე გარეშეს ოსტატის უფლება მიეღო, ეს შეზღუდული იყო არა მარტო ათასგვარი პირობებით, არამედ გარემოცული იყო იმ გვარი მოთხოვნილებებით, რომლებიც შეუძლებლათ ხდიდენ დასახელებული უფლება მიეღოთ. ხშირათ ამქრული ორგანიზაცია ისე კარჩაკეტ ილი იყო, რომ განსაზღვრულ წევრებზე მეტის მიღება არც კი შეიძლებოდა. ოსტატები ძლიერ ცდებოდენ, თუ იმას ფიქრობდენ, რომ განუსაზღვრელ, პოლიციურ სახელმწიფოში შეიძლება მონოპოლიის შერჩენა მხოლოთ მარტო თავის სასარგებლოთო. ძველი სამეფო უკანონოთ თვლიდა რომელიმე მცირე ჯგუფს მონოპოლისი საშვალებით ეყვლიფა ხალხი და მისთვის ე. ი. ძალის წარმომადგენლისთვის არაფერი ერგუნებია. უფლება ოსტატის წოდების მოწმობის გაცემისა—რა თქმა უნდა კარგს ფასებში—გვირ-

გვინის მონოპოლიათ იქნა აღიარებული. მანვე იგდო ხელ-
ში უფლება საამქრო გამგეობის წევრების დანიშვნისა. თუ
ამქრები მოისურვებდენ შეენარჩუნებიათ თავის პრივილეგიე-
ბი, ამ შემთხვევაში მათ გვირგვინოსნისთვის უნდა ეძლიათ
აუარებელი ფულები. აქ დაწესებული ფასები არ არსებობდა,
არამედ რამდენსაც და როცა გვირგვინი მოისურვებდა, ეს ე. ი.
როცა ტახტი ფულს საჭიროებდა*). ოსტატები ძლიერ მოწადი-
ნებული იყვენ დაეცვათ პრივილეგიები და ძველი სახელმწიფო
წყობილება: ისინი, როგორც ყველაზე ნაკლები პრივილეგიის
მქონე, მსხვერპლი უნდა შექნილიყვენ რეფორმაციის პოლი-
ტიკისა. ტიურგოს რეფორმების პირველი ისარი მართლაც
მათ მოხვდათ გულში ყველაზე უწინ. სულ წინააღმდეგ პი-
რობებში იმყოფებოდენ ქარგლები: მათ შეადგინეს ცალკე
წოდება განსაკუთრებულ წოდებრივი ინტერესებით. ისინი
დაქირავებულ პროლეტარებათ არ თვლიდენ თავიანთ თავს.
ხელი-ხელ ჩაკიდებული ისინი ერთათ მოქმედობდენ იმ ოს-
ტატებთან, რომლებიც ამქრულ ორგანიზაციას არ ეკუთვნო-
დენ, და რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი. თვითეუ-
ლი ქარგალი იმას ნატრობდა და ოცნებობდა, რომ რამე
ნაირათ ოსტატი გამხდარიყო, რასაც ეწინააღმდეგებოდენ
არა ეკონომიური პირობები, არამედ პოლიტიკური დაწესე-
ბულებანი. ისინი ცდილობდენ შეეცვალათ არა წარმოების
ფორმა, არამედ ზოგიერთი შემავიწროებელი კანონები; მათ
არ უნდოდათ მომსპარიყო სახელოსნო სისტემა წარმოებისა
და ახალი, უკეთესი შემოეღოთ; ისინი ცდილობდენ სახე-
ლოსნო შრომის ორგანიზაცია შეეცვალათ და გადაესხვაფე-
რებიათ. ისინი მეტათ მტრულათ უყურებდენ ამქრის ოსტა-
ტებს. ამავე დროს კი სულით და გულით შეტრფოდენ ოს-

*) ჰენრიხ მესამემ 1581 წელს გამოაცხადა, რომ არავის არა აქვს
ნება ოსტატათ გახდომისა, ვინც არ იყიდის მეფისაგან ამ წოდების მო-
წმობასო.

ტატათ გამხდარიყვენ, სხვა ოსტატებთან დამჯდარიყვენ, რომელთა რიცხვიც თანდადან იზრდებოდა და მატულობდა.

რევოლიუციის დაწყებამდე სამეფოში იყო ისეთი ადგილები, სადაც ამქრული წყობილება არ იყო შემოღებული. თავდაპირველათ ამქრული ორგანიზაცია თითონ ქალაქებში განმტკიცდა და გამაგრდა; სოფლებში არ იყო გავრცელებული. ქალაქებთან მახლობლათ მდებარე ზოგიერთი სოფლები თუმცა შეუერთდენ ქალაქებს, მაგრამ დღევანდლამდე შეინარჩუნეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. როცა ლიუდოვიკო XIV მეფობის დროს მძვინვარებდა საშიშარი სიღატაკე და სიღარიბე იმ ხელოსანთა შორის, რომელნიც ამქარს არ ეკუთვნოდენ და რომელთა ზიზღი ამქრის წინააღმდეგ საკმარისათ გაიზარდა, მთავრობამ მოინდომა დაემშვიდებია აღელვებული ხალხი იმით, რომ გააფართოვა ამ ადგილების პრივილეგიები. განსაკუთრებით ბედნიერ ყოფაში დარჩა პარიჟის უბნები: სენტანტუანის და du Temple. ყველა ქარგალი, რომელიც ოცნებობდა დამოუკიდებლობაზე და არავითარი იმედი არ ქონდა ამქრის ოსტატათ გამხდარიყო, გაეშურა ამ მიდამოებისაკენ. რამდენათ ძლიერდებოდა მათი რიცხვი, იმდენათ იზრდებოდა მათ შორის კონკურენცია, იმდენათ მეტი უკმაყოფილებით ემორჩილებოდენ სახელმწიფოს მიერ შემოღებულ ზომებს; იმდენათ მეტ ზიზღს და შურს გრძნობდენ იმ ოსტატთა მიმართ, რომელნიც შეძლებულათ ცხოვრობდენ. იქ, სადაც ამქრული წყობილება არ იყო შემოღებული, კაპიტალისტები აშენებდენ მანუფაქტურას. იქ ყველაზე ადრე იშოვიდენ იმას, რასაც მეტათ საჭიროებდენ—გამოცდილ და მცოდნე მუშებს, რომელთაც როგორც უნდოდათ ისე გაყვლეფდენ. ამგვარათ, სხვა ათას წვრილ ოსტატთან და ქარგალთან ერთათ აქ ეხვდებით აუარებელ დაქირავებულ მუშებს, რომელნიც ხელოსნებიდან იყვენ გამოსული და მათ აზრებს ეთანხმებოდენ. პრო-

ლეტარიატი, როგორც დამოუკიდებელი კლასი რევოლიუ-
ციამდე არ არსებობდა.

ამ ელემენტებს უერთდებოდენ სხვებიც, რომლების ინ-
ტერესებიც არ ეწინააღმდეგებოდენ მათ ინტერესებს, როგორც
მაგალითათ წვრილი მოვაჭრენი და სხვა. თუმცა ძლიერ აკ-
რელებული იყო ეს მასსა, მაგრამ მას მაინც ერთი მისწრაფე-
ბა და ლტოლვილება ქონდა.

ის გამსჭვალული და გაჟღენთილი იყო საშიშარი სიძულვი-
ლით არა მარტო პრივილეგიების მქონე წოდების მიმართ:
არისტოკრატიის, სამღვდელოების და ამქრის ოსტატების, არა-
მედ ბურჟუაზიის მიმართაც, რომელიც ყველაფდა მას როგორც
ვაჭარი, ჩარჩ-ბაცაცი და წურბელი. მაგრამ მაინც მიუხედავათ
ამ სიძულვილისა, რომელიც ხანდახან გამოხეთქდა თავის მწვა-
ვე შედეგებით, სანკიულოტები ისეთი სოციალისტები იყვენ,
როგორც დღეს მაგალითად ანტისემიტებია. რასაკვირველია,
ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ სანკიულოტები და
ანტისემიტები სხვა რამეებშიაც ერთმანეთს გავდენ. ანტისემი-
ტიზმი იმდენათ უახლოვდება სანკიულოტობას, როგორც უი-
ლაჯო გაჯავრება დახავსებულ მოხუცებულისას, რომლითაც
ის ზიზღს უცხადებს ცხოველ-მყოფელ აღფრთოვანებას და
მოქმედებას მხნეობით სავსე ახალ გაზდობისა.

სრულიად არ უნდა ესმოდეს კაცს საქმის გარემოება,
რომ სანკიულოტები პროლეტარებათ ჩასთვალოს, ამ სიტყვის
ღღევანდელი მნიშვნელობით, შეუფარდოს ისინი მხვილ მრე-
წველობაში დაქირავებულ მუშებს და მიაწეროს მათ უკანა-
სკნელთა ტენდენციები, როგორც ჩადიან პრუსიის შკოლის
ისტორიკოსები ზიბელიდგან დაწყებული ონკენ და მარელ-
გოლცამდე. ამგვარი აბდაუბდობა და გაუგებრობა ძლიერ შეუ-
შლის ხელს გაცნობას არა მარტო ამ ელემენტებისას, არამედ
მთელი რევოლიუციისას, რომელზედაც დიდი გავლენა ქონ-
დათ მათ. ძველ სახელმწიფოს პოლიტიკამ ერთათ მოუყარა
თავი საფრანგეთის ყველა ძლიერ და თავდადებულ ელემენ-

ტებს პარიჟში, რომლებიც არას დაკარგავდენ და ყველაფერი კი უნდა შეეძინით. გასაკვირიც არაა, რომ პარიჟის ეს ადგილები სული და გული იყო რევოლიუციის. ისინი გაბატონდენ პარიჟზე და პარიჟის შემწეობით—მთელ საფრანგეთზე. მათთვის რევოლიუცია არ დასრულებულიყო მარტო პრივილეგიების უარის ყოფით: ისინი კიდევ შორს უნდა წასულიყვენ და რევოლიუცია მუდმივათ უნდა აღეარებინათ. მათ არ შეეძლოთ დამშვიდებულიყვენ, იმისთვის რომ მათი მისწრაფებანი ეწინააღმდეგებოდენ ნამდვილ და სწორ მსვლელობას კაპიტალისტურ ფორმის განვითარებისას, რომელსაც თითონ გაუკაფეს გზა; ამასთან მათ არ შეეძლო კაპიტალისტური ფორმა წარმოებისა შეეცვალათ და სხვა უმაღლესი ფორმა შემოეღოთ. საამისოთ დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. მათი მიზნის განხორციელება—ყველას და თვითეულის კეთილდღეობა, შრომის საფუძველზე ამოცენებული,—შეუძლებელი იყო, ვერ თავსდებოდა კაპიტალისტურ მეურნეობის მსწრაფელ განვითარებასთან ერთით. მხოლოდ მუდმივ, განუწყვეტელ რევოლიუციას თუ შეეძლო ხელი შეეშალა მოზარდ კაპიტალისტურ წარმოებისათვის, მით რომ ძალით ჩაერეოდა საზოგადოებრივ—ეკონომიურ ცხოვრებაში, დააწესებდა მაქსიმალურ ფასებს აუცილებელ საჭირო საგნებზე, დასჯიდა სპეკულიანტებს, ჩარჩ-ბაცაცებს, დროიძეებს, მოიჯარადრეთ... მაგრამ ამხედრებულიყვენ ბოროტების ძირის კაპიტალისტურ წარმოების—წინააღმდეგ მათ არ შეეძლოთ: ის ცხრა თავიანი დევი გახთა, რომელსაც რამდენათ მეტ თავს ჭრიდენ იმდენათ ჩქარა ახალ-ახალი თავები ესხმოდა. სანკიულოტების მდგომარეობა მეტათ უნუგეშო იყო. ისტორიამ არგუნა მათ უფლება, მაგრამ არავითარი საშვალება არ მიუცია მტკიცე და გამოსადეგი დაწესებულებები შემოეღოთ.

რევოლიუციასთან კავშირის გაწყვეტა ნიშნავდა იმას, რომ ისინი თავის ნებით უნდა დამორჩილებოდენ იმ სიღატაკეს, რომელსაც კაპიტალისტური წარმოება უმზადებდა ხელო-

სნებს, წვრილ ვაჭრუკანებს და პროლეტარებს, ეს ნათელი იყო, როგორც მზიანი დღე. მათ ეს შეიგნეს. მათ დარჩენოდათ ერთათ ერთი: ცდილიყვენ შეენარჩუნებიათ. უფლება რამდენათ მეტ წინააღმდეგობაში ვარდებოდენ ისინი თანამედროვე წარმოების განვითარების გამო, რამდენათ მათი მისწრაფებანი ეწინააღმდეგებოდენ სხვა დანარჩენ კლასების ინტერესებს, იმდენათ მათ უნდა ესარგებლათ ერთათ ერთი შერჩენილი იარაღით-ტერორით; იმ იარაღით, რომლის ხმარება აუცილებელი იყო სამხედრო წესების გაძლიერების გამო.

მარა ყოველთვის განაგო და მართო ქვეყანა ერთნაირი საშვალებებით არ შეიძლება. განუწყვეტელი რევოლიუცია ნიშნავდა განუწყვეტელს ბრძოლას: საფრანგეთი ებრძოდა გარეშე სახელმწიფოებს, პარიჟი-პროვინციებს, გაღატაკებული უბანი-შეძლებულებს. დაბოლოს ეს ნიშნავდა შინაურ ბრძოლას „რევოლიუციონურს მასსაში“. განუწყვეტელ და მუდმივ ბრძოლაში რევოლიუცია დაიქანცა და ადგილი დაუთმო ბურჟუაზიას, რომელიც მიეხედავათ ათასი დაბრკოლებისა, საათობით იზრდებოდა. მან მიიმხრო შიშველი და მშიერი ხალხი და ჯარიც დაიახლოვა. ჯარი გლეხი-კაცებიდან შედგებოდა, რომლის ინტერესები განსხვავდებოდენ წვრილ მოქალაქეთა და პროლეტარიატის ინტერესებისაგან.

ამ დამარცხებას, რომელსაც თან მოყვა, 27 ივლისს 1794 წელს, რობესპიერის გადაყენება, და რომელსაც მოაწერეს ხელი და დაამტკიცეს 24 მაისს 1795 წელს,—ამ დამარცხებას უწოდებენ რევოლიუციის დამხობას. ვითომც ისტორიული მოვლენა, ნამდვილ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე აღმოცენებული შეიძლებოდეს „დაემხოს“! რომელიმე საქმე, კერძო პირების მოფიქრებული, შეთქმულობა-აჯანყება, შეიძლება მართლაც დამხობით გათავდეს, მარა არას შემთხვევაში ეს არ ითქმის ისტორიულ განვითარების შესახებ, რომელიც მხოლოთ მაშინ იქცევა რევოლიუციათ, როცა ის დასრულებულია: რევოლიუცია, რომელიც დაემხო, რევოლიუციათ არ

ჩაითვლება. რევოლიუციის დამხობაზე ლაპარაკი ისეთი სისულელეა, როგორც ქარიშხალის დამხობაზე ბაასი. ქარიშხალის დროს შეიძლება დაიღუპოს ეს თუ ის გემი, რევოლიუციის დროსაც ასე მოხთება—დამარცხდება ეს თუ ის პარტია. ერთი რომელიმე პარტია რევოლიუციას შეუუფარდოთ და მივაწეროთ მას ის მისწრაფებანი, რომლითაც გამსჭვალული იყო ერთი რომელიმე პარტია,—ეს არ შეიძლება.

იაკობინცები და პარიჟის ზოგიერთ უბნის მცხოვრები დამარცხდენ. იმისთვის რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი რევოლიუციამდე არ წარმოადგენდენ ნიადაგს, რომელ ზედაც შესაძლებელი ყოფილიყო წვრილ მოქალაქეს, ხალხს და პროლეტარიატს ფეხი მოემაგრებია, უნიადაგო გამოდგა ყველა ის ღონისძიებანი, რომლის წყალობით ისინი ლამობდენ შეეჩერებიათ კაპიტალისტური რევოლიუცია. მაგრამ მათ მოღვაწეობას ტყუილა უბრალოთ არ ჩაუვლია. ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალისტთა სხვა და სხვა ფრაქციები დაინტერესებული იყვენ დაეცვათ და სრულიათ არ მოესპოთ ძველი სახელმწიფო წყობილება: რევოლიუციის დროს, მათ რაღაც ცოტ-ცოტა უნდა დაეკარგათ, ამისთვის რევოლიუციას ასე გულცივათ ეკიდებოდენ. რომ მოესოთ და უარეყოთ ფეოდალური შევიწროებანი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ჯარსა და ეკლესიაში, ამისთვის სულ სხვა ხალხი იყო საჭირო, ისინი, ვინც რევოლიუციის დროს არას დაჰკარგვენ, რომელთაც არავითარი კავშირი არ ქონდათ უმაღლეს წრეებთან, რომელთაც ექნებოდათ ღონიერი მკლავი და მაჯაგი მუშტი. ასეთები იყვენ გლეხკაცები, ამქარს გარეშე ხელოსნები და პროლეტარები. მათ ხელათ დაიკავეს სატახტო ქალაქი პარიჟი, დაიმორჩილეს მთავრობა, მეფე, შემოიღეს ხალხის წარმომადგენლობა. შიმშილით წაქეზებული ისინი სულ წინ, წინ გარბოდენ. თავდაპირველათ მათ მიუძღოდა ბურჟუაზია; მარა ამ ბოლოს, როცა ის შეჩერდა, მათ გადათელეს ის და გასწიეს. ისინი წარმოადგენდენ იმ ძალას, რო-

მელმაც შესძლო აეგავა საფრანგეთის მიწიდან ფეოდალური სახელმწიფო ისეთი სისწრაფით, რომლის მზგავსიც არ მომხდარა არც ერთ ქვეყანაში. მანვე გაასწორა და დაამზადა ნიადაგი, რომელზედაც დირექტორიის და ნაპოლეონის გამგეობის დროს შეუდარებელი სისწრაფით უნდა ამოცენებულიყო წარმოების ახალი ფორმა, ახალი საზოგადოება. რაიც არ შეეძლო გაეკეთებია კაპიტალისტებს, ეს შეასრულეს თავიანთ ნების წინააღმდეგ კაპიტალისტების მოსისხლე მტრებმა.

საფრანგეთის და განსაკუთრებით პარიჟის წვრილ მოქალაქეთა რევოლიუციონური ბრძოლა თუმცა დამარცხებით დასრულდა, მარა მაინც უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია. ძლიერება, რომელიც ამ წოდებამ რევოლიუციის დროს გამოიჩინა, ის დიდებული როლი, რომელსაც ის აქ თამაშობდა,— ყველა ამან მოამზადა ის თავისი თავის შეგნება, ის პოლიტიკური სიმწიფე, რომელსაც დღესაც დიდი გავლენა აქვს ცხოვრებაში. იაკობინცების ტრადიციები ახალგაზდობის შარავანდედათ გარს შემორტყმიან საფრანგეთში ბურჟუაზიულ-რადიკალიზმს; თუმცა ის მოხუცებულია, მარა თავის მხნეობით და ეაქკაცობით გააცილა თავის მომძეთ კონტინენტზედ. ამ ტრადიციების წყალობითაა, რომ ნაწილი საფრანგეთის პროლეტარიატისა ბურჟუაზიულ მისწოაფებას ვერ გასცილებია, თუმცა ამ ბოლო დროს ეს ნაწილი თანდათან სუსტდება და მცირდება.

მხოლოთ ჩვენი ისტორიკოსების შეშინებული წარმოდგინება თუ აიძულებს მაი, ყველა იაკობელი კომუნისტათ მოეჩვენოს. ნამდვილათ კი სახელდობრ იაკობელების ტრადიციები აპრკოლებენ საფრანგეთში ალორძინდეს ძლიერი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია.

V.

გლეხობა თავის საზოგადოებრივ მდგომარეობით და განვითარებით პროლეტარებზე, წვრილ ვიპრუკანებზე და ამქარს

გარეშე დარჩენილ ხელოსნებზე და I.ხ—ზე ბევრათ უფრო დაბლა იდგა. უკანასკნელი, რადგან ქალაქებში ცხოვრობდენ, შეუძლებელი იყო არ მოყოლოდენ იმ გონებრივი მოძრაობის გავლენის ქვეშ, რომლის ცენტრს ქალაქი წარმოადგენდა. გარდა ამისა მთავრობასთან მახლობლათ ცხოვრობდენ და ვიწრო ტერიტორიებზე მრავლათ იყვენ შეჯგუფულნი. ასე ერთათ ახლო ცხოვრებამ და განვითარებამ მათ მისცა ძალა და უხარი მართებლობის წინააღმდეგ მოქმედებისა. მთავრობის დაწესებებულების სიახლოვემ კი შეაძლებინა პირდაპირი, უშუამავლო ზედმოქმედება ექ. ნებია მთავრობაზე. თუმცა საოცარი დაჩაგრული იყო ქალაქის მცხოვრებლების დაბალი ნაწილი, მარა გლეხობის ხვედრი კიდევ უფრო მძიმე, აუტანელი იყო თვითნებობა, რომელიც მათზე პარპაშობდა, კიდევ უფრო დაუსჯელი რჩებოდა. მთელ მხარეზე მოფანტულ, ერთი მეორეს დაშორებულ, ყოველ გონებრივ საზრდოს მოკლებულ გლეხობას არავითარი ღონე არ ქონდა არა თუ საერთო წინააღმდეგობა გაეწია შემვიწროებლებისათვის, იმდენიც ვერ მოეხერხებია, რომ თავის კვნესა-გოდებით ვისიმე ყურადღება მიექცია.

მაშინ როდესაც აზნაურობა, სასულიერო წოდება სახელმწიფოს და ქალაქის ბიუროკრატია, ერთი სიტყვით ყველა ასე თუ ისე შეძლებული ნაწილი სრულიად ან რაოდენადმე მაინც თავისუფალი იყო სახელმწიფოს პირდაპირი გადასახადებისაგან, საწყალ გლეხობას მთელი თავის საოცარი სიმძიმით აწვა კისერზე. ხშირათ მისი წმიდა შემოსავლის სამოცდა ათი პროცენტი გადასახადს მიქონდა. საშვალო რიცხვით კი პირდაპირ . გადასახადათ წმინდა შემოსავლიდან 50 პროცენტს იხდიდა. სამხედრო სამსახური უმეტესათ გლეხებს აწვათ. მათგან ყოველ წლობით 60,000 ჯარის კაცი გაყავდათ. აზნაურობა კი თავისუფალი ბრძანდებოდა სამხედრო ბეგარისაგან და თავს უტიფრათ იმით იმართლებდა, მართალია გადასახადისაგან თავისუფლები ვართ, მარა მაგიერში „სისხლის ბეგარას“

ვიხდითო, რომელსაც ვითომ მარტო და მხოლოთ ის იხდიდა სამშობლოს წინაშე. ნამდვილათ კი ეს „სისხლის ბეგარა“ რამდენათ მას დღეს ასრულებდა აზნაურობა, მძიმე, თავგასაწირავ მოვალეობისაგან სამშობლოს გაყვლეფის ხელ-საყრელ პრივილეგიათ შეიქნა. იმ საყვედურზე კი, უსამართლობაა ჯარში მარტო გლეხები რომ გაყავთო, ამ წესის მომხრეები ამბობდენ, აქაო და ჯარის კაცის მწირი ცხოვრება და მკაცრი სამხედრო დისციპლინა მხოლოთ გლეხებს შეუძლია აიტანოსო. გარდა ამისა გზების გაკეთება, მხედრობის განაწილების დროს ბინის მიცემა და ბარგის გადატან გადმოტანა გლეხების ვალდებულებას შეადგენდა. იმ დროინდლი სახელმწიფოს შენახვა სულ მეტის და მეტის სიმძიმით აწვებოდა გლეხობას. ამავე დროს ფეოდალიზმის უღელიც არსებობდა მთელი თავისის ძლიერებით. ის არა თუ უღელი, ბორკილი იყო, ხელს უშლიდა და აფერხებდა წარმოების გაუმჯობესობას: რადგანაც ყოველი გაუმჯობესობა ამ მხრივ უცილოთ მისი ფეოდალიზმის მოსპობით უნდა დაბოლოვებულიყო.

გლეხი მას ვერ დათესდა და შეიმუშავებდა, რასაც საჭიროთ თვლიდა. მეათედს მხოლოთ დიდი ხნიდან ცნობილ მცენარეულობაზე იღებდენ და არა ახლათ შემოღებულზე, როგორც მაგალითათ კართოფილზე, იონჯაზე. ამათი შემუშავება არა ერთხელ აუკრძალავთ. მეყანეობის ყოველი გაუმჯობესობა, როგორც მაგალ. სამეული წესის თესლშეცვლით წესზე გადასვლა მეტათ გაძნელებული იყო. ყოველ წამს, გახურებულ მუშაობის დროს, მებატონეს შეეძლო გლეხი თავის სამუშაოზე გაეყვანა. დააღწევდა თუ არა თავს სავალდებულო მუშაობას, მას ახალი უბედურება ემსხვრეოდა თავზე: მიყავდათ გზების გასაკეთებლათ, ან ჯარების ბარგის გადასაზიდავათ. როცა ყანაში ამწვანდებოდა ჯეჯილი, გლეხი ყოველ საშვალებას მიკლებული იყო დაეფარა ბატონის ტრედების, შინაური კურდღლების და სხვა გარეულისაგან. ნადირობის უფლება მარტო აზნაურებს ეკუთვნოდა, აგრეთვე მარტო მას

ქონდა უფლება გაეშვა შინაური კურდღლების ჯოგი და გუნ-
გუნდათ მტრედები და სარგებლობდა კიდეც ამ უფლებით. ეს
ფრინველები და ცხოველები უნდა გლეხებს გრჩინათ, ძალა-
უნებურათ, რასაკვირველია, უნდა დაენებებიათ ასაოხრებლათ
თავიანთი ნაჭირნახულევი. ზოგჯერ გლეხს ავალებდენ კიდეც
ის დაეთესა, რასაც სიამოვნებით მიირთმევდენ მისი მხეცები
და ფრინველები. მხეცების საკუთარ ზედმხედველს ნება ქონდა
მოეკლა ვინც გაბედავდა კურდღლის ან სხვა რომელიმე გარეუ-
ლის მოკვლას. ტენი გაკვირვებულია იმ გარემოებით, რომ რაც
უფრო „ზნეობით ფაქიზდებოდა“ ადამიანი, რაც უფრო
„ვრცელდებოდა განათლება“, მით უფრო მეტ ბარბაროსო-
ბას იჩენდა ნადირობაშიო. მარა ნადირობა ხომ აზნაურობი-
სათვის რამდენათ გასართობი იყო, იმდენათვე გლეხების გა-
საყვლეფი საშუალებაც. რაც უფრო მეტ ბარგათ ხდებოდა
საზოგადოებრივ ცხოვრებაში აზნაურობა, მით უფრო ეძრე-
ბოდა მადა გართობა-სიამოვნების და ექსპლუატაციის. „ზნე-
ჩვეულების სიფაქიზე“ მარტო ერთი მეორეში და ფინანსის-
ტებთან განწყობილებაზე თუ ეტყობოდა. რაც შეეხება ნა-
დირობას, აზნაურობა სულ უფრო და უფრო იმრავლებდა
მხეცებს და ხშირათ ძალიან მავნებელსაც. მაგალითათ კლერ-
მონტში თავადი კონდეს მამულში დიდის მზრუნველობით
ზრდიდენ და უყლიდენ მგლის ლეკვებს მხოლოთ მისთვის,
რომ ზამთარში გამოეშვათ და ზედ ენადირნათ. ეს კეთილ-
შობილი ვაჟბატონები თავიანთ სალონებში ძალიან სასიამოთ
და გატაცებით ბაასობდენ ადამიანობაზე, მარა ამავე დროს
ის კი სრულიათ არ აწუხებდათ, რომ ეს მგლები მუსრს ავ-
ლებდენ გლეხების ცხვრებს და ხშირათ ბავშვებსაც.

მეფე, როგორც პირველი მემამულე [1]), მაშასადამე ქვეყ-
ნის პირველი გამაოხრებელიც იყო. მისი სანადირო რაიონები
პარიზის მიდამოებში იყო გადაჭიმული, და რა თქმა უნდა, ეს
თითქმის შეუძლებლათ ხდიდა აქ მიწის კულტურას. სატახტო
ქალაქის ახლოს, 11 ასეთ რაიონში, მხეცეულობა იმდენ ზა-

რალს შვრებოდა, რამდენიც შეუძლია მხოლოთ მტრის ცხენოსან ჯარის 11 პოლკს[2]). ლუდოვიკო XVI-ს ზეინკალის ხელობის გარდა ერთი გულის თქმა კიდევ ქონდა, ეს იყო ნადირობა. თუ რა ძლიერი იყო ეს გულის თქმა, იქიდან ჩანს, რომ 14 ივლისს, ამ ბასტილიის აღების დღეს, მას დღიურში მელანხოლიურათ აუნიშნავს: ნადირობა არ ყოფილაო. 1762 წელს ერთი რეგლამენტის ძალით სამეფო სანადირო რაიონებში გლეხებს თავიანთ ნაწილების შემოკავება აეკრძალათ, ეს იმისთვის, რომ გარეულ მხეცებს და ფრინველებს თავისუფლათ ენავარდებია გლეხთა ყანა-ბოსტანზე. ამას გარდა ყველას, მეპატრონეებსაც კი აკრძალული ქონდათ 1 მაისიდან 24 ივნისამდის ყანებზე სიარული იმისთვის, რომ ბარტყების გამოჩეკის დროს დურაჯები არ დაეფთხოთ. დაე ამ დროს სულ გამოახრჩოს ბალახ-ბულახმა კულტურული მცენარე, ვის რა დარდი აქვს! იქამდის, 1789 წ., როცა ფეოდალური წესის წინააღმდეგ აჯანყება გაჩაღებული იყო, მაშინაც კი, მიუხედავათ დაინტერესებულ გლეხების ყოველგვარ პროტესტისა, მარტო ერთ ადგილზე ფონტენებლოში 108 ჭალაკი გააშენეს კურდღლისა და დურაჯებისათვის. ამბობენ, ლუდოვიკო XVI კიდევ კეთილი და მოწყალე მეფე იყოვო; მაშ რაღა იქნებოდა ნამდვილ შეუბრალებელი მებატონე-მონადირე!

მიუხედავათ ყველა ამ დაბრკოლება-ზარალისა თუ გლეხს კიდევ რამე დარჩებოდა მოსაწევი, აქაც არ შეეძლო ხელშეუშლელათ შეენახა თავის ჭინახული. სანამ არ გამოცხადდებოდა გადასახადთა ამკრები, არ დაითვლიდა ძნებს და მოსავლის კვალობაზე არ განსაზღვრავდა გადასახადს, მანამ მომკილი პური უნდა მინდვრათ დარჩენილიყო. თუ იმ ხანში ავდრები დადგებოდა, მთელი ჭინახული უნდა დაღუპულიყო;

---

[1] და [2]) Laine. Les origines de la France contemporaine l'ancien regime. გვ. 74.

აი გათავებულია კიდეც მოწევა, მარა გლეხს აქაც არ აქვს უფლება ჭინახული თავის ნებაზე მოიხმაროს. ყურძენი ბატონის ქარხანაში უნდა დაწუროს, მარცვალი ბატონის წისქვილში უნდა დაფქვას, პური ბატონის თონეში გამოაცხოს. მას არ შეუძლია ხელის წისქვილი გაიჩინოს, ამის ნება, რასაკვირველია ძვირათ, ბატონისაგან უნდა იყიდოს. ღვინის საწური ქარხანა, წისქვილი, საცხობი—ყველა ეს ბატონს ეკუთვნოდა, და ის კი იჯარით სცემდა, ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, საოცარ მდგომარეობაში იყო: მუშაობა ნელი და ცუდი. რას დასდევდენ, მუშტარი ხომ „კანონით უზრუნველი“ ყავდათ. ყველა ეს დაწესებულებები არა მარტო აადვილებდა ბატონისაგან გლეხის გაყვლეფას, მინიმუმამდი აკნინებდა მის შემოსავალსაც. თუ ასეთ პირობებში გლეხი კიდევ მოახერხებდა რაიმეს გადანარჩუნებას, დაუბრკოლებლათ იმასაც ვერ გაგზავნიდა ბაზარზე. საკუთარი ღვინის გაყიდვა მხოლოთ ყურძნის მოკრების 4-6 კვირის შემდეგ შეეძლო; ამ დროს ღვინის გაყიდვა ბატონის მონოპოლია იყო. გზები საოცარ მდგომარეობაში, გასატანი და საბაზრო ბაჟი მეტათ დიდი. გლეხი იმითაც კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, თუ თავის საქონელს ისეთ ფასში გაასაღებდა, რომელიც ხარჯს დაუფარავდა. მარა რა ი'შვიათათ შეეძლო გლეხს რამეს გადანარჩუნება! ყველა ეს შევიწროება, ყველა ეს „კანონიერი“ ძარცვა, რომელზედაც ჩვენ მხოლოდ მიუთითეთ მკითხველს, რადგან მარტო მათ აღნუსხვას მთელი რეესტრები მოუნდებოდა, (Uachsmuth თავის „Ceshichte Frankreichs im Revolutionszetalter“-ში ასახელებს 150-ზე მეტს სხვა და სხვა საფეოდალო უფლებებს, რომელნიც 1789 წ. 4 აგვისტოს მოისპო ისე, რომ სამაგიერო არა მიუღია ფეოდალებს) ყველა ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში: ყოველ უფლებას მოკლებული გლეხი სრულიათ მინებებული იყო მართლებლობის მოხელეთ და მიწათმფლობელთა თვითნებობაზე. ამ უკანასკნელთ კი გლეხისაგან მიქონდათ იმდენი კი არა, რამდენიც „უნდა“ წაეღოთ,

არა,—რამდენის წაგლეჯაც შეიძლებოდა. მხოლოთ სრული სილატაკე თუ იხსნიდა გლეხს საბოლაო განადგურებისაგან. მისი ქონი, პირუტყვი, (შინაური საქონელი) იარაღი, ყანა, ყველაფერი უმაღლეს წერტილამდის საწყლათ გამოიყურებოდა, თუ გლეხი ორი გროშის შოვნას მოახერხებდა, ფულათ ინახავდა, რადგან მარტო ფულის დამალვა თუ შეიძლებოდა კანონის მსახურთა ხარბი თვალისაგან. ფულს თუ გაიმეტებდა ისევ ნაკუწი მიწის შესაძენათ და არა მეურნეობის გასაუმჯობესებლათ, რადგან მიწის შემოსავლის აწევა, უთუოთ დაუყონებლივ გადასახადის გადიდებასაც გამოიწვევდა, მხოლოთ უმცირესი ნაწილი გლეხებისა თუ ახერხებდა ორიოდ გროშის გადარჩენას და დამალვას, თორემ უმეტესობის მეურნეობის ცუდი მდგომარეობა აუცილებლობის შიდეგი იყო. სახნავს არ აპატივებდენ, ნიადაგი მალე მწირდებოდა, მოუსავლობა ქვეყნის ხშირ-ხშირი სტუმარი შეიქნა, შემონახული, რასაკვირველია, არაფერი იყო, დადგებოდა თუ არა მოუსავლიანი წელი, მაშინვე აუცილებელი სიმშილობა მოყვებოდა. ამ დროს მრავალი გლეხისთვის მეურნეობის გაგრძობა შეუძლებელი ხდებოდა; ისინი ტოვებდენ სამშობლოს, სოფელი თანდათან ცალიერდებოდა. უკვე 1750 წელს კენე ამბობდა სახნავ-სათესი მიწების მეოთხედი დაუმუშავებელი რჩებაო; რევოლუციის წინ არტურ უნგი წერდა მესამედი ცალიერი რჩებაო. (9 მილიონ გეკტარზე მეტი!) სამეურნეო საზოგადოების ცნობებით ამავე დროს ბრეტანში ორი მესამედი სახნავ-სათესისა ცალიერი იყო.

მიუხედავათ ამისა, რომ გლეხების რიცხვი მცირდებოდა, გადასახადის საერთო ჯამი სწრაფათ მატულობდა და თანდათან გლეხთა უფრო და უფრო მცირე რიცხვზე ნაწილდებოდა. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ზოგიერთ სოფლებიდან ბოლოს მთელი მცხოვრებლები მზათ იყვენ გასაქცევათ. მარა საით? საზღვარ-გარეთ გადასახლება გლეხისთვის მაშინ თითქმის შეუძლებელი იყო; იმათ მიაშურეს ქალაქს, დღის

ქირის მუშათ დგებოდენ, მარა ვაი, რომ აქაც წააწყდენ ფეოდალიზმის შევიწროებას და ამქრულ მონოპოლიას. რამდენათ სწრაფათ მიმდინარეობდა მიწის მუშის გაპროლეტარება, იმდენათ აუტანელი იყო ამქრის მონოპოლია და ფეოდალიზმისაგან შევიწროება. გლეხებმა ააცილეს ამქრულ შევიწროებისაგან თავისუფალი უბნები და ყველაზე მეტათ ხელი შეუწყევს იმ ბრბოს შექმნას, რომელიც აქ სწრაფათ მზადდებოდა სინკულოტობისათვის. ზოგი ჯარში ეწერებოდა, რასაკვირველია, არა უპირატესი წოდების ინტერესების დაცვის სურვილით გატაცებული, იმ წოდების, რომელმაც ისინი სიღატაკის კარზე მიიყვანა და თან ყოველი იმედიც მოუსპო ამ მდგომარეობიდან გამოსვლის. საჭირო იყო რამე გარეშე მიზეზი, რომ წინააღმდეგ თავის შემვიწროებლებისა გამოსულიყვენ. სხვა უმეტესი ნაწილი „მიწისაგან განთავისუფლებულ“ გლეხებისა უკიდურეს სიღატაკეში ჩავარდა და მათხოვრობას და მაწანწალობას მიყო ხელი. უკანასკნელთა რიცხვი მიუხედავათ მკაცრი სასჯელისა, სწრაფათ მატულობდა. უფლებით აღჭურვილთ ეგონათ უბინაობა და უსაქმობა „დანაშაულთა“ დასჯით მოისპობოდა. თუმცა 1764 წ. გამოცემული კანონით მათხოვრობისათვის და უსაქმობისათვის სამი წლით მადნებში მუშაობა იყო გადაწყვეტილი, მარა ამისდა მიუხედავათ 1777 წელს 1.200,000 მათხოვარი ითვლებოდა *). დანამდვილებით არ ვიცით ეს რიცხვი სიდან არის აღებული, მარა ტყვილა, ანაგებაც რომ იყოს აღებული, მაინც მისი მაჩვენებელია, თუ რა საოცარ ზომამდე ყოფილა გავრცელებული მათხოვრობა. ვინც უფრო მედგარი და გამბედავი ხასიათის იყო, მათხოვრობას, რომელთა ხვედრი გამოუსვლელი გაჭირება და სირცხვილი იყო, არ კადრულობდენ. ასეთები შეიარაღებულ ბრბოთ იკრიბებოდენ და ძალაი მიქონდათ ის, რაც ეჭირებოდათ. ავაზაკობა ქვეყნის საშიში და უკურნებელი წყლული გახთა.

*) Loisis Blanc. La Rebol I. 149.

იმ გლეხებშიაც კი, რომელნიც საკუთრებამ და ფეოდალიზმის ჯაჭვმა „მიამაგრა მიწას“, თანდათან იღვიძებდა უკმაყოფილება. მართებლობის მოხელენი და ფეოდალები ხშირ-ხშირათ აწყდებოდენ ეხლა წინააღმდეგობას. მარა ასეთ აქა-იქ შემთხვევითი მღელვარებას მალე აცხრობდენ. საჭირო იყო სატახტო ქალაქში, რომელიც ყოველთვის ქვეყნის „ტონის“ მიმცემი იყო, მომხდარიყო ისეთი ამბავი რომელიც ყველას დაანახვებდა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლის წამის დადგომას, რომ დიდი ხნის შეგუებული ნაღველი ყველგან ერთ-დროულათ გადმომსკდარიყო. მაშინ როცა მოუსაველობამ, მკაცრმა ზამთარმა*) და ბოლოს გენერალური შტატების დეპუტატთა ირჩევნებმა მღელვარება უმაღლეს წვერვალამდის აიყვანეს, ასეთი ამბავიც მოხდა. ეს იყო ბასტილიის აღება. უეცრათ, გლეხების ერთი შეტევით დაინგრა ფეოდალიზმის მთელი შენობა. აზნაურობის კოშკებთან ერთათ მოისპო ფეოდალთაგან ეკსპლოატაციაც, როცა ღირს შესანიშნავ აგვისტოს ღამეს უპირატესნი თავიანთ პრივილეგიებზედ ხელს იღებენ, მაშინ ისინი უარს ყოფდენ მას რაც უკვე აღარ ეკუთვნოდათ ამით მხოლოთ უნდოდათ ის მაინც გადაერჩინათ რის გადარჩენის იმედი კიდევ შეეძლოთ დაეკავებიათ.

არ ითქმის გლეხების მოძრაობა მთელ მხარეს საერთოთ ყველგან მოდებულიყოს, ზევით როცა აზნაურობის მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რევოლუციამდის საფრანგეთში, იყო ისეთი მივარდნილი ადგილები, სადაც ფეოდალიზმის ბატონობის და მის შესაფერ კათოლიკურ შეხედულობას კიდევ ქონდა მნიშვნელობა ადგილობრივ წარმოების წესში. სხვაგან აუტანელი მძიმე უღელი ფეოდალიზმისა, აქ კიდევ დაცვის საშვალება იყო. აქ ყოველი თემი თავის-

*) სეტყვამ და გოლვამ მეტათ შეაფერხეს სამეურნეო მეოჯახეობის შემოსავალი 1788 წ. ამავე წლის დეკემბრის დამლევს პარიზში ტემპერატურა 18°/₀° დიწია; მარტო სენტ-ანტუანის მიდამოში 30,000 სულს ეპივრებოდა შემწეობა.

თვის ცხოვრობდა და ყველაფერს, რაც ესაჭიროებოდა, თითონვე აწარმოებდა. აქაური გლეხის სამშობლო მხოლოთ იქამდინ იყო, სანამდი თვალს მიუწვდენდა თავის ეკლესიის სამრეკლოდან და რაც კი ამ ნამცეცა ჰორიზონტს იქით იყო, ის უცხოეთი იყო მისთვის. ამ უცხოეთთან მას არაფერი საერთო არ უნდოდა ქონებოდა, რადგან, თუ ის შემოიჭრებოდა მის ცხოვრებაში, მხოლოთ იმისთვის, რომ წაერთმია რამე. ამ უცხოეთთან საქმის დაჭერა, მისგან დაფარვა, სოფლის მღვდლის და მისი ფეოდალის მოვალეობა იყო; და აი ეს მისგან შეძულებული უცხოეთი, საზიზღარი პარიზის მეთაურობით წერდა კანონებს და ამ კანონების სისრულეში მოყვანას ძველ მონარქიაზე უფრო დაჟინებით ითხოვდა. ეს კანონები და მოწერილობები აქაური გლეხის ჩვეულებებს, მის საწარმოო წესს უფრო ეწინააღმდეგებოდა, ვიდრე ძველი მონარქიის კანონები, რომელიც პატივისცემით ეპყრობოდა ყველაფერს, რასაც გლეხი სცემდა პატივს, რაც მისთვის ძვირფასი იყო, არ იძიებდა მის ქონებას, და არც ოჯახის და თემის მუშაობის იმ დარგს, რაზედაც დაფუძნებული იყო მისი წარმოების მთელი სისტემა. ეს კიდევ ცოტაა. მისი მტერი უცხოეთი ბოლოს იქამდინ მივიდა, რომ შვილებს ართმევდა და ჯარში მიერეკებოდა, მარა ისე მრავლათ, როგორათაც არც მომხდარა და არც გაგონილა დღემდინ*). დიდი მეცადინეობა საჭირო არ იყო აზნაურობის და სასულიერო წოდების მხრივ, რომ ეს გლეხები, რომელთა შეხედულებაზე მათ ასეთი გავლენა ქონდათ, სახელდობ ვანდეაში და კალვადოსში, აეჯანყებიათ პარიზის კონვენტის წინააღმდეგ. საფრანგეთის გლეხობა საერთოთ კი არასოდეს არ დუჭერდა მხარს ამ აჯანყებას; რადგან მეტათ მჭიდრო კავშირი ქონდა რევოლიუციასთან. ძველი მონარქიის აღდგენა, ეს ხომ ძველი ფეოდალური უღ-

---

*) 1793 წ. თებერვალში კონვენტის მიერ გამოცემული სამხედრო კანონით ყველა უცოლო ფრანგი 18 წლიდან ორმოცამდის ჯარში უნდა გასულიყო, მხოლოთ ამასთანავე ნება-დართული იყო მაგიერის ჩაკენებაც.

ლის, ძველი სიღატაკის დაბრუნებას ნიშნავდა. ძველი მონარ-ქიის აღდგენა ცოტათი ქონების დაკარგვასაც უქადდა. და აი როგორ: საერო საკრებულომ საეკლესიო მამულები საერო საკუთრებათ გამოაცხადა და ამას გარდა ემიგრანტებსაც (გადახვეწილთ) მამულები ჩამოართვა. ეს მამულები იყიდებოდა. თუმცა ეს გარემოება ჩარჩების გამდიდრებას ხელს უწყობდა, მარა გლეხებსაც საშვალებას აძლევდა მიწები შემოემატებიათ, რადგან, რაც შეიძლებოდა, შეღავათს აძლევდენ, უადვილებდენ. საეკლესიო მამულები და შემდეგ გადახვეწილთა მამულებიც ნაჭერ-ნაჭერ იყიდებოდა, გლეხები თავდაპირველათ ცოტას აძლევდენ, და დანარჩენი კარგა დიდი ხნის ვადით ნაწილ-ნაწილათ შეეძლოთ გადაეხადათ. ამას გარდა ბევრი, ვისაც რევოლიუციამდის იჯარით მამული აეღო, დღეს ისე უყურებდა მას, როგორც თავის საკუთრებას.

კარის აზნაურებმა ისეთი სიმამაცე და უქვეშევრდომილესი გრძნობა გამოიჩინეს, რომ როცა თვით სიცხე მიადგათ, საფრანგეთიდან გადაიხვეწენ და მეფე ღვთის ანაბარა მიატოვეს. ეს „უსახლკარო ინტრიგანები“ შეთქმულობას შეთქმულობაზე მართავდენ, უნდოდათ ავსტრიის და პრუსიის ჯარის საშვალებით კვლავ შემოეკრილიყვენ საფრანგეთში და ყველაფერი ხელთ ეგდოთ. მათი გამარჯვება კი ნიშნავდა ფეოდალური წყობილების აღდგენას და ჩამორთმეული მამულების ისევ ეკლესიის და ემიგრანტებისათვის დაბრუნებას. ვინც ცოტაოდნათ მაინც იცნობს იმ მძიმე უღელს, რომლის ქვეშ ძლივს იბრუნებდენ სულს გლეხები რევოლუციამდის, ვინც იცის რა სიყვარულით ეპიდება მიწას გლეხი, ის ადვილათ გაიგებს თუ რათ ამოუდგენ ისინი გვერდში ქალაქის რევოლუციონერებს, რათ მიეშურებოდენ ჯგუფ-ჯგუფათ საზღვრებზე მდგომ მომქმედ ჯარში, რომ დაემხოთ მომაბეზრებელი მტერი. მათ აჯანყებდათ და აფრთოვანებდათ არა საკანონმდებლო საკრებულოს საქმე, შემდეგ კონვენტი, პარიელი იაკობელები, რომელნიც ომიანობის პირველ ხანებში, 1792 წლი-

დან, გრძანებლობდენ საფრანგეთში და განაგებდენ მის მხედრობას; არა, გლეხი არასოდეს არ ყოფილა წარმომადგენელობითი მმართველობის მომხრე, რადგანაც მაშინ თავის განცალკევებული ცხოვრებით და ზნეობა-გონებრივ ველურობის გამო ასეთ მმართველობის დროს მას ყოველთვის მცირე გავლენა ქონდა. რევოლუციის დროს გლეხები სადეპუტატო კაცს ვერ შოულობდენ თავის წრიდან სახალხო წარმომადგენელობითი საკრებულოში გასაგზავნათ; ისევ არჩევდენ ვექილებს, ექიმებს, მოხელეებს, ერთი სიტყვით ქალაქის მცხოვრებთა იმ ელემენტებს, რომელნიც პარიზში ბეჭობდენ და ამ ქალაქის „სარევოლუციო მასის“ ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. ასეთ პირობებში, თუ ამ ელემენტების ინტერესები გლეხთა ინტერესებს შეეჯახებოდა, კანონი უცილოთ გლეხთა საზარალოთ გადიჭრებოდა, ასეთი შეჯახება კი იშვიათი არ იყო. მშიერ მწყურვალი „მეშჩანების“ და პარიზის პროლეტარების დასამშვიდებლათ საფრანგეთის გამგებელ დაწესებულებებს სხვა და სხვა ვალდებულება უნდა ან გლეხებისთვის მოეხვია თავს ან ბურჟუაზიისთვის. რა თქმა უნდა, რამდენათაც შეიძლებოდა, უფრო მოურიდებლათ გლეხებს წაავლებდენ ხელს. წერილ ბურჟუაზიის და გლეხობის ინტერესებ შორის ხშირათ პირდაპირი, დამოუკიდებელი უთანხმოებაც ჩამოვარდებოდა: მაგალითათ, პირველი იაფ პურს ითხოვდა, ხოლო მეორეს უნდოდა რაც შეიძლება ძვირათ გაეყიდა თავის საქონელი. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამწვავდა მაშინ როცა იაკობელებმა, ჟირონდისტების ჩამოგდების შემდეგ, განუსაზღვრელი ბატონობა იგდეს ხელთ, და რათა ბოლო მოეღოთ განუწყვეტელ შიმშილობისათვის, დაეკანონეს უსაპიროეს საგნებზე ფასების მაქსიმუმი და ზომის სისრულეში მოსაყვანათ შემოიღეს უსაპიროეს საგნებზე **რეკვიზიცია** არა მარტო მხედრობისთვის, პარიზისთვისაც. ეს ზომები ვაჭრებისა და ჩარჩების წინააღმდეგ იყო მიმართული, მარა გლეხებსაც კი აზარალა [1]).

---

[1]) შიმშილობის მთავარი მიზეზი საგარეო ომიანობა იყო, რომელიც გარდა იმისა რომ მხედრობისთვის დიდ ხარჯს თხოულობდა, უცხოე-

რევოლუციის ყველა დაწესებულებებზე მეტათ გლეხებს სამხედრო სამსახური შეუყვარდათ. ის ეხლა თავისუფალი იყო ყოველგვარ წოდებრივ განსაზღვრისაგან; აქ მართლაც „ყოველი ჯარის კაცი სამარშლო კვერთხს თავის ჩანთაში ატარებდა“. ჯარს უმეტეს ნაწილათ გლეხები შეადგენდა, რომელთაც ეს სამსახური ბრწყინვალე წარმატებას უქადდა. ვინც სამუდამოთ უბრალო ჯარის კაცათ დარჩებოდა იმათთვისაც კი ის არა მარტო უუძლიერესი იარაღი იყო ახლად მოპოებულ თავისუფლების და ახლათ მოპოებული მიწების ფეოდალებისაგან დასაცავათ, რომელიც ევროპის საშვალებით იმუქრებოდა კიდევ შემოსვლას, ის მისი გამდიდრების საშვალებაც იყო.

ეჰვი არ არის ძლევა-მოსილ რევოლუციის მხედრობისაგან ძარცვა-რბევას ჭკუა დამჯდარი ხალხი რევოლუციის პრინციპების გათელვის (დაღუპვის) აშკარა დამტკიცებათ თვლის. მაგრამ ჩვენ ნებას მივცემთ თავს შევნიშნოთ, რომ ასეთი ნაკლი მათ მონარქიის მხედრობისაგან ქონდათ ნაანდერძევი. ფეოდალური წესის დაცემიდან საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღებამდის, ჯარს შეადგენდა ისეთი ხალხი, რომელიც ცხოვრებაში ვერ იმარჯვებდა და რომელსაც შიმშილ-სიტიტვლე აიძულებდა. ამიტომაც არ არის] გასაკვირალი, თუ ამ ხალხის შეხედულება სამხედრო უფლებაშიც შეტანილიქნა. მართლაც, შოვნის წყურვილი და ჯოხი, აი ის ერთათ ერთი „ზნეობრივი მოტივი“, რომელიც წასული საუკუნის ჯარის კაცს სისხლს ანთხევინებს „მეფისა და სამ-

---

თიდან პურის შემოტანას შეუძლებლათ ხდიდა. შესაძლებელია თვით საშინაო სამოქალაქო ბრძოლა კიდევ უფრო გამანადგურებელი იყო, მარა ყველა ამ მიზეზების გარდა, გლეხები, რომელთაც ძალას აღარ ატანდა მოხელეები და გადასახადთა შემსყიდველები პური უთუოთ მოწევის თანავე დაჯყონებლივ გაეყიდათ, თვით ინახავდენ ეხლა თავის საქონელს, უცდიდენ ფასების აწევას. მართლაც ფასი ყველა ამ მიზეზებისა გამო მალე მატულობდა.

შობლოსათვის", ისევე როგორც მე-16 და მე-17 საუკუნის ჯარის კაცი სიცოცხლეს სწირავს სარწმუნოებისათვის, ე. ი. მისი ასე თუ ისე შემეცნებისათვის. მხოლოთ საყოველთაო სამხედრო სავალდებულო ბეგრის შემოღებით, როცა ჯარში ყველა კლასებიდან გაყავდათ, სამხედრო უფლებაზე შეხედულება ნელ-ნელა იმდენათ მაინც შეიცვალა, რომ ღღეს ომიანობის დროს კერძო პირის გაძარცვა უკადრის საქმეთ ითვლება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა არა „კულტურული ხალხები" იბრძვიან, და როცა „ცივილიზაციას ავრცელებენ" ბარბაროს „ველურ" ხალხებში. იმათ კი ახლაც ისე ეპყრობიან, როგორც ოცდა ათი საუკუნის წინ ასეთ შემთხვევებში ასურელები იქცეოდენ; აქ მტრის ტომის ყველა მცხოვრებლებს ისე უყურებენ, როგორც მტრის ჯარს და მათ ქონებას, როგორც სამხედრო სურსათს, რომელთა განადგურება მოურიდებლათ შეიძლება. საფრანგეთის რევოლიუციის მხედრობის შესახებ კიდევ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მისი მტაცებლობითი ინსტინქტი შესაძლებელი იყო სრულათ გაღვიძებულიყო მხოლოთ მაშინ, როცა იაკობელების ბატონობა დაეცა და „წესიერება" აღდგენილ იქნა, და ამას გარდა კიდევ ამ ინსტინქტებს „კოლექტივიზმის მტრებთან" გლეხებთან ერთათ დიდი გულმოდგინებით ემსახურებოდენ საკუთრების სხვა მოსარჩლენიც! კაპიტალისტები, სახელმწიფო კაცები, გენერლები, ერთი სიტყვით ის ხალხი რომელსაც ჭკუადამჯდარი მკვიდრი დიდი პატივის-ცემით ეპყრობა.

რევოლუციის ომიანობას დიდი გავლენა ქონდა ინგლისის და საფრანგეთის ეკონომიურ განვითარებაზე. ამ ომიანობის წყალობით ინგლისს ხელში ჩაუვარდა, ზოგი მათგან სამუდამოთაც, არა მარტო საფრანგეთის ახალშენები, ჰოლანდიისაც, რომელიც 1795 წელს საფრანგეთის მფარველობაში გადავიდა და ისპანიისა, რომელიც იძულებული იყო 1796 წელს საფრანგეთს შეკავშირებოდა. ამ გარემოებამ ინგლისელებს ხელი შეუწყვეს ამ ქვეყნების ხომალდების ჯ ნაპირების განუწყვეტლივ

ძარცვაში. საფრანგეთსაც არ ძინავდა ბელგიასა, ჰოლანდიასა, იტალიასა, ეგვიპტესა და შვეიცარიაში. არა მარტო ჯარის კაცები ძარცვავდენ ამ ქვეყნებს: ის რაც მათ მიქონდათ რა იყო შედარებით იმასთან, რასაც ამ ქვეყნებს სწოვდა სარდლები და კომისარები ზოგს თავისთვის და ზოგს ხაზინისთვის, რომელსაც თავის მხრივ მოუპირავი ვაჭრები და „სახელმწიფო კაცები“ აწიოკებდენ. ომი საფრანგეთისათვის იაკობელების დაცემის შემდეგ ყველა იმ დროს მოსახერხებელ ხელობაზე „ხელსაყრელი იყო“. ომი უტყუარი საშვალება იყო იმისთვის, რომ საუნჯე, რომელიც ფეოდალიზმმა მოაგროვა ეკლესიებში, მონასტრებში, ხაზინებში და უსარგებლოთ იდვა იქ და აგრეთვე უძველესი სავაჭრო რესპუბლიკებისა ჰოლანდიის, ვენეციის და გენუის სიმდიდრეები გამოეტანათ და კაპიტალისტურ ფორმის წარმოებაში ჩაეგდოთ. საოცარის სისწრაფით იზრდებოდა აურაცხელი სიმდიდრე, საჭირო იყო მისი სასარგებლოთ დაბინავება და აი სწორეთ ამავე დროს გამარჯვებითი ომებმა საფრანგეთის მრეწველობას დიდი ბაზარი მოუპოვა; ომის წარმოების ახალმა წესმა არა ნაკლებ ხელი შეუწყო მის განვითარებას. ძველ მონარქიის მცირე ჯარებთან შედარებით ეხლა საფრანგეთს დიდძალი ჯარი გამოყავდა საჩქაროთ, რომელთათვისაც მრეწველობას საჩქაროთვე უნდა დაემზადებია ტანისამოსი და იარაღი. ეს გარემოება კაპიტალისტურ წარმოების გადაქმნის დიად ძალათ შეიქნა: თუ ის წინეთ უმთავრესათ ფუფუნების საგნებს ამზადებდა, ახლა თანამედროვე მრეწველობათ გახდა და ამზადებდა მრავალ უსაჭიროეს საგნებს. მაშ აგრე, იყო ფაქტორი, რომელიც ყველა ამაებს ასრულებდა: საფინანსო მმართველობაში სპობდა დეფიციტებს, იფარავდა გლეხთა მიწებს, ამდიდრებდა მათ შვილებს და უხსნიდა გზას, აძლევდა მსხვილ მოგებას ფინანსისტებს, კაპიტალისტებს და მრეწველებს, ასუსტებდა ან სრულიად სპობდა სამუშაოს უქონლობას. ეს ფაქტორი იყო ჯარი. ჯარის ასეთი მნიშვნელობა საფრანგეთის ეკონო-

მიურ განვითარებაში ყოველთვის სახეში უნდა ვიქონიოთ, თუ გვინდა გავიგოთ ის პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც მან მოიპოვა; იმის წარმოდგენა კი ვითომ ფრანგებისათვის სამხედრო დიდებას თავბრუ დაეხვიოს, ვითომ ყველა ისინი გაეგიუებიოს ნამცეცა სიტყვა „gloire“-ს და ამიდან წარმომდგარიყოს მათი დაპყრობითი პოლიტიკა, მათგან გაღმერთება ნაპოლეონისა, ასეთი წარმოდგენა მეტათ „იდეალისტური“ იქნება.

მხოლოთ ფრანგების მცირე-რიცხვი იყო სამხედრო მმართველობის წინააღმდეგი. ესენი იყვენ: პარიზის ძველი ბურჟუაზია, რომელიც ჩვეული იყო უდიდესი თავის შემოსავალი მიეღო ვერსალის სასახლიდან და არა სამხედრო ბანაკიდან, რისთვისაც გატაცებით ოცნებოდა ძველი დროის დაბრუნებაზე; ამ როიალისტებს მოყვებოდენ დარჩენილი იაკობელები, რომელნიც დაღვრემილი შეყურებდენ გულზვავ კაპიტალისტთა მეტიჩრების ფუსფუსს და ბოლოს იდეოლოგების პატარა ჯგუფი, რომელნიც ახალ საკანონმდებლო საკრებულოებში, სენატში და ხუთასთა საბჭოში ბჭობდენ. ამ ხალხს სულ ადვილათ მიატოვებია ძლევა-მოსილმა სარდალმა თავიანთი ადგილები, იგდო თუ არა მან ხელთ წოდება განურჩეველ ჯარის მეთაურობა. მან არა თუ მხარი დაუჭირა მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის შემავიწროებელ ზომებს, პირიქით სპობდა მათ შინ და საზღვარ-გარეთაც; ამას გარდა ფეოდალთაგან ექსპლოტაციის მაგიერ თვით ფეოდალების გაყვლეფა და ძარცვა იწყო არა მარტო შინ, უცხო ქვეყნებშიაც. აღტაცებით მიეგებენ ასეთ ხელმწიფეს ახალი კაპიტალისტები და გლეხები; იმპერიის დაარსება არ იყო ძველი მონარქიის აღდგენა, ის მხოლოთ ევროპის „გამარეგოლუციონერებელი“ და კაპიტალისტურ წარმოების შარაზე გამომყვანი საშვალება იყო.

VI

აღსანიშნავი დაგვრჩა კიდევ მესამე წოდების ერთი საყურადღებო ელემენტი. ეს არის ბურჟუაზიული ინტელიგენ-

ცია. კაპიტალისტური წარმოების ფორმამ ის ორი მოქმედი ძალა, რომელიც სახელოსნო წარმოების ხანაში მჭიდროთ იყო დაკავშირებული, გაყო შრომის ორ კატეგორიათ, ორ ნაწილათ: ფიზიკური და გონებრივი შრომის განაწილება ძველ საზოგადოებაშიც იყო ცნობილი და წარმოების ახალმა ფორმამ მხოლოთ უსაზღვროთ გააგანიერა დანაწილება და შექმნა მთელი დარგი ისეთი შრომისა, სადაც საჭირო იყო მხოლოთ ერთი გონებრივი შრომა.

მეცნიერებით აღჭურვილ ტეხნიკოსს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ცოტა საქმე ქონდა წარსულ საუკუნეში. სამეცნიერო შექანიკის და ქიმიის გამოყენება მრეწველობაში ძლივს იქნა შემოღებული მხოლოთ წარსული საუკუნის გასულს. მარა წარმოების ახალმა ფორმამ გზების გაყვანის და მიმოსვლის საშვალებათა სფერაში კი გაუჩინა ტეხნიკას დიდმნიშვნელოვანი საქმეები: ხომალდების აშენება, ხიდების აგება და გზების და არხების გაყვანა. არა ნაკლები მოთხოვნილება წამოაყენა სამხედრო საქმემაც, როგორც მაგალითათ სიმაგრეების აგება, იარაღების ჩამოსხმა და სხვა და სხვა. ქალაქებში მცხოვრებთა თანდათანმა შეჯგუფებამ და მათი უმეტესობის თანდათანმა გაპროლეტარებამ—მოსდო ქალაქებს ათასნაირი სხვა-და-სხვა გამანადგურებელი ავათმყოფობა, რის გამო დაიბადა მეტი მოთხოვნილება მკურნალებისა. რაც უფრო ვრცელდებოდა საქონლის წარმოება, მით უფრო იხლართებოდენ ერთმანეთში საქონლის მეპატრონენი ათასგვარ სხვა-და-სხვა პირობებით, რის გამო მრავალი კითხვები და ვალდებულებანი, (მათგან წარმომდგარი), სადავოთ გახდა. ფეოდალიზმის კანონები, ფეოდალიზმის სამოსამართლო პრაქტიკა ამ სფერაში სრულიად ულონო შეიქნა; საჭირო იყო ახალი კანონები. შესაფერ საფუძვლათ რომის კანონები აღმოჩნდა. საჭირო იყო მცოდნე კაცები, რომელნიც მარტო ამ საქმეს მოკიდებდენ ხელს და ადვილათ და ჩქარა შეიძლებდენ იურიდიულ საქმეების თავის გართმევას. ამ გვარათ ვექილები, მოსამართლეები, საზოგა-

დოთ იურისტების კლასი რამდენათაც საჭირო იყო, იმდენათ გავლენიანი შეიქნა; ახალი ცენტრალური სახელმწიფო, რომელმაც ძველი, სუსტ ნიადგზე დამყარებული, საფეოდალო თემების კავშირის ადგილი დაიკავა, ვერ დაკმაყოფილდებოდა მმართველობის ძველი ორგანოებით, სასულიერო წოდებით და აზნაურობით—ესენი მხოლოთ ხელს შეუშლიდენ მის მოქმედებას. ამ ორგანოების მაგიერათ ცენტრალური ბიუროკრატია დაწესდა; ეს ერთგვარი კატეგორიის ხალხი იყო, რომელიც სახელმწიფო გამგეობისათვის იღვწოდა არა სხვათა შორის, არამედ სპეციალურათ და განსაკუთრებით. ამ ელემენტების აღსაზრდელათ და გასანათლებლათ საჭირო იყო მრავალი სასწავლებლები და მასწავლებლები. ამ გვარათ გაჩნდა კარგა მოზრდილი კლასი, უმეტეს ნაწილათ ბურჟუაზიიდან, რომელსაც შემოსავალი აქვს თავისი ცოდნის და ჭკუის პრაქტიკულათ მოხმარებისაგან. ამიტომ ამ კლასს ქვია ინტელიგენცია, რაც რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას რომ ყველა ამ კლასის წევრი მართლა ინტელიგენტია ან მთელი ინტელიგენტობა მაშია მოგროვილი. ინტელიგენციის სათავეში იდგენ მეცნიერები. მათი მიზანი ცოდნის პრაქტიკული მოხმარება კი არ იყო, ესენი იკვლევდენ ბუნებას, საზოგადოებივ ცხოვრებას და მათ კანონებს, სრულიად დამოუკიდებლათ იმისა ექნებოდა თუ არა ამ კანონებს რაიმე პირდაპირი პრაქტიკული მნიშვნელობა ცხოვრებაში; მეცნიერება თავისთავათ იყო მათთვის მიზანი. განყენებული იყო ამ ფილოსოფოსების თეორიები, მარა ამათი პირადი მოთხოვნილება სრულიად კონკრეტული იყო. ყველას ცხოვრება უნდოდა და ხშირათ კარგი ცხოვრებაც.

ძველათ ბერძნებში, სახელდობ ათინელებში, ფილოსოფია, ჭეშმარიტების კვლევა-ძიება, საპატიო ხელობა, შეძლებულ და თავისუფალ მოქალაქეთა პრივილეგია იყო. თავისუფალი დრო, მონობით და სხვა საექსპლოატაციო ხერხით მოპოებული, სამსახურს უწევდა ხელოვნებას და მეცნიერებას.

აგრევე იყო რომაელებშიაც, მხოლოთ რომაელები უფრო მოუხეშავი მასალიდან იყვენ შექმნილი. ისინი ისე ჩქარა იქცენ ტლანქი გლეხისაგან მთელი ქვეყნის მფლობელათ, რომ არ შეიძლებოდა მათში შეძენის წყურვილი, კმაყოფილება მდაბალი ხარისხისა და უაზრო ფუფუნება უფრო ძლიერი არ ყოფილიყო ვიდრე ცოდნისა, ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისაკენ მისწრაფება. მარა რა მოუვიდა მეცნიერებას და ფაქიზ ხელოვნებას საშვალო საუკუნის გასულს, განახლების ხანაში! ვარდა კარის აზნაურობისა, რომელზედაც ახლავე ვიტყვით ორიოდე სიტყვას, იმ ხანაში ჩვენ ვპოულობთ ერთი მხრით გლეხებსავით მოუხეშავ, დახავსებულ სოფლის აზნაურობას და სასულიერო წოდებას, რომელთათვის გასაგები და მისაწდომია მხოლოთ დაბალი ხარისხის კმაყოფილება და მეორე მხრით ვაჭართა წოდებას შეძენის სურვილით გატაცებულს; ეს სურვილი მას იმდენათ უფრო ითრევდა, რამდენათაც ძლიერდებოდა კონკურენცია (მეტოქეობა); იშვიათ შემთხვევის გარდა, ეს ხალხი სრულიად კარგავდა განყენებულათ აზროვნების ნიჭს. დაბალი კლასისაგან კი, რომელიც მარჯვინის მძიმე შრომით ცხოვრობდა, ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი ლტოლვილება: საამისოთ მას არც განათლება ქონდა, არც დრო და არც მოხერხება. არც ერთ უზრუნველყოფილ და გაბატონებულ კლასს არ ქონდა სურვილი ანუ მისწრაფება სულიერ მოღვაწეობისა: აზროვნება და ხელოვნებითი შემოქმედება „ინტელიგენციას“ დარჩა სამოღვაწეოთ, იმ ხალხს, რომელიც იძულებულ იყო თავის სულიერი ძალები გამოეტანა ბაზარზე ისე, როგორც დღის ქირის მუშას გამოაქვს თავისი ფიზიკური ძალა, მარა ფილოსოფოსები (სწავლულები) და ხელოვნების მცოდნენი (მხატვარნი) მუშტარს მხოლოთ კარის აზნაურობაში პოულობდენ. იმათ შეეძლოთ შეგნება და განცდა უმაღლესი კმაყოფილებისა; ამას გარდა მეტი თავისუფალი დროც ქონდათ და უფრო უზრუნველი ცხოვრება, ვიდრე ვაჭართა

წოდებას. თუმცა ეს ყველაფერი ასე იყო მარა მიუხედავათ ამისა ვერც ერთი სასახლე ვერ გახდა აკადემიათ ანუ ფილოსოფიურ სკოლათ; კარის კაცები ფილოსოფოსები და მეცნიერები ვერ შეიქნენ, ისინი დარჩენ ხელოვნების და აზროვნების მხოლოთ „მოსარჩლეთ და მფარველათ“—ეს უფრო მოსახერხებელი იყო მათთვის. კარის აზნაურობამ თავისი წინაპართა სიტლანქესთან ერთათ დაკარგა მათებური ენერგიაცსისტემატიური ბეჯითი შრომა, რა ჯურისაც უნდა ყოფილიყო იგი, მისთვის წამება იყო; მას მარტო გართობა უნდოდა: მეცნიერება და ხელოვნებაც ამ მიზანს უნდა მსახურებოდა. სასახლეში, როგორც ხუმარა და კარლიკები, ისე ფილოსოფოსები და მხატვრებიც ყავდათ. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ფილოსოფია დიდ გონებრივ მოძრაობას აღარ ითხოვდა; ის უნდა დაწერილიყო ადვილათ გასაგებათ, სასიამოვნოთ და მოსწრებულათ; თვით მე-18 საუკუნის დასაწყისში ვერც ერთი საზოგადოებრივი მოძღვრება ვერ გავრცელდებოდა საფრანგეთში, თუ იგი არ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნილებებს ან თუ სასახლის წიანააღმდეგ იყო მიმართული. რაც უნდა დიადი ყოფილიყო მისი იდეა, სანამ მის მისაღებათ არ იყო ხელშემწყობი პირობები, იმდენათვე გაიხარებდა იგი, რამდენათაც—საუკეთესო თესლი ქვიშიან ნიადაგზე.

ასეთ პირობებში მესამე წოდების ოპოზიციონურ დედა აზრებს ძნელათ თუ ეღირსებოდა თეორეტიულათ გამომქღავნება. სარწმუნოება იყო ის სფერა, სადაც ყველაზე ადვილათ შეეძლო მოქმედება ოპოზიციონურ ტენდენციებს. როგორც აზნაურობას ისე ბურჟუაზიას ერთნაირათ სძაგდა რომისგან დამოკიდებული ეკლესია. აქ უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში განათლების ეპოქის ფილოსოფოსები სასტიკათ კიცხავდენ საეკლესიო ორგანიზაციის ახალს, თანამედროვე პირობების უფრო შესაფერ ფორმებს და არა ძველს, დროს გადასულს. არავითარი განყენებული იდეებით არ შეიძლება ამ მოვლენის

ახსნა, მარა რეალურ კლასსიურ ინტერესების მიხედვით თუ შევ-ხედავთ გასაგებია. მიწათმფლობელობის ძველი საეკლესიო ფეოდალური ორგანიზაცია, რომელიც აგებული იყო ცნო-ბილ ფორმაზე, დიდი ხანია საფრანგეთში საეროთ გამხდა-რიყო. ეხლა მეფე და არა პაპი აწესებდა წარჩინებულთ, ური-გებდა თანამდებობებს, რასაკვირველია, როგორც უკვე დავი-ნახეთ, მარტო აზნაურობას. თუმცა აზნაურობა კიდეც დასკი-ნოდა სარწმუნოებას, მარა არ შეიძლებოდა ასეთი წესით კმაყოფილი არ ბრძანებულიყო. ამიტომაც ეკლესიის წინააღ-მდეგ მიმართულ ზომებს ის ვერ იტანდა. მარა იყო ერთი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც სრულათ პაპის ხელში იყო და მეფეს არავითარი უფლება არ ქონდა მაზე. ამ ორ-განიზაციის დიდ ვებერთელა შემოსავალს განაგებდა პაპი, უცხოელი, და ახმარდა არა მარტო ფრანგებს, არამედ ესპა-ნელებს, ნემცებს და სხვებსაც, რადგან ორგანიზაცია საერთა-შორისო იყო და ეროვნებას არ არჩევდა. ეს შემოსავალი წარჩი-ნებულ წოდების გასამდიდრებლათ როდი იხარჯებოდა, ორ-განიზაცია მხედველობაში არ ღებულობდა არავითარ წოდებ-რივ განსხვავებას და თავის წევრებს აწინაურებდა მხოლოთ მათი ღვაწლის მიხედვით. ეს ორგანიზაცია, ეს ორდენი სძაგდა აზნაურობას, მარა არა ნაკლებ სძულდა ბურჟუა-ზიასაც. სწორეთ ამ ორდენმა მოახერხა ეკლესიის გამდიდ-რების ყველა თანამედროვე საშვალებებით სარგებლობა. მით უმეტეს ადვილი იყო გამდიდრება, რომ მთელ მსოფლიო-ში ფესვი ქონდა გადგმული, ჩინეთიდან და იაპონიიდან და-წყებული მექსიკამდის და პერუმდის, ყველგან თავისი მისიო-ნერები, აგენტები და ჯაშუშები ყავდა, ყველგან, სადაც და რამდენათაც არ უშლიდა ხელს პროტესტანტების მეტოქე-ობა. მან არა თუ ევროპაში მოაწყო არტისტიულათ თავისი საქმეები, არამედ ექსპლოატაციის მთელი სისტემა შექმნა კო-ლონიებშიაც (ახალშენებშიაც). აქ ის როდი დაჯერდა ძარ-ცვით, ვაჭრობით და პლანტატორული მეოჯახეობით შეძე-

ნილ შემოსავალს, ადგილობრივ მკვიდრთა შრომითაც ისარგებლა სხვა და სხვა სამრეწველო საქმეებში, როგორც მაგალითად შაქრის ქარხნებში და სხ. ეს ხალხი, რომელმაც ასე მოხერხებულათ იცოდა თავის საქმეების მოგვარება, რომელიც ცბიერი იყო და დაჟინებით თავისის გატანას ახერხებდა, ეს მჭიდრო ორგანიზაციის წევრები, მაგრათ ერთი მეორეს ხელჩაკიდებულნი, რომელთაც არ ქონდათ არავითარი სამშობლო, რომლის მეტოქეობასაც ბურჟუა კათოლიკე ყველგან ხვდებოდა ან მოელოდა მაინც, სადაც კი მოსალოდნელი იყო რაიმეს „ჩაჯიბვა", რომელიც მას იმდენათვე სძულდა, რამდენათაც ეშინოდა, იყვენ არა ებრაელები, როგორც ეს შესაძლებელია ჩვენი ნათქვამისაგან იფიქროს ვინმე თანამედროვე „არიელმა" ან „ქრისტიანმა". არა, ესენი იყვენ იეზუიტები-ი ამ ბურჟუაზიის და კარის აზნაურობის საერთო მტერს დაატყდა თავზე განათლების ეპოქის ფილოსოფოსებისაგან სასტიკი გაკიცხვა და მეფეების რისხვა და უკმაყოფილება და პოლიციური ზომებიც. მარა იეზუიტთა დევნა ისევე ცოტათ შველოდა წასული საუკუნის ეკონომიურ მოუწყობლობას, როგორც დღეს ებრაელთა დევნა.

ამავე დროს ფილოსოფოსები და საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარნი თანდათან დამოუკიდებელი ხდებოდენ სასახლისაგან; „ინტელიგენტთა" რიცხვმა საგრძნობლათ იმატა, ბურჟუაზიას სახელმწიფო საქმეებისადმი ინტერესი დაეზადა. წიგნები, რომლებიც ეკონომიურ და საპოლიტიკო საკითხებს შეეხებოდა, მოძრავ საქონლათ გადაიქცა და ამ წიგნების ვაჭრობასთან ერთათ აღორძინდა ჟურნალისტიკა. ბურჟუაზიის ფილოსოფოსს და მწერალს უკვე აღარ ეპირვებოდა სასახლიდან პენსიები და საჩუქრები. მათ ეხლა შეეძლოთ ცხოვრების სახსარი თვითონ მოეპოებიათ, თუმცა ზოგჯერ მეტათ მცირე იყო მათი საშვალება. სწორეთ აი ამ დროდან, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, შესაძლებელი ხდება გამოსვლა და გავრცელება სხვა და სხვა მოძღვრებისა არა თუ

სასახლისგან დამოუკიდებლათ, პირდაპირ მის საწინააღმდეგოთაც. კაპიტალისტების საწინააღმდეგო მოძღვრებაც კი თანაგრძნობას პოულობდა საზოგადოებაში. სასახლის უზომო ფლანგვით, თანამედროვე საზოგადოებრივ ელემენტების უთანხმოებით მრავალ კაპიტალისტებს ქონდათ სარგებლობა და რასაკვირველია ისინი მტრულათ შეხვდენ ცვლილების ყოველ მისწრაფებას. დღითი დღე ირკვეოდა, რომ მხოლოთ გლეხებს და ქალაქის დაბალ „ხალხს“, სწორეთ იმ ნაწილს მცხოვრებლებისას, რომლისთვისაც ყველაზე მეტათ საგრძნობელი იყო ბატონობა, შეეძლო დაწინაურებულ კლასების ბატონობისათვის ბოლო მოეღო. ფილოსოფოსები სულ მეტის და მეტის ყურადღებით მოეკიდენ ხალხს და „ფილოსოფოსისაგან“ ეკონომისტებათ და პოლიტიკოსებათ შეიქნენ; ისინი სულ უფრო და უფრო მტრულათ ეკიდებოდენ არა მარტო სასულიერო წოდებას და აზნაურობას, საზოგადოთ „მდიდრებსაც“. მიუხედავათ ამისა, როცა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში დასაწყისი მიეცა სოციალისტურ კრიტიკას, საზოგადოებამ ვერ შეიგნო და ძალიან სუსტი თანაგრძნობით შეხვდა. იმ საზოგადოებრივ მოძღვრებათა შორის, რომელთაც მაშინ დიდი გავლენა ქონდათ, ყველაზე უწინ რუსოს მოძღვრებაში კომუნისტურ აზრებს (ტენდენციებს) მხოლოთ ის დაინახავს, ვინც საქმეს მეტათ ზერელე იცნობს; ფეოდალური შევიწროება საქონლის წარმოების განვითარებას ხელს უშლიდა და ამიტომ დრო მოითხოვდა ეს შევიწროება თავიდან მოეცილებიათ. ბურჟუაზიის ინტელიგენციას მეტათ კარგათ ქონდა შეგნებული ცხოვრება და მისი მოთხოვნილება, რომ ამ დროს სოციალიზმი არ წამოეყენებია წინ, რომლის განვითარების იმედი ჯერ კიდევ მომავალშიაც საეჭვო იყო. თუმცა ინტელიგენცია ჩაგრულთ და უსახლკარო (ბოგანო) კლასებს სიმპატიით ეპყრობოდა, მარა მაინც არ შეიძლებოდა მათი შეხედულება ბურჟუაზიის შეხედულებაზე მაღლა დამდგარიყო, რადგანაც ის ამ კლასს ეკუთვნოდა თავის ოჯახური დამო-

კიდებულებით და თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით, ერთი სიტყვით არსებობის ყველა პირობებით. მხოლოთ ეი რა იყო: სხვა და სხვა კაპიტალისტთა ჯგუფს დროებითი და ინდივიდუალური (პირადი) ინტერესები ხელს უშლიდა კაპიტალისტთა კლასის ძირითადი და არსებითი ინტერესების შეგნებას, როგორიცაა მაგ. წინააღმდეგობა ყველა კაპიტალიზმის განვითარების ხელის შემშლელ დაბრკოლებათა. წინააღმდეგ, დროებითი და პირადი ინტერესები ბევრ კაპიტალისტს ფეოდალური რეჟიმის მომხრეთ ხდიდა და თითქმის ყველას ყოველნაირი ცვლილების მტრათ. ინტელიგენციის შეხედულება კი არ იყო დროებითი ინტერესებით შემოფარგლული, ის საქმიან ბურჟუაზიაზე მაღლა დადგა, შეძლო ფაქტების აღნუსხვა და მათგან ლოგიკურათ სწორი აზრების დასკვნა; საკმაო ცნობებიც ქონდა წასულ და აწმყო საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ,— ერთი სიტყვით მან შეიგნო ბურჟუაზიის ძირითადი და არსებითი ინტერესები, რომელიც მაშინ სრულიად ეთანხმებოდა ისტორიული განვითარების (მსვლელობის) საზოგადო მოთხოვნილებას. ინტელიგენცია იყო სწორეთ ის ძალა, რომელიც იცავდა ამ ინტერესებს არა მარტო სასახლისაგან, სასულიერო წოდებისაგან, ზოგჯერ გლეხებისაგან, წვრილ ბურჟუასა და პროლეტარებისაგან, არამედ თვით კაპიტალისტთა სხვა და სხვა ჯგუფის წარმომადგენელთაგანაც, თუ კი მათი დროებითი და შემთხვევითი ინტერესები მთელი ამ კლასის ძირითად ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ინტელიგენცია თავის პირად, დროებით ინტერესებით როდი ხელმძღვანელობდა; ის მოქმედებდა საზოგადოებრივ მოვლენების ღრმა შეგნებით, რომელიც მრავალ წლობითი გონებრივ მუშაობით მოიხვეჭა; ბურჟუაზიის ინტელიგენცია გამოვიდა არა მატერიალური ინტერესების დამცველათ არამედ წმინდა, პრინციპების, წმინდა იდეების წარმომადგენლათ; ისინი როგორც „დოქტრინიორები“ ისე გამოვიდენ წინააღმდეგ კაპიტალისტ — „პრაქტიკებისა“; ეს უკანასკნელნი თავის უვიცობით ამა-

ყობდენ და ცდილობდენ მხოლოთ თავის სასარგებლოთ გამოეყენებიათ სახელმწიფო ამა თუ იმ წარმავალ პრაქტიკულ კითხვაში.

ბურჟუაზიის ინტელიგენცია ჯერ კიდევ არ იყო ის რაც იგი შემდეგში შეიქნა: მას ჯერ ფიქრათაც არ მოდიოდა თავის მოძღვრება „მოქმედ სახელმწიფო კაცების“ სურვილისა და გემოვნებისათვის შეეფარდებია, ნაცვლათ იმისა რომ მათგან მოეთხოვა მათ მოძღვრებას დამორჩილებოდენ. რევოლიუციით ინტელიგენციამ დიდი ძალა მოიპოვა, რის გამოც მან შესძლო თავის აზრების ცხოვრებაში გატარება. დაეცა კარის აზნაურობა და მასთან ერთათ მეიდროთ დაკავშირებული ფინანსისტთა უმაღლესი წრეები, და საფრანგეთში ერთათ ერთი კლასი-ღა დარჩა, რომელსაც უნარი ქონდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა: ეს იყო ბურჟუაზიის ინტელიგენცია. ახლაც, როცა უმეტეს შემთხვევაში კონსტიტუციონურ სახელმწიფოებში, ხალხის უმეტესი ნაწილი, უპირველესათ ქალაქის მუშები, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობით რამოდენიმეთ გაეცვნენ სახელმწიფოს მოთხოვნილებას, საკანონდებლო მოქმედების ვალდებულებას, მართვის თანამედროვე წესს და საქმეების საპარლამენტო განხილვას,—ახლაც კი პარლამენტში ბურჟუაზიის ინტელიგენცია მეტობს. რა დიდი მნიშვნელობა უნდა ქონოდა მას ასი წლის წინეთ საფრანგეთში, სადაც მრავალს საუკუნეთა განმავლობაში თავგამოდებით დევნიდენ ყოველ პოლიტიკურ ცხოვრებას, ყოველნაირ პოლიტიკურ მოძრაობას! პარიზის წვრილი ბურჟუაზიაც კი არ ირჩევდა წარმომადგენლებს თავის წრიდან, იგი ირჩევდა იურისტებს, ჟურნალისტებს და სხვ. და სხვ.

ამ გვარათ ბურჟუაზიის ინტელიგენციის ხელში გადავიდა სახელმწიფო უფლება, რითაც სარგებლობდა ინტელიგენცია თავის ტენდეციების ცხოვრებაში გასატარებლათ. ეს ტენდენციები იყო ბურჟაზიის კლასიური ინტერესების გამომხატველი. რადგანაც ეს ტენდენციები ყველაზე მეტათ შეესაბა-

მებოდა ისტორიულ მსვლელობის უმთავრეს და არსებით მოთხოვნილებას, ამისთვის თავისთავათ რევოლუციის ნამდვილ ტენდენციებს უერთდებოდა. გარდა ამისა რევოლუციის დროს ინტელიგენციას ყველაზე მეტი შემთხვევა და უფლება ქონდა ლაპარაკისა; მისი მოღვაწეობა, მისწრაფება და მოთხოვნილება სხვებისაზე უფრო საესებით აღიბეჭდა და დარჩა წიგნებში და გაზეთებში. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ იდეოლოგები, რომელნიც მარტო გარეგნობით კმაყოფილდებიან, იმ დასკვნამდის მივიდენ, ვითომ ფილოსოფოსებმა და მათმა იდეებმა შექმნა რევოლიუცია, ვითომ ისინი ხელმძღვანელობდენ და განაგებდენ მას.

ეჭვს გარეშეა, ბურჟუაზიული ინტელიგენცია იმ კლასს ეკუთვნის, რომელმაც სხვაზე მეტათ დააჩნია თავისი ელფერი საფრანგეთის რევოლიუციას; რამდენათაც რევოლიუცია გამოიხატა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ეს ინტელიგენციის საქმეა, მარა გასაკვირველი იქნება კაცმა იფიქროს, რევოლიუცია მინისტრთა დეკრეტებით და პარლამენტთა გადაწყვეტილებებით არის გამოწვეულიო. მნიშვნელოვანი მომენტები, როგორც ინიციატივა, ისე საბოლოო გადაწყვეტა ყოველთვის ხალხის აჯანყებას ეკუთვნოდა, სახელდობ პარიზის მიდამოების მცხოვრებთ და გლეხობას. უმთავრესი გადაწყვეტილებები სხვა და სხვა საერო-საკრებულოებისა, როგორც დამაარსებელი და საკანონდებლო კრებათა, კონვენტისა მხოლოთ აკანონდებდენ მას, რაც უკვე გაკეთებული იყო ხალხის მიერ.

ეს საკრებულოები (დაწესებულებანი) სარევოლიუციო ბრძოლის დროს სრულიად უღონო შეიქნენ; ის ხალხის ბრძანების მიმღები უფრო შეიქნა, ვიდრე-ბრძანების გამცემი. თვით რევოლიუციაში როდი ჩანს ინტელიგენციის დიადი მნიშვნელობა და გავლენა, ის სჩანს უფრო მაში, რაც რევოლიუციით განმტკიცდა. ინტელიგენციას არ აუღია ბასტილია, მას არ გადაუგდია ფეოდალიზმის უღელი, მას არ დაუხსნია საფრანგეთი წინაურ და გარეშე მტრებისაგან, მარა მან მისცა

ის პრინციპები, ის საფუძველი, რომელზედაც დღესაც აგებულია მისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია; მან შექმნა სამართალი, რომელიც დღესაც თანამედროვე საზოგადოების ურთიერთობის შესაფერათ და უნაკლულოთ ითვლება. რა თქმა უნდა ისეთ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულმა სარდალმა ეს სამართალი, როგორც სხვაც ბევრი რამ თავის მიზნისთვის გამოიყენა. „სამოქალაქო კოდექსი“ „ნაპოლეონის კოდექსი“ გახთა, მარა ეს კოდექსი მაინც რევოლიუციის დროის ინტელიგენციის შექმნილია.

VII.

ორიგინალური ადგილი მესამე და პირველ ორ წოდებათა შორის სახელმწიფო სამმართველო დაწესებულებებს ეკავა.

აქ რამდენათმე კიდევ დარჩა, ფუნქციას და არა შემოსავალს მოკლებული, ძველი ფეოდალური მმართველობის დაწესებულებები. შესაფერი ადგილები და თანამდებობები სახელმწიფოს ექსპლოატაციის საუკეთესო საშუალება იყო ფეოდალ აზნაურების სასარგებლოთ ამიტომაც ისინი ისე დაჩქარებით როდი უქმდებოდა, რამდენათ ზედმეტი ხდებოდა. როგორც ეს უკვე დავინახეთ, მე-XVIII საუკუნის განმავლობაში კიდევ უფრო გამრავლდა რიცხვი საუკეთესო შემოსავლიან, მარა უაზრო თანამდებობათა.

ამ გამოუსადეგარ (უსარგებლო) სამმართველო ორგანოების გვერდით უნდა აღმოცენებულიყო ახალი ორგანოები, ახალი მონარქიის შესაფერი, როგორც სამოსამართლო, ისე საპოლიციო და გადასახადთა უწყებებში. არსდებოდა სულ ახალ-ახლი თანამდებობები; ამ ადგილებზე მოხელეთ თვით მეფე ნიშნავდა. მარა პირველ ხანებში მეფე ამ მოხელეთ ან სრულიად არაფერს აძლევდა და თუ აძლევდა მეტათ მცირე ჯამაგირს. უფრო ხშირათ კი თავის თავი თვით უნდა დაეჯილდოებიათ ქრთამით და სხვა გვარ გადასახადებით,—ამ.სახით უზღავდენ მცხოვრებლები მათ სამსახურის მოვალეობის ასრულებას. რაც ოთრო თართოვიდოდა მოხელეთა სამოქმედო თარ-

გალი, მით უფრო მატულობდა მათი შემოსავალი; აქედან დიდი ნახტომი აღარ იყო საჭირო, რომ მეფეებს, რომელთაც მუდამ ფული ეჭიერებოდათ, „ბოძების“ მაგიერ პირდაპირ ვაჭრობა დაეწყოთ თანამდებობებით. ეს ჩვეულება ჯერ კიდევ XV საუკუნეში შემოვიდა და სწრაფათ და მაგრათ მოიკიდა ფეხი, და მეფის შემოსაველის უმთავრეს წყაროთ შეიქნა. შემოსავალის გასადიდებლათ თანამდებობების რიცხვსაც უმატებდენ. საქმე იქამდინ მივიდა, რომ არა თუ ამქართა და სხვა კორპორაციათა წარმომადგენელნი, უბრალო ამქრის ხელოსნებიც მეფის მოხელეებათ მონათლეს და ამათაც დაავალეს ეყიდათ თავიანთი „ადგილები“. იმ შემთხვევაში კი როცა ამქარი იმდენათ მდიდარი არ იქნებოდა, რომ თვით ეყიდა მეფისგან დამოუკიდებლობა, ქელაქებს განგებ ართმევდენ ავტონომიას, და თუ ის თავის გამოყიდვას ვერ შეიძლებდა, ქალაქის მოხელეებს სახელმწიფო მოხელეებათ გამოაცხადებდენ და მათ შენახვას რასაკვირველია, მოქალაქეთ დააკისრებდენ. მარა მონარქიის მუდმივ უსაზღვრო საჭიროებას ვერც ეს ზომები შველოდენ. დაბოლოს საოცარი უაზრო ზედმეტი თანამდებობების გამოგონება დაიწყეს; მაგალითათ, ლიუდოვიკო XV-ს მეფობის უკანასკნელ წლებში შემდეგი „თანამდებობები გამოიგონეს: პარიკების, გოჭების და ღორების ზედამხედველები, თივის მოინვარიშეები, შეშის დაწყობის მეთვალყურეები, კარაქისა და მარილიანი ერბოს ზედამხედველები და სხ. და სხ. 1701 წლიდან 1715-დე მეფეს ახალი თანამდებობების გასაღებისგან შემოუვიდა 542 ლივრი. ვინ და რა ხალხი ყიდულობდა ამ თანამდებობებს, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ჯარის ხაზინადრები მათ ადგილს ყიდულობდენ, ვისაც მათთვისვე უნდა გაეკეთებია კონტროლი და ამგვარათ ყოველგვარ კონტროლს თავიდან იცილებდენ. რადგან მეტათ ბევრ ახალ-ახალ ადგილებს აჩენდენ, ეშირათ მათი ფასი ეცემოდა; იყო რასაკვირველია ისეთი ადგილებიც, რომელნიც ყოველთვის კარგ ფასათ საღდებოდა.

მაგალითათ უმაღლეს სამოსამართლო დაწესებულებებში, პარლამენტებში ადგილები მეტათ ძვირათ ფასობდა. აქ თანამდებობა, გარდა იმისა რომ შთამომავლობით გადადიოდა და, როგორც უმეტესი ნაწილი სხვა თანამდებობებისაც, გადასახადისგანაც ათავისუფლებდა, აზნაურობის ღირსებასაც ანიჭებდა და დიდი ქრთამის აღების იმედებსაც აძლევდა: პარიზის პარლამენტის პრეზიდენტის ადგილი ღირდა 500,000 ლივრი.

აშკარაა რომ ეს მოხელენი, ეკონომიურათ სრულიად მეფისგან დამოუკიდებელნი, არა თუ უკონტროლოთ რჩებოდენ, თავიანთ მოვალეობის ასრულების დროსაც ხელმძღვანელობდენ მხოლოთ თავიანთ ანგარა მიზნით. არ ეშინოდათ სამსახურიდან გადაყენების, არც დაწინაურებას მოელოდენ და რადგან არ ქონდათ არავითარი კავშირი და ინტერესი იმ უწყებასთან, რომელსაც განაგებდენ, ისინი თვითნებურათ მოქმედებდენ. ჩვეულებრივ შემოსავალს და დავლას აღარ ჯერდებოდენ, და ცდილობდენ უფლების ბოროტათ მოხმარებით შემოსავლის ზრდა უმაღლეს წერტილამდინ აეყვანათ. გადასახადთა ამკრები მოხელეები ატყუილებდენ ხაზინას, გადასახადისაგან ათავისუფლებდენ მდიდრებს, რომელნიც ფულით იგებდენ მათ გულს და რომ დანაკლისი შეევსოთ, მოხელეები მთელ გადასახადს ღარიბებს ახვევდენ თავზე. გათახსირებული იყო სასამართლო, გათახსირებული იყო პოლიცია; უწესრიგობა, უკულმართობა და მექრთამეობა სახელმწიფოს ყველა მართვა-გამგეობის დარგში გამეფებული იყო; ყველა ეს გამოწვეული იყო არა „უფროსთა“ საამებლათ და კარიერიზმით, არამედ მარტოთ მარტო შეძლებულ „ქვეშევრდომთათვის“ ყოველგვარ შეღავათის მისაცემათ, რადგანაც ვინც ადგილს ყიდულობდა არაფერი წარმატების იმედი არ ქონდა.

ასეთი მოხელეებით შეუძლებელი იყო ახალი დროის დიდი სახელმწიფოს ხანგრძლივი მართვა-გამგეობა. უკანასკნელთან ერთათ გაჩდენ ახალი მოხელეები, ახალი ბიუროკრა-

ტია, ცენტრთან მჭიდროთ დაკავშირებული და სავსებით მეფისაგან დამოკიდებული. ამ ბიუროკრატიამ არა მარტო ფეოდალური სამმართველო დაწესებულებები გააუქმა, არამედ საყიდელი თანამდებობებიც, მარა ამავე დროს ოდნავაც არ შეუმცირებია არც მათი რიცხვი, არც ჩვეულებრივი ექსპლოატაცია *). მხოლოთ მათი მეოხებით სახელმწიფო მეფის უბრალო სამფლობელო შეიქნა და მეფის ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებათ, და მით უკანასკნელნი მეფის პირად ინტერესებათ. მართლაც, რაც უფრო ძლიერი და მდიდარია სახელმწიფო, მით უფრო ძლიერი და მდიდარია მისი მეფე, მისი ზრუნვის უმთავრეს მიზნათ ეხლა მის ქვეშევრდომთა ქონებრივი კეთილდღეობა შეიქნა. რაც უფრო აძევებდა ბიუროკრატია სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ძველ ფორმებს, მით უფრო ერცლათ და დაეინებით ეპატრონებოდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას, მით უფრო თავვამოდებით მფარველობდა ვაჭრობა-მრეწველობას და მიწათ-მოქმედებას. სახელმწიფოს მმართველობა ცდილობდა ადმინისტრატიული და სხვა და სხვა რეფორმებით ყველა მათი განვითარების შემაფერხებელი დაბრკოლება აეცილებია და მცხოვრებთა მწარმოებელი კლასები დაეფარა უპირატესი წოდების უზომო შევიწროებისა და გამანადგურებელ ექსპლოატაციისაგან. ერთი სიტყვით, რაც უფრო აბსოლუტური ხდებოდა მონარქია, მით უფრო ძლიერდებოდა მისი ტენდენცია გამხდარიყო „განათლებულ“ მონარქიათ.

ეკლესია რომ არ ვიანგარიშოთ, მეფე სახელმწიფოში

---

*) Tocqnvill-მა თავის შესანიშნავ თხზულებაში: L'ancien regime et la révolution“ კლასიკურათ დასურათა, თუ როგორ იზრდებოდა ფეოდალიზმის სუდარის ქვეშ ისტორიული აუცილებლობის თანახმათ ახალი ბიუროკრატია, რომელმაც ჯერ კიდევ მაშინ გამოიჩინა მომავალი ბიუროკრატიის ყველა ნიშნობლივი თვისებები, მარა რევოლიუცია მას მეტათ ცალმხრივათ ესმის, ის მაში ხედავს მხოლოთ პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ ცვლილებას.

უუდიდესი მემამულე იყო. „ნამდვილათ კი არ ვიცით 1789 წელში როგორ იყო განაწილებული მიწა მესაკუთრეთა შორის“, ამბობს დე-ლავერნი, „ჩვენ მხოლოთ მეფის დომენების შესახებ გვაქ ცნობები და ამ მხრივ ყველა ერთმანეთს ეთანხმება, რომ ეს მიწები სათემო მიწებიანათ საფრანგეთის ტერიტორიის მეხუთედს შეადგენდა. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენათ დიდი იყო მეფის საკუთრება, თუ გავიხსენებთ იმ მილიონ მორგენებს, რომელიც ეკავა საკუთრათ სანადიროთ დანიშნულ მეფის ტყეებს; მათი სივრცე დაახლოვებით ოლდენბურგის დიდ საჰერცოგოს მთელ ტერიტორიას უდრიდა. ამას უნდა მივუმატოთ კიდევ მეფის გვარეულობის თავადების საკუთრება; ეს მიწები ნეკერის სიტყვით, საფრანგეთის ჰექტარიდან შეადგენდა, მაგრამ მეფეს, როგორც საფეოდალო დომენების მესაკუთრეს, თავის საკუთარი, სახელმწიფოს ინტერესებისგან განცალკევებული, ინტერესები ჰქონდა, როგორც ვეებერთლა მიწების უმაღლეს მესაკუთრეს. ფეოდალთა მეფე თვით ფეოდალი იყო, რომლის „ძმები“ და „კეთილი მეგობრები“ ყველა დანარჩენი ფეოდალები იყვენ, და აბა რა გასაკვირველია, რომ ის ბეჯითათ გაჰოსარჩლებოდა და დაეცვა ფეოდალური უპირატესობანი და ექსპლოატაცია და წინააღდგომოდა ყოველგვარ მის მომსპობ ან შემასუსტებელ რეფორმებს. როგორც ფეოდალთა მეთაურს, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დედა ძარღვათ ქვეშევრდომთა ქონებრივი კეთილდღეობა კი არ მიაჩნდა, არამედ რაც შეიძლება მეტის და მეტის სარგებლობის გამოტანა თავისთვის და თავის კარის კაცთათვის. როგორც უმაღლესი წარმომადგენელი წარჩინებული წოდებისა, ის სახელმწიფოს ძალას სუსტის (გადამხდელი) წოდების ძლიერისაგან ე. ი. უპირატესი წოდებისგან დასაცავათ კი არ ხმარობდა, წინააღმდეგ, უნდოდა დაეხშო, ჩაექრო უძლურებში მცირეოდენი სურვილიც თავიანთ თავის ძლიერთა თვითნებობისაგან დაფარვისა.

ასეთი უკიდურესობა განსაკუთრებით ცხადათ გამოაჩნდა

ლიუდოვიკო XV-ს, რომელიც თავის თავს ფეოდალ ექსპლოატატორების და მფლანგველების თავათ თვლიდა და თავიც ასეთი შეხედულების შესაფერათ ეკავა; მარა ჩვენგან აღნიშნულ ორპოფობამ კლასიკური გამოხატულობა მიიღო ლუდოვიკო XVI-ში; სუსტი, ყოყმანა, ყოველ დამოუკიდებლობას მოკლებული მისი ხასიათი, თითქო განგებ იყო შექმნილი ყოველგვარ წინააღმდეგობის განსახორციელებლათ. წინააღმდეგ, ასეთი ორპოფობის ნასახიც არ იყო მარია ანტუანეტაში: ის იყო უვიცი, თავქარიანი და არავითარი წარმოდგენა არ ქონდა სახელმწიფოს მართვაგამგეობის საქმეზე. სახელმწიფო საქმეებით მხოლოთ მაშინ დაინტერესდებოდა, როცა დაჭირდებოდა ზრუნვა თავის რჩეულებზე, ან მოინდომებდა გადაიყენებია თავისთვის არა—სასიამოვნო პირები, რომელთაც უარყვეს აესრულებიათ ყველა მისი გულის წადილი. ის მეფობის დანიშნულებას მხოლოთ გართობაში და საამისოთ ფულების მოპოებაში ხედავდა. აი ამის, ამ „madam Deficit"-ის წინააღმდეგ იყო, რომ მიიმართა ყველაზე უწინ ხალხის სიძულვილი. ის ჩაგვრის და ექსპლოატაციის განხორციელებას წარმოადგენდა; მან ბევრათ მეტი ვნება მოუტანა საფრანგეთს, ვიდრე პამპადურმა, რომელიც, რასაკვირველია, მაზე უფრო ბიწიერი იყო, მაგრამ სახელმწიფოს საჭიროებათა შესახებ ბევრათ უფრო შეგნებულ გამომდგა.

რამდენათ ლიუდოვიკო XVI კლასიკური წარმომადგენელი იყო წასული საუკუნის აბსოლიუტური მონარქიის „ორპოფობისა", იმდენათ მისივე მეფობის დროს აგრეთვე კლასიკური გამომხატველი იყვენ ამ „სულის ორპოფობისა" ტურგო და კოლონი. პირველი მათგანი იმდენათვე ღრმა აზროვნების იყო, რამდენათვე ძლიერი—ხასიათით. მან სცადა მინისტრობის დროს ნამდვილ ესარგებლებია სახელმწიფო უფლებით ჩაგრულთა დასაცველათ, ხალხის კეთილდღეობის ასაწევათ, სცადა გაეტარებია ცხოვრებაში ის პრინციპები, რომლებიც თეორეტიკოსებისგან აღიარებულ იქმნა მიუცილებლათ და სა-

ვალდებულოთ საზოგადოების და სახელმწიფოს არსებობისათვის; მან უარყო სახელმწიფოს მართვა-გამგეობის უფლებით ბოროტათ სარგებლობა, რომ ამ მხრივ ის არ გაეხადა კარის აზნაურობის საექსპლოატაციო ორგანოთ; მან მოსპო საბატონო ბეგარა, შინაური ტამოჟნა, ამქრები და გაათავისუფლა მრეწველობა რეგლამენტების შევიწროებისაგან. მას უნდოდა გადასახადი აზნაურობასაც და სასულიერო წოდებასაც ეკისრნა თანასწორათ მესამე წოდებასთან და სახელმწიფო შემოსავალ გასავალი წარმომადგენელთა კრებულის კონტროლისთვის დაექვემდებარებია. მარა ეს ხომ მიუტევებელი შელახვა იყო „წმიდა უფლებებისა“, და აი ამ გამბედავ რეფორმატორს წინაღუდგა დედოფლის მეთაურობით მთელი ბრბო კეთილშობილ ექსპლოატატორებისა და ტურგო დაეცა 1776 წ. ბევრი ცდის შემდეგ, საქმე ისე მოეწყოთ, რომ მგელიც მაძღარი ყოფილიყო და ცხერებიც უვნებელი, მეფემ მართვა-გამგეობის სათავეში კოლონი ჩააყენა (1783 წ.). ეს კაცი მთლათ დედოფლის გემოვნების იყო: ფუქსავატი, ქარაფშუტა, უტიფარი. ის იმ პრინციპის მიმდევარი იყო, რომ გაუმაძღარ აზნაურობისათვის შეეწირა მსხვერპლათ არა მარტო არსებული, სახელმწიფოს მომავალი შემოსავალიც. ეძარცვა არა მარტო ნაღდი სახელმწიფოს ფინანსები, კრედიტიც. სესხი სესხს მსწრაფლათ მოყვა, ასე რომ სამი წლის განმაელობაში ხაზინამ შეიძინა 650 მილიონი ლივრი[1]). ეს ჯამი იმ დროის პირობებში ვეებერთელა თანხა იყო. ეს ფულები თითქმის მთელათ დაიხარჯა სასახლეზე, მეფე-დედოფალზე და იმათ რჩეულებზე. როცა დავინახე რომ ყველა ხელს იშვერდაო, ამბობს ერთი პრინცი იმ დროის სასახლის მფლანგველობაზე, მაშინ მე ქუდი გავუშვირეო. მართლაც კარი თავისი ამალით იმ დროს ნეტარებაში იყო. არსით, არც ერთი გამაფრთხილებელი ხმა არ გაისმოდა იმის შესახებ, თუ სანამდის მიიყვანდა საქმეს ასეთი უგნური ფლან-

1) უფრო დაწვრილებით ცნობები იხილეთ Loui Blanc 1,233.

გვა. თვით ლუდოვიკო მე-XVI სრული კმაყოფილი იყო თავის მინისტრით, რომელიც ისეთი „მომქმედი“ აღმოჩნდა, ისე ხერხიანათ წაიყვანა საქმე, რომ მეფემ თავის საკუთარი ვალი 250,000 ლივრი გადაიხადა. მთელი სასახლე განცვიფრებული იყო ამ დიდებული კაცით, რომელმაც ასე ჩქარა და ადვილათ მოახერხა „სოციალური კითხვის“ გადაწყვეტა.

სასახლის უგუნური ფლანგვის ბუნებრივი შედეგი იყო მთელი ამ სისტემის აუცილებელი დამხობის დაჩქარება. სამის წლის ასეთი გიჟური პარპაშის შემდეგ კოლონს ხერხმა უმტყუნა; როცა წლიური დეფიციტი 140 მილიონ ლივრამდის ავიდა, თვით კოლონს უნდა აღიარებინა, რომ ველარავითარი სესხი ველარ იხსნიდა სახელმწიფოს ყოველ წუთს მოსალოდნელ გაკოტრებისაგან. და ერთათ ერთი ხსნა სახელმწიფოს ხარჯის შემცირებაში და შემოსავლის აწევაში იყო, მარა როგორც ერთი, ისე მეორე დაინაურებულ წოდების ანგარიშზე უნდა მომხდარიყო. როცა 1787 წლის თებერვალში მოწვეულ ნოტაბლებს გამოუცხადა ეს კოლონმა, მისი სიტყვის წინააღმდეგ იფეთქა უპირატესი წოდების სიბრაზემ და ზიზღმა; ბრაზი მოდიოდა უპირატეს წოდებას მხოლოთ მისთვის, რომ უსირცხვილო ფლანგვას და პარპაშს უნდა ბოლო მოღებოდა, რადგან გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა. კოლონი გადადგა. მარა, როცა მისმა მოადგილეებმა განაგრძეს გადასახადის გადიდება უპირატეს წოდებაზე და, როცა უკანასკნელნი დარწმუნდენ, რომ მეფე ვერ უზრუნველყოფდა მათ მიერ საფრანგეთის ექსპლოატაციას სამერმისოთ იმ ზომამდე, როგორც დღემდის იყო, ისინი ამხედრდენ მეფის წინააღმდეგ. დაუჯერებელია ეს ფაქტი, მარა სრული სიმართლეა. აზნაურობა, სასულიერო წოდება, პარლამენტები, ერთი სიტყვით, ყველა უპირატესი წოდება, რომელთაც დიდი ხანია, რაც ნიადაგი გამოეშალა ფეხ ქვეშ და რომელთა ერთათ ერთი იმედი, ბურჯი კიდევ მხოლოთ მეფე და მისი უფლება იყო, ახლა მთელი შეერთებული ძალით შეეცადენ, რომ სწორეთ ეს თავისი ბურჯი მოესპოთ, დაემხოთ.

აი როგორ დააბრმავებს გაუმაძღრობა დროს გადასულ კლასს: სწორეთ თავის დაცემის წინ თვითვე ყოველ მაზე დამოკიდებულს ღონეს ხმარობს, რათა დააჩქაროს თავის დაცემა.

წარჩინებულ წოდებას არავითარი წარმოდგენა არ ქონდა მაზე, თუ როგორ იცვალა საზოგადოებრივი ძალების ურთიერთობა. მათ ეგონათ საზოგადოებრივი ძალების ურთიერთობა სულ იმავე მდგომარეობაში იყო, როგორც „მას ჟამსა შინა“, როცა მეფესაც ებრძოდენ და მესამე წოდებასაც. ისინი გაცხარებით ითხოვდენ 1614 წლის მსგავსათ გენერალური შტატების მოწვევას, მაშინ როდესაც თავის ბურჯათ ისევ შესაძლებელი იყო მეფის ძლიერება გამოეყენებიათ. მათ თითონ თავიანთ პრივილეგიების საშვალებით მოინდომეს ექსპლოატაციის უფლების დაცვა არა მარტო მესამე წოდებისაგან, არამედ თვით ბიუროკრატიულ სამეფოსგანაც. სწორეთ იმ დროს, როცა უპირატესობის მქონე წოდებები უფრო მჭიდროთ უნდა შეკავშირებულიყვენ, რადგან მათ ყველას ერთნაირი საშიში საფრთხე მოელოდათ, სწორეთ იმ წამს ატეხეს ეროი ალიაქოთი ნადავლის განაწილების გამო. სიბრაზით დაბრმავებული უპირატესი წოდება ფაქტიურათ საოლიუციო ნიადაგზე დადგა. უმაღლესმა სამოსამართლო დაწესებულებებმა, პარლამენტებმა ძალით ხელში იგდეს უფლება, რომელიც წინეთ არ ქონიათ და მაისში 1788 წელს შეწყვიტეს თავისი მოქმედება; სასულიერო წოდებამ გადასახადზე უარი განაცხადა, სანამ გენერალურ შტატებს არ მოიწვევდენ; აზნაურობა პროვინციებში შეიარაღდა და საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო დოფინეს, ბრეტანს, პროვანსს, ფლანდრიასა და ლანგედოკში.

წარჩინებულ წოდებას ის არ აფიქრებდა და არ აწუხებდა, რომ ამ არეულობაში სულ მეტსა და მეტს მონაწილეობას ღებულობდა მესამე წოდება და რომ ისიც თხოულობდა გენერალური შტატების მოწვევას; წარჩინებულნი დარწმუნდენ, რომ სამეფოს აწი აღარ შეეძლო ექსპლოატაციის თავშესა

ფარი ყოფილიყო, მაშ ის დღეის იქით მათი მტერი იყო. ეი ამიტომაც უპირატესმა წოდებამ მიზნათ დაისახა აბსოლუტური მონარქიის დამხობა. მესამე წოდება კი რა ყურადღების ღირსი იყო! მას ზიზღით უყურებდენ, და მათი ვის-ღა ეშინოდა! ან კი ვის შეაშინებდა ტეტია გლეხობა, ვიღაც ხარაზები, თერძები და ერთი მუჭა ადვოკატები?! რომ კიდეც რამე მომხდარიყო, განა ხიფათს თავს ვერ დაახწევდენ წოდებრივ დაყოფის მიხედვით კენჭის ყრით? ბოლოს. სოფლის მღვდლები ხომ ყავდათ გლეხთა ტვინის დარაჯათ მიჩენილნი! იყო ჯარიც, რომელიც თავს გაუთქვეფდა ხარაზებს და თერძებს. თუ ისინი თავხედათ მოიქცეოდენ.

მონარქიულმა სახელმწიფომ ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია ამ ყველა წოდების შეერთებულ შემოსევისათვის. მეტი გზა არ ქონდა, უნდა დათანხმებულიყო გენერალური შტატების მოწვევაზე. 1789 წელს, 5 მაისს მოწვეულ იქნა და გაიხსნა გენერალური შტატების კრება. საზოგადოთ ამ დროს თვლიან რევოლუციის დასაწყისათ. მარა საკვირველი ის არის, რომ აბსოლუტური სამეფო უფლების წინააღმდეგ დრტვინვა პევრათ უფრო ადრე დაიწყო და დაიწყეს სწორეთ პრივილეგიის მექონე კლასებმა: მათ მისცეს პირველი ბიძგი, მათ გამოიწვიეს ის მოძრაობა, რომელიც მათივე დაღუპვით უნდა დაბოლოვებულიყო. გასაოცარია, რომ სწორეთ ისინი ითხოვდენ დაჟინებით იმ კრებულის მოწვევას, რომელსაც უნდა დაემთავრებია მათი დაცემა. რა თქმა უნდა წაკინკლავებული ძმები, აზნაურობა და მეფე, მალე ისევ შეერთდენ; წარჩინებულნი მალე ისევ მეფის გარშემო შემოკრებენ, როგორც კი დაინახენ, რომ მტრულათ ეკიდებოდა ხალხი,—მესამე წოდების დეპუტატები—მარა გვიანლა იყო.

VIII

საკვირველია ეს ბრძოლა მეფისა და აზნაურთა შორის საფრანგეთში რევოლიუციის წინ, მარა კიდეე უფრო საკვი-

რველი და დაუჯერებელია, რომ ასეთ მტრობას ადგილი ქონდა ევროპის მონარქიაში რევოლიუციის აფეთქების შემდეგაც. საკვირველია, რომ უბრალო დროული ინტერესები იწვევდა ბრძოლას იმ ელემენტთა შორის, რომელთა არსებითი, საერთო ინტერესები უცილოთ ითხოვდა მაშინ მათ კავშირს და საერთო მოქმედებას.

იოსებ II-მ შეიგნო დროს მოთხოვნილება და თავის სახელმწიფოში შემოიღო ისეთი რეფორმები, რომელთა გატარება მხოლოთ სახეში ქონდა და ისიც დრო გამოშვებით ლიუდოვიკო XVI სუ'ტ მთავრობას. მან მოსპო წოდებრივი წარმომადგენელობითი დაწესებულებები და წარჩინებულნი უბრალო ხალხის თანასწორათ დაუმორჩილა ბიუროკრატიას; ამით აზნაურობას ჩამოერთვა გადასახადებისაგან განთავისუფლება ტ შეუზღუდავი ბატონობა გლეხზე, სასულიერო წოდებას—მრავალი მონასტრები, სახელმწიფო თანამდებობების ვაჭრობით გაარისტოკრატებულ მოხელეებს კი, რომელნიც განსაკუთრებით ფეხ მოკიდებული იყვენ ბელგიაში, (იმ დროს ჰაბსბურგების სამფლობელო იყო) მოესპოთ ქრთამები. ამ გარემოებამ გამოიწვია უპირატესი წოდების მღელვარება, დრტვინვა და მთავრობის წინააღმდეგობა, რომელიც უნგრეთში და ბელგიაში 1789 წ. შეიარაღებულ აჯანყებათ გადაიქცა. პრუსიის მთავრობა ყოველი ღონით ცდილობდა ცეცხლი გაეძლიერებინა, რადგან იმედი ქონდა ამით ავსტრიას დაასუსტებდა".

„პრუსიის ელჩს, იაკობის, ვენაში ოპოზიციის ბელადებთან დიდი დაახლოებული განწყობილება ქონდა და ცდილობდა აეგულიანებია ისინი, წაექეზებია ისეთ ნაბიჯისკენ, რომელიც იმპერატორის წინააღმდეგ ნაცხადურ აჯანყებას გამოიწვევდაო", ამბობს ბ. ფ. ზიბელი, რომელსაც, მადლობა ღმერთს, ვერავინ დასწამებს მონარქიის მტრობას. არა, საუცხოვო სურათი არ არის: რევოლიუციის აფეთქების წელს პრუსიის მეფე არისტოკრატ და ულტრა-მონტანისტთა მეამბო-

ხეებთან ერთათ მოქმედებს წინააღმდეგ გერმანიის იმპერატორისა?!

უნგრეთის აზნაურობის ურჩობა კიდევ აიხსნება, ის ჯერ კიდევ თავის თავათ საკმაოთ ძლიერი იყო და თავის ინტერესების დასაცავათ მონარქიაში არ საჭიროებდა. ამ აზნაურობამ და არა მთავრობამ დააცხრო გლეხების აჯანყება 1784 და 1785 წლებში. სულ სხვა იყო ბელგიაში.—აქ ფეოდალები ისეთივე უძლური, მათი მდგომარეობა ისეთივე შეფერხებული იყო, როგორც მეზობელ საფრანგეთში მარა მიუხედავათ ამისა საფრანგეთის აზნაურობის მაგალითმა მათ ქკუა ვერ ასწავლა. ბასტილიის აღების თანავე და 4 აგვისტოს დემოკრატებთან ერთათ მან მოახდინა ამბოხება და ბელგია დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოაცხადა 1790 წელს. 4 იანვარს ბელგიის სხვა და სხვა პროვინციების სახელმწიფო მოხელეებმა დაარსეს ბელგიის შეერთებული შტატები, რომელიც სრულიად არ წაგავდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და აშენებული იყო ფეოდალურ წესზე; ამ „თავისუფლების“ მოპოების შემდეგ დაუყონებლივ ჩამოვარდა უთანხმოება წარჩინებულ წოდებასა და ხალხის უფლების წარმომადგენელთა შორის, რომელნიც საფრანგეთის მაგალითს ბაძავდენ. ამას გარდა პრუსიამაც მოატყუილა თავის მოკავშირენი. იმის მაგიერათ რომ ავსტრიისთვის ომი გამოეცხადებია, რაც ერთ დროს მოსალოდნელი იყო, მან ჰაბსბურგის მონარქიას დაუახლოვდა და რეიხენბახის ხელშეკრულობის ძალით (27 ივნ. 1790 წ) მასთან შესაკავშირებლათ ემზადებოდა. როცა იოსებ II გადაიცვალა, მისი მოადგილე დათმობის პოლიტიკას დაადგა, რის მაგალითიც კიდევ მაზე უწინ თვით იოსებ II მისცა. უნგრეთი მალე დამშვიდდა და უნიადაგო, განცალკევებული ბელგიის აჯანყება მალე მოისპო (1791—92 წ. ზამთარში). ამ რევოლიუციონურმა ეპიზოდმა ძლიერ გამოაფხიზლა ბელგია, მისი სრულიად დაწყნარება შეუძლებელი შეიქნა. აქ მზადდებოდა ახალი,

ნამდვილი რევოლიუციონური მოძრაობა და, როდესაც ფრანგები შემოესია ამ მხარეს, 1792 წელს, თითქმის გაუჭირვალათ აიღეს მშვიდობიანი ბელგია შესაძლებელი იყო გამხდარიყო მტკიცე ნიადაგათ საფრანგეთის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონურ ოპერაციებისათვის, აქედან შეიძლებოდა რევოლიუციის ძალიან საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, მარა აზნაურთა, სასულიერო წოდებათა და მოხელე—არისტოკრატიის ბრმა გაუმაძღრობამ ბელგია მარტო ფრანგებისთვის მოხერხებულ თავშესაფარათ გახადა.

უნგრეთის და ბელგიის აზნაურობაზე უფრო თავისუფლათ შვეიცის აზნაურობას ეკავა თავი. გუსტავ III რამოდენიმე სახელმწიფო ცვლილებების საშვალებით თან და თან აკვეცდა მათ სხვა და სხვა პრივილეგიებს, სანამ უკანასკნელათ, 1789 წელს განუსაზღვრელი უფლება არ მოიპოვა; მაგრამ ამ უფლებით და შემოსავლით, რომელიც მას აზნაურობის დამხობის შემდეგ ერგო, სახელმწიფოში კეთილდღეობის დასამყარებლათ კი არ უსარგებლნია არამედ თავის ბავშური დროს გასატარებლათ, რომელიც დიდ-ძალ ფულს ითხოვდა. ეს სათეატრო გმირი, რომელიც მარტო დრამატიულ ეფექტებზე ოცნებობდა, სასაცილო დიდების მანიით იყო შეპყრობილი. მან მოინდომა ევროპაში ევროპაში მონარქიულ ინტერესების დამცველ მოწინავე მებრძოლის როლი ე. ი. ჰერკულესის როლი, რომელსაც უნდა თავი მოეკვეთა გველვეშაპ რევოლიუციისათვის; ის საფრანგეთის წინააღმდეგ ჯვაროსნების ომს ქადაგებდა და თვითონ უნდოდა თავის ფლოტით მდინარე სენით პარიზს დაცემოდა და ამგვარათ მოესპო ეს რევოლიუციის ბუდე. 1791 წ. ის აქენს გაემგზავრა, რათა მონაწილეობა მიეღო საფრანგეთის ემიგრანტების შეთქმულობაში იმ მიზნით, რომ აღედგინა მონარქია. ამ დროს კი თვით მის წინააღმდეგ მოახდინა შეთქმულობა შვეიცის აზნაურობამ, რომელიც დაბოლოს დარწმუნდა, რომ ის მხოლოთ მაშინ დაიბრუნებდა თავის პრივილეგიებს, როცა მეფეს მოიშორებდა თავი

დან. 1793 წ. 17 მარტს, ეს რევოლიუციის მოწინააღმდეგე თავგამოდებული მოღვაწე გაგმირა ტყვიით ერთმა შეთქმულთაგანმა, ანკარსტრომმა. ეს მოხდა თითქმის ერთი წლით ადრე იმ დრომდე, როდესაც სამხედრო დროის კანონის ძალით რესპუბლიკელებმა დამნაშავეთ იცვნეს ლუდოვიკო XVI ომიანობის დროს სამშობლოს მტრებთან ფარულ დამოკიდებულებისათვის.

საფრანგეთის რევოლიუციამ ევროპას დიდი ომიანობის დასაწყისში მოუსწრო. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა II-მ დაითანხმა იმპერატორი იოსები ოსმალეთთან ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო,—იმედი ქონდათ ამ სახელმწიფოს გაინაწილებდენ. ომი რუსეთმა დაიწყო 1787 წ., ავსტრიამ კი 1788 წ. პრუსიას აღარ შეეძლო გულგრილათ ეცქირა ამ ომისთვის, რადგან თვით ფრიდრიხ II-ს დროიდან პრუსიის პოლიტიკა იმაზე იყო მიმართული, რომ ხელი შეეშალა ავსტრიის გადიდებისათვის, თუ პრუსიის საზღვრებიც მისდა შესაფერათ არ გაფართოვდებოდა. თუ ავსტრია ოსმალოს პროვინციებს შემოიერთებდა, მას უნდა დაეკმაყოფილებია პრუსია ამ გვარათ: ავსტრიას უნდა დაებრუნებია პოლონეთისათვის გალიცია, პოლონეთი კი თავის მხრივ პრუსიას დაუთმობდა რამოდენიმე ადგილებს ქალაქ ტორნოთი და დანციგით. ცხადი იყო, ავსტრია ნებაყოფლობით ამას არ დათმობდა, ამიტომ პრუსია ომის სამზადისს შეუდგა და დაიწყო მოკავშირეთა ძებნა. უახლობელეს, მოხერხებულ მოკავშირეთ სწორეთ ის მხარე გამოდგებოდა, რომელსაც კიდევ უპირებდენ თავის საკუთარი ტერიტორიის ნაწილის წაგლეჯას—ეს იყო პოლონეთი. გ. ფ. ზიბელი თავის თხზულებაში, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რამდენათაც ვიცით, ყველაზე უფრო დაწვრილებით განიხილავს იმ საკითხს, თუ რა გავლენა ჰქონდა პოლონეთის მეორე და მესამე განაწილებას საფრანგეთის რევოლიუციაზე; თავის მსჯელობას ის ძველ საარქივო წყაროებზე ამყარებს, რომელიც საზოგადოებისთვის არ

არის ადვილათ გასაგები. იმ ქარტეხილს, რომელიც თავს დაატყდა პოლონეთა, ზიბელი „დიდ და ღრმა ცოდვების“ შედეგათ თვლის და გვიხატავს პოლონელ არისტოკრატიის დაცემის შემზარავ სურათს და იმ ექსპლოატაციის და დაჩაგვრის სურათსაც, თუ როგორ აწამებდა არისტოკრატია პოლონეთის ხალხს... იმ დროს, როცა ეკატრინე II-ს მხედრობა ოსმალეთთან ბრძოლაში იყო გართული, პოლონეთის პატრიოტებმა გადაწყვიტეს, ახლა დაგვიდგა მოხერხებული წამი რუსეთის გავლენა თავიდან მოვიშოროთ და სამშობლოს კონსტიტუცია გამოუცხადოთო, რომ ამით რაოდენათმე მაინც შეესუსტებიათ ფეოდალურრი ანარხია. პრუსია, რათა ავსტრიისთვის რამე ეენო, აქეზებდა პოლონელებს გაბედულათ ემოქმედნათ, აიმედებდა გალიციის შესახებ და იმავე დროს თითონაც თვალი ეჭირა ტორნზე და დანციგზე და ბოლოს 1790 წ. 29 მარტს, პოლონეთთან ფორმალურათ კავშირი შეკრა იმ პირობით, რომ ორივე მხარე ერთი მეორეს უნდა დახმარებოდა, თუ გარეშე მტრები შემოესევოდა.

ამავე დროს პრუსია, როგორც დავინახეთ, უნგრეთის და ბელგიის მეამბოხეთაც მხარს უჭერდა.

ინგლისი პრუსიასთან იყო შეკავშირებული, რადგან ის იმ თავითვე ხედავდა რუსეთში ისეთ სახელმწიფოს, რომლის გაძლიერება მეტათ საზარალო იქნებოდა მისი ვაჭრობისათვის. ერთათ ერთი სახელმწიფო, რომელიც კიდევ შესაძლებელი იყო პრუსიის წინააღმდეგ გამოსულიყო, იყო საფრანგეთის მონარქია, ავსტრიის მოკავშირე ჯ მასთან ახლათ დამოყვრებული. აშკარაა რა ბედნიერება იყო პრუსიის კარისთვის, როცა რევოლიუციამ ეს სახელმწიფო მისთვის უშიშარი გახადა! აი ასე ნაკლებათ ესმოდა რევოლიუციის მნიშვნელობა პრუსიის მთავრობას, ისე დააბრმავა ის საზღვრების გაფართოვების წყურვილმა, რომ საფრანგეთის სამეფოს დასუსტებას სიამოვნებით შეხვდა, როგორც სასურველ მოვლენას, მხოლოთ იმიტომ რომ ეხლა ერთათ ერთი ხელის შემშლელი პირობა ის-

პობოდა, რომ პოლონეთის შესახებ თავისი პლანები გაეხორციელებია.

პრუსიის მთავრობამ არა თუ გაიხარა დიდი რევოლიუციით, კავშირიც კი გამართა მასთან. პრუსიის ელჩი გოლციპარიეში მეტათ დაუახლოვდა საერო კრების დემოკრატიულ პარტიას. პრუსიის მეფემ პეტიონს, უკიდურეს მემარცხენეთა დეპუტატს, ერთხელ მილოცვა გაუგზავნა ერთი დემოკრატიული სიტყვის წარმოთქმისთვის. თვით პრუსიის მეფემ ცხარე მონაწილეობა მიიღო იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომ ომის და ზავის გამოცხადების უფლება საფრანგეთში მეფეს ჩამორთმეოდა, რადგან ამით თავიდან აიცილებდა საფრანგეთთან ომს, და რომ გოლცისთვის სახელი არ გაეტეხა, ასეთი საფრთხილო მინდობილობების შესასრულებლათ გაგზავნა ებრაელი ეფრაიმი (1790 წ. სექტემბერში); ეს ის ეფრაიმი-იყო, რომელიც ბელგიის აჯანყების დროს პრუსიის ინტერესების სასარგებლოთ მოქმედებდა.

ევროპაში საქმეების მდგომარეობა 1770 წ. მეტათ ხელსაყრელი იყო პრუსიისათვის: საფრანგეთს არ შეეძლო ომი დიპლომატიური მოსაზრების მიზეზით; ბელგიაში აჯანყებამ გაიმარჯვა, უნგრეთშიც აჯანყება იყო; პრუსიას რუსეთის ხელიც უშიშრათ ყოფდენ პოლონეთი და შვეცია; რუსეთი და ავსტრია მეტათ შეცული და შეფიქრებული იყვენ ოსმალეთთან ომის მოლოდინით, რომელმაც სრულიად მოულოდნელათ დიდი ძალა გამოიჩინა. ასეთ პირობებში ავსტრია სრულიად უმწეო ეჩვენებოდათ პრუსიის წინაშე, რომელიც მდიდარ ინგლისს დაუკავშირდა, და ამიტომ ფრიდრიხ ვილგელმ II აწვევდა მას საომრათ. მარა ამ დროს ავსტრიაში გადაიცვალა ენერგიული, მტკიცე ხასიათის იოსები და ტახტზე ავიდა ვრთხილი, წინდახედული ლეოპოლდი (20 თებერვ. 1790 წ.). ან იმდენი დაუთმო მტრებს, რომ იარაღი დააყრევინა, უნ,რეთი დაამშვიდა, გათიშა ბელგიაში აჯანყებულნი და შეუ-ანხმდა პრუსიას რეიხენბარის ხელშეკრულობით, რომლის

ძალით მოსპობილ იქნა ყოველივე ომიანობის გამომწვევი მიზეზები მით, რომ დაკმაყოფილებულ იქნა პრუსიის მოთხოვნილებანი.

სწორედ ამ დროს საფრანგეთის რევოლიუცია იმ წერტილამდე მივიდა, იმდენათ ცხადათ გამოირკვა მისი ტენდენციები წინააღმდეგ აბსოლუტური მონარქიისა, რომ ამ გარემოებას თვით ჰკუა მოკლე სახელმწიფო კაცებიც კი საგონებელში უნდა ჩაეგდო უცხოეთის მონარქიებში. ცხადი იყო, რომ თუ რევოლიუციონური ტენდენცია საფრანგეთში გაიმარჯვებდა, ის უთუოთ მეზობელ ქვეყნებსაც, გერმანიას, ბელგიას და პიემონტს მოედებოდა; ღიღი დღე უფრო და უფრო ირკვეოდა, რომ ევროპის მონარქიებს ან უნდა მოესპოთ ეს ტენდენციები, ან თავი დაეფარათ მაინც როგორმე მათგან. ამას კარგათ გრძნობდენ და კიდევაც შეუდგენ ამაზე გულახდილათ ლაპარაკს. მონარქიული ტენდენციების ასეთი გამოაშკარავება იყო: ლეოპოლდის პროკლამაცია მანტუიდან, მისი ცირკულიარული ნოტა პადუიდან და ბოლოს და ბოლოს ის სასტიკი მანიფესტი ავსტრიის და პრუსიის მხრივ, რომლითაც მათ მიმართეს საფრანგეთს პილნიცაში დადებულ ფორმალურ ხელშეკრულობის შემდეგ. იმპერატორი არაფრათ არ აგდებდა ემიგრანტების სამხედრო სამზადისს, რომლებმაც თვით საფრანგეთის საზღვრებზე ნამდვილი არმია შეადგინეს საფრანგეთში შემოსაპრელათ. საფრანგეთში ეშვი აღარავის ქონდა, რომ პრუსია და ავსტრია რევოლიუციასთან საომრათ ემზადებოდენ, მარა თვით მოკავშირენი კი ერთ ნაბიჯსაც არ დგამდენ ისეთს, რომელიც გამოააშკარავებდა მათ პლანებს. ბ. ფ. ზიბელი დაწვრილებით იკვლევს იმ დროის სახელმწიფოების **დამოკიდებულებას** და ფიქრობს, რომ მათი **დამოკიდებულებიდან** შესაძლებელია კაცმა დაასკვნას, რომ ისინი ყველა მშვიდობის მოყვარეობით იყვენ გამსჭვალულნი და თითქო ომი თვით საფრანგეთის მიერ იყო გამოწვეული. მაგრამ ჩვენ სულ სხვა დასკვნაზე მივედით. მართალია საფრანგეთში,

როგორც ჟირონდისტები, ისე სასახლე და მისი მომხრენი ომს თხოულობდენ: პირველნი იმიტომ, რომ ომს აუცილებლათ თვლიდენ, და უკეთესია პირველი ჩვენ დავეცეთ, სანამ მტერი მოემზადებაო; მეორენი კი იმედოვნებდენ, თუ ომი მოხდა, პრუსია და ავსტრია დაიპყრობენ საფრანგეთს და აღადგენენ ძველ მონარქიასო. ომი კი მაინც არ იწყებოდა, არა მშვიდობიანობის მოყვარეობის მიზეზით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთ დაინტერესებულ სახელმწიფოს ნდობა არ ქონდა ერთმანეთის. რუსეთი ცდილობდა მალე გაეთავებია ომი ოსმალეთთან, რადგან ავსტრიის და ოსმალეთის შერიგების შემდეგ მარტო დარჩა, უნდოდა გაეთავისუფლებია არმია და მოეხმარა პოლონეთის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა საკუთარ ფეხზე დამდგარიყო. პრუსიამ იცოდა, რომ პოლონეთის საკითხი მალე უნდა გადაწყვეტილიყო; მას სწადდა საზღვრების გაფართოვება და იმედოვნებდა რუსეთთან კავშირით წინააღმდეგ პოლონეთისა მოეპოვებია ის, რაც ვერ მოიპოვა პოლონეთთან კავშირით წინააღმდეგ რუსეთისა. ორივე ამ სახელმწიფოსთვის ავსტრია არა სასიამოვნო მეზობელი იყო; ამიტომ ისინი ცდილობდენ როგორმე გაებათ ლეოპოლდი საფრანგეთთან ომში, რომ ამით გაეთავისუფლებიათ მისგან თავი პოლონეთის საქმეში. მარა ამას ავსტრიაც კარგათ გრძნობდა და ენერგიულ მოქმედებაზე თავს იკავებდა პოლონეთის საკითხის გადაწყვეტამდის. ლეოპოლდზე ბევრათ უფრო დამყოლი იმპერატორი ფრანც II გამოდგა, რომელიც გამეფდა 1792 წ. იგი იყო ახალგაზდა, უმნიშვნელო კაცი, დიდს არაფერს წარმოადგენდა, და მისმა მთავრობამ თავისი სასაცილო მოთხოვნილებებით, რომ აღედგინათ საფრანგეთში ძველი წეს-წყობილება და სასტიკი მუქარებით იქამდის მიიყვანა საფრანგეთი, რომ ომი გამოაცხადებია (20 აპრილს 1792 წელს). ახლა კი ომი პოლონეთის განაწილებამდის უნდა გაეგრძელებიათ. არც პრუსიას შეეძლო მონაწილეობა არ მიეღო ამ ომში, რადგან მისი მონაწილე იყვენ გერმანიის იმ-

პერია და პილნიცის მოკავშირენი. მარა მოკავშირენი ძალიან გაუბედავათ იქცეოდენ. ისინი მეტათ ამცირებდენ მტრის ძლიერებას; ემიგრანტების და პოლიციის ჯაშუშების მიერ მოტანილ ცნობებიდგან წარმოიდგინეს, რომ საფრანგეთში ყველა გამსქვალული იყო უქვეშევრდომილესი გრძნობებით და არაფერს ისე მოუთმენლათ არ მოელოდენ, როგორც იაკობელების უმცირესობის „უღლის“ გადაგდებას. ეს აზრი რომ შემცდარი იყო, ეს მალე მწვავეთ უნდა ეგრძნო პრუსიის არმიას. მიუხედავათ ამისა, ასეთ მოსაზრებას კიდევ აქვს ადგილი „შეგნებულ ისტორიკოსების“ თავში. მოკავშირეებს იმედი ქონდათ, რომ ლუდოვიკო XVI საიდუმლოთ დაგვეხმარება, და ხელს შეუშლის ფრანგების სამხედრო მოქმედებასო. ეს იმედები გაცრუვდა ტიუილიერის აღებით 10 აგვისტოს. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი პრუსიის და ავსტრიის დაგვიანებისა და სამხედრო მოუმზადებლობისა იყო ის გარემოება, რომ მოკავშირეები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულიყვენ პოლონეთის განაწილების შესახებ. ამ დროს ეკატერინე II-ს მხედრობა უკვე შევიდა პოლონეთში და პრუსიამ, რომელიც 1792 წლის მაისამდინ პოლონეთის მოკავშირის როლს თამაშობდა, ბოლოს ნიღაბი ჩამოიხადა და „მშვიდობიანობის და წესიერების აღსადგენათ“ პოლონეთის ახალი განაწილება მოითხოვა. იმ დროს, როცა რუსის მხედრობა „მოკავშირეებისგან“ მიტოვებულ პოლონელებს ამარცხებდა, ავსტრია და პრუსია საფრანგეთის წინააღმდეგ უგულოთ ომობდა და როგორც ერთი, ისე მეორე უფრო გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა პოლონეთში საქმის მსვლელობას. მაშ რაღა გასაკვირველია, რომ ეს ომი მოკავშირეებისთვის დამარცხებით დაბოლოვდა.

საფრანგეთის მდგომარეობა ბევრათ უფრო საშიში შეიქნა შემდეგ წელში. ავსტრია ენერგიულათ შეუდგა სამზადისს, რომ დამარცხების სამაგიერო გადაეხადა საფრანგეთისათვის. რევოლიუციის საწინააღმდეგო კავშირს მრავალი სახელმ-

წიფოები შეუერთდა: ინგლისი და ჰოლანდია ფრანგების მიერ ბელგიის დაპერ ით შეშფოთებული, და იმავე ინგლისის გავლენით—სარდინია, პორტუგალია, ისპანია და ნეაპოლი. თვით საფრანგეთის ზოგიერთ ქალაქებში და ოლქებში აჯანყება მოხდა; ძველი საფრანგეთის არმია მოსპობილი იყო, ხოლო ახალი, რევოლიუციონური ძლიეს შედგა. ძველი არისტოკრატი აფიცრები ან დათხოვნილი იყვენ, ან თვით გადაიხვეწენ სამშობლოდან, ახლები კი ჯერ-ჯერობით საკმარისი არ იყვენ. ძველი ჯარისაგან ბევრი ამოწყდა წინა წლის ოიმანობის დროს: არმიის უმეტესობა ახლათ გამოყვანილი ჯარის კაცთაგან შედგებოდა; ყველა ამას უნდა დავუმატოთ, რომ ღენერლები ხშირათ ღალატობდენ და არ იყვენ საიმედო. ტერროროს რომ თავისი სასტიკი ძალით არ მოეკრიბა საფრანგეთის ყველა ძალები და მტრის წინააღმდეგ ყველგან ჯარის მომეტებული რიცხვი არ გამოეყვანა, რომელნიც, თუმცა დისციპლინა და სამხედრო გამოცდილება არ ქონდათ, მარა სამაგიეროთ დიდი ენტუზიასტები იყვენ, შესაძლებელია რესპუბლიკა სრულიად დაღუპულიყო ევროპის მონარქიების შემოსევით. მიუხედავათ იმისა, რომ რესპუბლიკა მთელ თავის ძალ-ღონეს იკრებდა, მისი მდგომარეობა მეტათ სამძიმო იყო, მარა მისდა საბედნიეროთ მოწინააღმდეგეთა გაუმაძღრობა ისევე დიდი იყო, როგორც მათი სიძულვილი რევოლიუციისადმი. თითეულ მათგანს საფრანგეთთან ომი თავის სასარგებლოთ უნდოდა გამოეყენებია; არც ერთს ერთმანეთის ნდობა არ ქონდა. თითეული თავისთვის მოქმედებდა და ცდილობდა ხელში ჩაეგდო ნადავლის ის ნაწილი, რომელიც უნდოდა მიეღო. სარდინია ავსტრიისგან საზღვრების გაფართოებას ითხოვდა; ავსტრია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარს ამბობდა, თუ მას არ შემოუერთებდენ საფრანგეთისგან წართმეულ ნავარრას; სარდინია ამან მეტათ გააფიცხა. ძვირფასი დრო უსარგებლო დავიდარაბაში იკარგებოდა: აჯანყებულ ლიონს თავის დროზე ვერ შემოხსნეს ალყა, და ამით იტალიიდან საფრანგეთზე

დაცემის საქმე ჩაიშალა. ინგლისის ჯარებმა ბელგიაში უფრო საჩქარო საქმე ვერ მონახეს, და დინკირხენს, ამ საჭირო ნავთსადგურს ალყა შემოარტყეს, რადგან მისი ხელში ჩაგდება ეგრე რიგათ სწადდა ინგლისს. ჰოლანდიელები მალე მოქანცა ომმა, მით უმეტეს, რომ ამ ომიდან არაფერ სარგებლობას გამოელოდენ. მარა ყველაზე დამღუპველი ის იყო, რომ პრუსიასა და ავსტრიის შორის მტრობა სწრაფათ იზრდებოდა.

რუსეთი და პრუსსია შეთანხმდენ (ზამთარში, 1791-1792 წ.) და მოახდინეს პოლონეთის მეორე განაწილება. ავსტრიამ ჯილდოთ მხოლოთ იმედები მიიღო, რომ შემდეგში შემოუერთებდენ საფრანგეთის ტერიტორიის ნაწილს. პრუსია იმუქრებოდა დაუყონებლივ შეესწყეტ ომში მონაწილეობას, თუ ინგლისი და ავსტრია არ მიიღებენ პოლონეთის ამგვარ განაწილებასო; ეს, რასაკვირველია, ვერ განამტკიცებდა ავსტრიის და პრუსიის კეთილგანწყობილებას. ამ ომში ახლა ავსტრიამ მიზნათ დაისახა ის მიწები წაერთმია საფრანგეთისთვის, რომელთა შეძენა დიდი ხანია სურდა: ეს იყო ელზასი და ნაწილი ჩრდილოეთ საფრანგეთისა. მარა პრუსიას, ყელამდი ჩაფლულს პოლონეთის საქმეებში, ახლა სრულიად დაეკარგა ხალისი სერიოზული მონაწილეობა მიეღო იმ ომში, რომელიც რევოლიუციის საწინააღმდეგო ომისგან პრუსიის მეტოქე ავსტრიის დაპყრობითი ომათ გადიქცა. პრუსიის ჯარი მეტათ ბევრ დროს კარგავდა უბრალოთ მაინის ალყის შემორტყმაში და თითქმის გულგრილათ უცქერდა ავსტრიის საფრანგეთთან შეტაკებებს ელზასსში. როცა ავსტრია დაუახლოვდა რუსეთს, პრუსიას ორივე თავის „მოკავშირეების“ შეეშინდა და 1793 წ. სექტემბრში თითქმის სრულიად შეწყვიტა საფრანგეთთან ომი. უმეტესი ნაწილი თავის ჯარისა რეინიდან პოლონეთის საზღვარზე გაიწვია, რომ ამით უზრუნველ ეყო თავის მონაწილეობა პოლონეთის განაწილებაში. მესამე კოალიციის საქმე 1794 წ. კიდევ უფრო უარესათ წავიდა; ისპანიასა და ინგლის შორის განხეთქილება ჩამოვარდა. გა-

ზაფხულზე პოლონეთი აღდგა და საქმე იმ ზომამდის მივიდა, რომ რუსებმა მალე ვერ დაამშვიდეს პოლონელები. პრუსიას უნდა დახმარება აღმოეჩინა მისთვის. საფრანგეთთან ომში პრუსიის, მონაწილეობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა ახლა; არც ავსტრიას შეეძლო მთელი თავის ძალღონე ამ ომისთვის შეეწირა; ისიც იყო პოლონეთის უკანასკნელი ჟამი დადგა და ამიტომ ავსტრიას პოლონეთის საზღვარზე დიდძალი ჯარი უნდა გამოეყვანა, თუ უნდოდა მესამე დანაწილების დროსაც ისე გვერდი არ აეხვიათ, მისთვის როგორც მეორე განაწილებაზე. ინგლისს რომ ყოველი ღონე არ ეხმარა ამ კოალიციის შესამაგრებლათ, ის სწორეთ ამ დროს დაიშლებოდა.

ამავე დროს საფრანგეთის რევოლიუციონური არმია გაძლიერდა; მან ისეთი ორიგინალური ტაქტიკა შეიმუშავა, რომელიც ძველ არმიაზე ბევრით წინ აყენებდა; ახალ აფიცრობიდან კი გამოვიდა ის გენერლები, რომელთაც ახალი არმია მთელი ევროპის თავზარ-დამცემ არმიათ გადააქციეს; ესენი იყვენ გოში, კლებერი, მორო, ბონაპარტი და სხ. სანამ ფეოდალური მონარქიები ერთმანეთს ედავებოდენ იმ ნადავლის გამო, რომელიც ჯერ კიდევ არც კი წაერთმიათ,—ამ დროს, რევოლიუციონურმა არმიამ საშიში ძალა მოიპოვა. ახლა სამხედრო საქმე, რომ არ მომხდარა ისე კარგათაც რომ წასულიყო, მოკავშირეთათვის ყოვლად შეუძლებელი იყო საფრანგეთში რევოლიუციის მოსპობა და აღდგენა, დროებით მაინც, იმ წეს-წყობილებისა, რომელიც გამეფებული იყო იქ 1789 წლამდის. ის გარემოება კი, რომ 1794 წლიდან რესპუბლიკამ სატევი ომი დაიწყო, და მოინდომა ძირიანათ შეერყია მთელ ევროპაში ფეოდალიზმი, ხოლო მოსაზღვრე სახელმწიფოებში კი სრულიად მოესპო, ეს გარემოება უმეტესათ მისი მოწინააღმდეგეთა იმ წვრილმანი, შეუგნებელი გაუმაძღრობის შედეგი იყო, რომელზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ.

ამ გვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოებრივი განვითარება არის არა მარტო ახლათ ჩასახულ კლასების ძველ, გარდამავალ კლასებთან ბრძოლის შედეგი, ე. ი. არა მარტო არსებულ წესწყობილებაში დაინტერესებულ მცხოვრებთა ნაწილის ბრძოლის შედეგი იმ ნაწილთან, რომლისთვისაც არსებული წესწყობილება დღითი დღე აუტანელი ხდება, არამედ ის არის სხვათა შორის შედეგი იმ შინაური ბრძოლისა, რომელიც არსებობს თვით ორივე მოპირდაპირე კლასების წევრებს შორის. როგორც გარეგანმა კლასთა შორის ბრძოლამ, ისე შინაურმა, ამ კლასებს შიგნით არსებულმა ბრძოლამ ბევრათ შეუწყო ხელი რევოლიუციის აყვავებას. თუმც ეს დაუჯერებელია, მარა ამის უარყოფა შეუძლებელია: არა მარტო გაბატონებული ნაწილის დაყოფა, არამედ თვით დამონავებული ნაწილის დაყოფაც კი რევოლიუციის ძლიერი მამოძრავებელი ძალა იყო. კლასობრივ ინტერესების წინააღმდეგობას კაპიტალისტებსა და წვრილ ბურჟუას და ქალაქსა და სოფელ შორის არ გვგონია, რომ როდისმე დაესუსტებიოს რევოლიუცია; წინააღმდეგ, ის უფრო აქეზებდა სარევოლიუციოთ ხალხს: ეს წინააღმდეგობა უმატებდა ენერგიას, რომელიც გადადიოდა რევოლიუციაში; ეს წინააღმდეგობა უფრო და უფრო ფართო მიზანს უსახავდა სარევოლიუციოთ წამოზიდებულ მასსას და განუწყვეტლივ მიერეკებოდა წინ.

გაბატონებულ კლასებს კი ასუსტებდა ეს წინააღმდეგობა და სულ თან და თან ავიწრიყებდა მათ მიზანს: იმის მაგიერ, რომ ენერგიულათ, შეერთებული რაზმით შებრძოლებოდენ რევოლიუციას, ეს გაბატონებული კლასები მარტო იმით კმაყოფილდებოდენ, რომ არსებული წესწყობილების დანგრევით მხოლოთ წარმავალი წვრილმანი სარგებლობა მოეპოვებიათ.

შეცდომების გასწორება.

გვერდი:	სტრიქონი:		დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
7	4	ქვევიდან	მაჯიბრებოდენ	კაჯიბრებოდენ
17	13	„	ენავარდებნა	ენავარდნა
28	7	ზევიდან	მხოლოთ	მარტო
30	11	„	მომხრე იუო,	მიმხრე იუო.
32	4	ქვევიდან	ლეგიტამიზმის	ლეგიტიმიზმის
39	8	ზევიდან	იაკობინტები	იაკობინელები
44	2	ქვევიდან	Laine	Taine